

Ռամի Խոսկեան

ՋԱՋՈ ԱՐԵՎՈՅ
ՀԱՅԱՍՏԱՆ
ԲԱՐԵՎՈՒՅԱՆ



მდა კოფიცილური

გ-ტ ი. გ. გ. გ. გ. გ. გ.

ვიზუალი

თბილისი

1954 წ.

18020 სახელი პატარა ჩანჩოებები

ჭიგნი მეორე

რვეული II

ბუენოს აირესი

1953

ESTE LIBRO
SE TERMINO DE IMPRIMIR EL DIA
VEINTE Y NUEVE DE JULIO DEL
AÑO MIL NOVECIENTOS CINCUE-
TA Y TRES, EN LA IMPRENTA
“LA VOZ”, C. DEFENSA 828, Bs. As.
ARGENTINA

Queda hecho el depósito que marca la ley 11.723.
Impreso en la Argentina - Printed in Argentine

K-329-004
3EM

იმპრეტის უკანასკნელი ამბები და დედოფალი შარიათ

რუსეთის იმპერიის ლტოლვას კავკასიის და ზღვების დაჭრისათვის და ამ გზით სამხრეთით და აღმოსავლე-თით მტკიცედ დამკვიდრებას წინ ელობებოდა კავკასიის უძველესი სახელმწიფო — საქართველო.

ეს ქვეყანა რუსეთს მოხერხებით, თუ ძალით უსათუოდ უნდა დაეკავებინა, თუ მას იმპერიის გაზრდა და გაძლიე-რება სწადდა. საქმეს აადვილებდა ის გარემოება, რომ ივერია უძველესი საქრისტიანო ქვეყანა იყო, — ჰუმა-ნიურ კულტურასთან ნაზიარები, მათმაციან მეზობელ სახელმწიფოთაგან უაღრესად შევიწროვებული და თავ-დაცვისათვეს დაუსრულებელ ბრძოლებით მოლლილი.

მეორეს მხრივ საქართველო ის იღარ იყო, რაც წინად, ალექსანდრე მეფის დრომდე — მთლიანი და ძლიერი.

ამიტომ რუსეთის ამოცანა გაადვილებული შეიქმნა ის ჯერ ქართლ - კახეთზე წამოვიდა ჯვრებით და ხატე-

ბით, ვით ერთ-მორწმუნე და მფარველი, და მეფეს და-
რიალის კარები გაახსნევინა; ამის შემდეგ უკვე აღვილი
იყო ამ სამეფოს სრულად გაუქმება და რუსეთის პრო-
ვინციად გამოცხადება.

ამ ამბებისა და ტკივილების აღწერას ჩვენ ეხლა არ
შევუდგებით.

ჩვენი მიზანი იყო ამ ამბებიდან გამოგვეყო და ცალკე
შეგვესწველა ის წინააღმდეგობა და ბრძოლა; რაც ქარ-
თველობამ (ქართლ - კახეთისა) გაუწია რუსეთს მას შემ-
დეგ, რაც იმპერიის ზრახვანი მისთვის გამოაშვარავდა.
ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ბრძოლებში საუკეთესო მამული-
შვილთა რიგებში ლირსეული ქალების დასიც ერია, რო-
მელთაც სახელოვანი ფურცლები ჩასწერეს ამ ბრძოლის
მატიანეში: ესენი იყვნენ — დედოფლები დარეჯან,
მარიამ, მათი ერთგული გარსევანის მეუღლე მარიამ,
ბატონიშვილები მარიამ, ქეთევან, თეკლა, თამარ, მრა-
ვალნი სხვანი, რომელთაც ქართველი ერის ლირსება და-
იცვეს. მაგრამ ამით არ გათავებულა ერის უფლებათა
დაცვისათვის ბრძოლა, ქართველი ქალი და დედა რომ
ამ გვარის თავ - გამოდებით ეწეოდა.

როგორც ვიცით, ქართლ - კახეთის დამორჩილების შე-
ძეგ ჯერი დასავლეთ საქართველოზე — იმერეთზე და
მის სამთავროებზე მიღვა. ექ რუსეთის ბრძოლა, თუმცა
სტრატეგიულად გაადვილებული იყო (დარიალის გაღე-
ბით), მაგრამ ფინქტოლოგიურად და პოლიტიკურად ბევ-
რად უფრო გაძნელებული. რუსეთმა, 1801 წელს ჩა-
დენილ გაუგონაზ ძალადობით, როცა მან ტრაქტატი
ცალმხრივად გააუქმა და საქართველოს ტახტზე მემკვი-
დრე უდარ აუშვა, ამ რუსეთმა დასავლეთ საქართველოს
თავისი სახე და მზაკვრული განზრახვანი საკმაოდ და-
ანახვა.; ამიტომ იმერეთს არც მათი ფიცის და დაპირე-
ზების სჯეროდა რამე და არც მისი ქრისტიანობის მისიისა.

იმერეთის სამეფოს თვალის წინ ჩატარდა ეს საშინელი

ძალმომრეობა ქართლ - კახეთის სახელმწიფოზე და ბაგ-
რატიონებზე. მათ დაინახეს — სად მიიყვანა გიორგი მე-
ფის გულუბრყვილო მინდობამ ერთმორწმუნე რუსეთი-
საღმი მისი სამეფო, — რა ყოფაში ჩააგდო ქართველი
ერი და ქვეყანა მემკვიდრე დავთის გაურკვევლობამ, —
ეხლა ქართლ-კახეთი რუსეთის ლუბერნია იყო და მისი
სახელოვანი მებრძოლ - მფარველნიც რუსეთში ჰყავდათ
გადასახლებულნი.

ეს ამბები თავისთვავად მეტყველებდნენ და სოლომონ
მეფე მტკიცედ დაადგა რუსეთისაღმი მტრულ განწყო-
ბილებას და ბრძოლის გზას.

ამ მდგომარეობამ რუსეთს დიდად გაურთულა საქმე
და ვინ იცის — კიდევ რამდენი ხანი გასტანდა ეს ბრძო-
ლა დიდი იმპერიისა, რომ გენერალ ციციანოვს სამეცნე-
ლოს მხრივ არ მოევლო იმერეთის სამეფოსათვის და
გრიგოლ დადიანი არ გადაებირებინა.

იმერეთი მაინც არ სტყდებოდა და გასაოცარის მხე-
ობით იდგა თვისი საყვარელი მეფის, სოლომონ მეორის
გვერდით და ამ უკანასკნელ ნაწილს ივერიისას თავგა-
მოდებით იცავდა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ სახელოვან ბრძოლების
ცალკე ეპიზოდების აღწერას, თუმცა უნდა ითქვას, რომ
სოლომონ მეფის და მისი ბრძოლის ისტორია იმპერიის
საწინააღმდეგოდ, ყველაზე უფრო სასახელოდ ჩაითვ-
ლება იმ წინააღმდეგობათა შორის, რაიც საქართველომ
რუსეთს გაუწია. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ხანა და იმე-
რეთის ხალხის და მეფის ღვაწლი იმ ეპოქაში ძალიან
სუსტადა შესწავლილი და გაშუქებული.

იმედი კი გვაქვს — ეს დიდი საქმე მიუდგომელ მქელე-
გართ იშოვნის, და მაშინ ნათლად გამოჩნდება სოლომონ
მეორეს ღვაწლი. ჯერჯერობით კი მხოლოდ ალ. ხახანა-
შვილის და თ. ხუსკივაძის პატარა წიგნაქები არსებობენ
სოლომონის შესახებ და დანარჩენია რუსული წყარო-

ები, რომლებიც ტედენციით სავსეა და სოლომონ მეფის
პიროვნებას უსამართლოდ ამცირებენ.

ჩვენი მიზანი ამჟამად ვიწროდ შემოიხაზება: — გვინდა
იმერეთის ბრძოლის ამბებთან დაკავშირებით ქართველი
ქალის დამსახურებას და მის მწვავე განცდებს შევეხოთ;
მის სიცხვიზლეს, დარბაისლობას და თავდადებას მეფი-
სათვის რაიც მაშინ ერისათვის თავგანწირებას უდრიდა.

რამდენიმედ ჩვენ უკვე ოღვნიშნეთ დასავლეთ საქართ-
ველოს ქალთა ლირსეული დამსახურება დიდი იმპერიის
ძალების წინააღმდეგ ბრძოლებში. ეხლა ჩვენ გვინდა
შევეხოთ იმ ქართველ ქალს, რომელიც სოლომონ მეფეს
თავის ზრახვების და ბრძოლების დროს რუსთა საწინააღ-
მდეგოდ და სახელმწიფოს გადასარჩენად მუდამ გვერდით
უდგა და ერთგულად ულელს უწევდა.

ეს იყო მისი საყვარელი და სათაყვანო მეულლე და დე-
ლოფალი — შეუბოვარი და თავდადებული მარიამი. ეს
ის მარიამია, რომელიც თავისი ერთგულებით, გონებით
და გამჭრიახობით კი არ იყო მარტო ცნობილი და მთელს
იმერეთში სახელმოხვევილი, არამედ იგრეთვე თავისი არა
ჩეცულებრივის სილამაზითა და ნაზი შვენებით, რომელ-
მაც არა მარტო ახალგაზრდა მეფე მოხიბლა და წარიტაცა.

ცნობილია, რომ სოლომონ მეფეს თავდავიწყებამდე
უყვარდა დედოფალი და მის სადიდებლად და პატივსა-
ცემად საგანგებო სასახლე მიუძღვნა მას ქუთაისში, რო-
მელსაც „ოქროს ჩარდახი“ ეწოდებოდა.

მარიამის შვენება და „ოქროს ჩარდახი“ ხალხს საგან-
გებოდ შეუმკვიდა და უმღერია; მოყიფანთ ერთ ხალხურ
ლექსის, რომელიც პროფ. ექვთ. თაყაიშვილს თავის „ერ-
ბულ“-ში — „ძველი საქართველო“ — მოუთავსებია:

მარიამ დედოფალი

ნეტა რა არი მისთანა; ამომავალი მზისთანა,
წყალში რო ფეხი უდგია, იმ ოქროს ჩარდახისთანა...

გალმით - გამოლმით ქალაქი, შუაზედ მოედნისთანა, დედის მუცლიდან ნაშობი მარიამ დედოფლისთანა. მარიამო, რამ გავაკსო, 14 დღის მთვარის მსგავსო? შიგნით თვალი სამოთხეს გავს, გარს წამწამი ხშირი გაქვსო მდომიერმა კაცმა გნახოს, ამას იტყვის: „ელვა დგახო!“ ერთი შენი შემოხედვა ათას ჯარსაც დაკარგავსო.

მარიამი იყო სამეგრელოს მთავარის კაციას ასული და დაი გრიგოლ დადიანისა, რომელმაც შემდევ ასეთი დიდი ტკივილები მიაყენა სოლომონ მეფეს, რუსებზე მინდობით და გვნ. ცაციანოვისათვის ოდიშის კარების გაღებით. სამწუხაროდ, ჩვენ ვერსად შევხვდით მარიამის დაბადების წლის აღნიშვნას. აგრეთვე ზუსტად ძნელია მისი ჯვრის წერის წელიწადის გამორკვევაც. ბროსეს მოწმობით, ეს ჯვრისწერა უნდა მომხდარიყოს 1791 წ. (იხილეთ მეორე ნაწილი, გვ. 649). ხოლო დავით ბატონიშვილის „ნარკვევებ“-ში ვკითხულობთ, რომ ეს ჯვარის წერა 1789 წ. მოხდაო. ეს მეორე ვერსია უნდა უფრო საჩრდელოდ ჩაითვალოს, რადგან „საკავშირო აქტის“ — ქართლ - კახეთის, იმერეთის და გურია - სამეგრელოს შორის — 1790 წელს დადებულს, იმერეთის სამეფოს სახელით ხელს აწერენ სოლომონ მეორე და მისი მეულე მარიამი, ვითარცა „დედოფალი ყოვლისა საიმერეთოისა“. (იხილეთ პ. იოსელიანის „ცხოვრება“).

ამ ქორწინებაშიც, ისე როგორც იმ დროს ყველაფერში, რაც საქართველოს შეეხებოდა, ერეკლე მეფის ნების ძალა და მისი ხელის მართვა სჩანს.

მოსე ჯანაშვილი გვაწვდის დამატებით მცირე ცნობას მარიამის ნათვლის შესახებ. სოლომონ დიდს რუხის გრძოლის შემდევ (1780 წ.), რომელიც მან სახელოვნად მოიგო, კაცია დადიანთან დაახლოების მიზნით, მოუნათლავს მისი პატარა ასული მარიამი, მომავალი დედოფალი იმერეთისა. აქედან სჩანს, რომ მარიამი დაახლოებით 15 წლისა ყოფილა, როცა ჯვარი დაუწერია 16 წლის

დავით არჩილის ძეზე (სოლომონ მცორეზე). მაგრამ გარდევილნენ არნივე ზეიაღნი — ჯერ სოლომონ დიდი მიცვალა 1784 წ. და ოთხი წლის შემდეგ მას მიჰყვა კაცია დადიანიც. პირველის ტახტი დაიჭირა დავით გიორგის ძემ, ხოლო ოდიშში გამთავრდა მარიამის ძმა, გრიგოლ დადიანი, რომელიც არ სწყალობდა იმერთა მეფეს დავით გიორგის ძეს. მათ შორის გაჩაღდა ომი, მაღლე თავადებიც გადაუდგნენ დავით მეფეს, თბილისიდან ერეკლეს შვილის შვილი, დაკით არჩილის ძე დაიბარეს და 1789 წელს მას შერთეს გრიგოლ დადიანის დაი მარიამი და გაამეფეს იმერთში, სოლომონ მცორეს სახელწოდებით. ეს ჯვარის წერა იყო პოლიტიკური მოსაზრებით ნაკარნახევი და ერეკლეს მიერაც მოწადინებული, ისე ვით თვით გრიგოლ დადიანის ჯვარის წერა გიორგის სულზე — ნინოზე (ერეკლეს შვილის შვილზე).

„1789 წელს“, ვკითხულობთ დავით ბატონიშვილის „ნარკვევები“-ში, „წარატანა მეფემან ირაკლიმ ძის თვისსა გიორგისასა, დავითს (დავით ბატონიშვილს), ძეი არჩილისა დავით, რათა წარგზავნოს იგი ოდიშსა და მან წარგზავნა იგი ოდიშსა. იხილეს რა ადიშელთა ძე არჩილისა, შეკრძენ მასთანა და მისცა გრიგოლ დადიანმან და თვისი მარიამ ცოლად მას“. (გვ. 36). ამავე ამბავე ასე გადმოგვცემს ისტორიკოსი ნიკო დადიანი: — „განიზრახეს და წარგზავნეს კაცი და მოიყვნეს საქართველოდან დავით არჩილის ძე ბაგრატიონი, ძმის წული პირველის სოლომონ მეფისა... გარნა ესეცა ყრმა და მოიყვანეს ლეჩეუმს სასახლესა მურს და მისცეს მეუღლათ ასული დადიანისა კაციასი და დაი გრიგოლისა და ქმნეს ქორწილი და შემდეგ ქორწილისა შეიკრიბნეს სპანი ლეჩეუმისანი და წარმოემართნენ“... და სხვა.

მარი ბროსე გვაუწყებს, რომ მარიამ და სოლომონ, — ორივენი ახლო ნათესავები იყვნენ სოლომონ პირველისა და ამნაირად უზრიერთისაც. ასე რომ საჭირო შეი-

ქმნა ამ ჯვარის წერის კანონიერებისთვის საგანგებო ნება როგო სამეცნიეროს და იმერეთის უმაღლესი სამღვდელოებისათ. ამ აქტით მართლაც დადასტურებულ იქმნა სოლომონის და მარიამის დაქორწინება ჯვრისწერის შემდგომო. (იხ. ბროსე, 2. გვ. 254).

მარიამის დაქორწინების და დედოფლად განდომის შემდეგ იწყებიან და სასწრავოდ ვითარდებიან დიდნი ამბავნი ჩრდილ ოეთის იმპერიის „შემოტევისა“, რომლის მსხვერპლი შეიქმნა ჯვრ ქართლ - კახეთი და შემდეგ იმერეთი, ყველა მისი სამთავროებით.

ბრძენ კანცლერის სოლომონ ლეონიძის შთაგონებით დადებული „საკავშრო აქტი“ ივერიის სახელმწიფო - სამთავროთა შორის საქმეს ველარ შველოდა, რადგან შვიდი წლით უფრო ადრინდელი ხელშეკრულება ქ. გორგოვესქმი დადებული, არც ოსმალეთს და არც სპარსეთს მოსვენებას აღარ აძლევდა. ამ დღიდან ამათ უფრო გარკვეულად იგრძნეს რუსეთის კავკასიასთან მთაბლოების დიდი საფრთხე და დაიწყეს გააფთრებული ომები, რომელთაგან 1795 წლის შემოჭრა აღა - მაპმად ხანისა სასიკვდილო ლახვარი შეიქმნა ერეკლეს სამეფოსათვის; ამ დიდებული მეფის გარდაცვალების შემდეგ კი საქართველოს დაქანება უფსკრულისაკენ შეუჩერებლივ მიღიოდა და 1801 წ. ალექსანდრე პირველის მანიფესტმა მისი დაპყრობა დააგვირგვინა.

ეს ამბები სრულიად არ ჰგავდა იმ „ნებაყოფლობით“ «შეერთებას», რაზედაც განიფესტი ლალადებდა; მაგრამ ვინ იყო გამყითხავი? რუსეთმა „ტრაქტატი“ შინაურულად გააუქმა და ეხლა, როგორც ვთქვით, ჯვრი იმერეთზე მიღვა.

მაგრამ აქ მდგომარეობა რუსთათვის მოულოდნელად სულ სხვა შეიქმნა: — სოლომონ მეფე, დედოფალი მარიამ, სახლთუხუცესი, კანცლერი სოლომონ ლეონიძე, და სხვა მრავალნი რუსთ დიდ წინააღმდეგობას უწევდ-

ნენ. ოლონდ რუსეთი უკვე აწყობდა მეფე სოლომონის
 ირგვლივ დიდ ინტრიგებს... ამ ინტრიგების ქსელში და-
 ვით მეფის ქვრივი ანა დედოფალი უკვე გამშულიყო,
 და ეხლა მას სოლომონ მეფისაგან მოათხოვნინებ, რა-
 თა ძე ანასი, კონსტანტინე, მეფეს გაენთავისუფლებინა;
 ეს კონსტანტინე, რომელიც მამამ, მეფე დავითმა თა-
 ვის დროზე, იმის დასამტკიცებლად, რომ აწი ფიცს შე-
 ინახავდა და სოლომონ მეორეს კვლავ აღარ უდალატე-
 ბდა, მძევლად წარუგზავნა მეფეს. სოლომონმა ის მუ-
 ხურის ციხეში დაპატიმრა და მრავალი წელი იქ ინა-
 ხავდა. აშკარა იყო — რუსეთს კონსტანტინეს ციხიდან
 განთავისუფლებით სწადდა სოლომონის წინააღმდეგ
 ახალი პრედენდენტი გამოიყვანა, წარჩინებულთა ნა-
 წილი მოესყიდა, ტახტი ამ კონსტანტინესათვის გადა-
 ეცა და სოლომონ მეფე როგორმე გაერიყა. ეს კი დიდად
 გააადვილებდა იმერეთის რუსეთთან შეერთებას. იმ ხა-
 ნებში რუსეთი ხომ აღარ ენდობოდა მეფეს, განსაკუთ-
 რებით მას შემდეგ. რაც მან ბატონიშვილთა გამდგარი
 წრე: იულონ და ფარნაოზ მხლებლებით შეიძინა და ალე-
 ქსანდრე ბატონიშვილს დაუკავშირდა; აქედან სჩანდა,
 რომ სოლომონი ქართლ - კახეთის ამბებში ერეოდა და
 წაგებული საქმის გამოსწორებას ცდილობდა სოლეიმან
 ფაშის (ახალციხის), ბაბა - ხანის (სპარსეთის) და ლე-
 კების დამარებით. მდგომარეობა გამწვავდა აგრეთვე
 მეფის დიპლომატიური ჩატევითაც რუსეთსა და დარუ-
 ჯან დედოფლის შორის წარმოებულ დავაში: სოლო-
 მონმა პეტერბურგს მიმართა თხოვნით, რათა ბატონი-
 შვილი იულონი ტახტზე დაემტკიცებინათ ამით კი 1783
 წლის ტრაქტატი თავისთვად ძალაში უნდა შესული-
 ყო. მეფის ასეთი მტრული პოზიციის გამო რუსეთმა
 გადასწყვიტა ეხლა სხვატრივ მოველო საქმისათვის: —
 მან პეტერბურგიდან საგანგებო მოხელე, სოკოლოვი წა-
 რავლინა სოლომონ მეფესთან და ითხოვა კონსტანტინე

ბატონიშვილის განთავისუფლება. დარეჯანის რჩევით,
მეფემ ეს წინადაღება ამხელადაც უარპყო.

დარეჯანი და სოლომონი კარგად ხედავდნენ, რომ
რუსები კონსტანტინეს ახალ პრეტენდენტად ამზადებდე-
ნენ. ფრთხილმა მეფემ უკვე აღრევე განიშრახა კონს-
ტანტინეს დედის, ქვრივ დედოფალ ანას დაპატიმრება
და ამით მისი კავშირის გაწყვეტა რუსებთან და ციცი-
ანოვთან. მაგრამ რუსის ჯარმა ანა იხსნა და შემდეგ პე-
ტერბურგს გაგზავნა. და იმ, იქედან, ხელმწიფის მიერ
ზურგ - გამაგრებული, ანა რუსეთის რწმუნებულ სოუმ-
ლოვის პირით შვილის განთავისუფლებას მოითხოვდა.
რუსთა გეგმა იყო: — კონსტანტინეს მუხურიდან გა-
მოშვებისათანავე სოლომონ მეფეს თავს დასხმოდნენ და
ტახტზე კონსტანტინე ბატონიშვილი აეყვანათ.

სოლომონის გადაქრილი უარით დამარტებული რუ-
სეთი, ეხლა შეეცადა სხვა გზით მოევლო იმერეთისათვის
და ციციანოვის დახმარებით ჯერ როგორმე სამეგრელო
ჩამოშორებინა მეფისათვის და შემდეგ თვით იმერეთს
დასცემოდა.

მართლაც, 4. 12. 1803 წელს გრიგოლ დადიანმა რუ-
სეთის ერთგულებაზე ფიცი დასდო; რუსეთმა ამავე
დროს, ლეჩხუმის ოდიშზე გადაცემით იმერეთს ზღუდე
შეუნგრია მის შემდეგ ციცანოვმა მეფეს დაბეჯითე-
ბით მოსთხოვა გამდგარ ბატონიშვილთა (იულონისა და
ფარნაოზის) გადაცემა და კონსტანტინეს განთავისუფ-
ლება. სამეგრელოს დაკარგვით დასუსტებულმა მეფემ
ისევ შერიგება არჩია და კონსტანტინე იმ პირობით გა-
ანთავისუფლა, რომ იმერეთიდან გასულიყო, რათა მეფის
წინააღმდეგ რუსთა შთავონებით მას ინტრიგები არ
დაეწყო; ხოლო იულონი და ფარნაოზი კი რუსეთს მა-
ინც არ გადასცა.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა მეფე სოლო-
მონმა არჩია თვითონვე გაემართა რუსეთთან ტრაქტა-

ტის შესახებ მოლაპარაკება და ამ მიზნით სოლომონ ლეონიძე პეტერბურგს გაგზავნა დესპანად საგანგებო მინდობილობით. ბრძენმა კანცლერმა პეტერბურგს პროექტი წარუდგინა და მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ ს. ლეონიძის ამ ცდებს ციციანოვი მაშინვე გადაეღობა და რუსთი დააიმედა: — იმერეთს მალე იარალით დავიშერო! რუსეთი ამ აზრს სიამოვნებით დაეთანხმა და 26. 10. 1803 წელს ალექსანდრე პირველის ბრძანებით ციციანოვი ჯარით უნდა შესულიყო იმერეთში, მეფის „დასასჯელად“, რომელსაც სამეგრელოს მტრობის გარდა, ხონთქართან ახალ ურთიერთობას აბრალებდნენ. თითქოს ამ მიზეზით რუსეთი იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა დაწყებული მოლაპარაკება ტრაქტატზე ელჩ ს. ლეონიძესთან და ის უკან გამოესტუმრებინა. ხოლო სამეგრელოსთან თავისუფალი მიმოსვლის აღდგენის მიზნით ციციანოვს იმერეთი ჯარით უნდა დაეკავებინა. მეფე დიდ ხანს უწევდა ციციანოვს წინააღმდეგობას და მოლაპარაკებას აჭიანურებდა. მოთმინებიდან გამოსულმა ციციანოვმა მიუგზავნა მას მიხ. ვორონცოვი უკანასკნელი მოლაპარაკებისათვის, მაგრამ ლეჩხუმის საკითხი გამოყოფილი დარჩებოდა, ვიდრე თვით ხელმწიფე მას არ განიხილავდა.

მაგრამ ბი ლოს, როცა რუსეთის ჯარები იმერეთში შეიჭრნენ და ხალხის რუსეთშე დაფიცება დაიწყება, სოლომონმა დათმობა არჩია და 25 აპრილს 1804 წელს ტრაქტატს ხელი მოაწერა, მ პირობით კი, რომ ლეჩხუმის საკითხი გამოყოფილი დარჩებოდა, ვიდრე თვით ხელმწიფე მას არ განიხილავდა.

გენერალ ციციანოვმა იმპერატორის დავალებით მეფეს ალექსანდრე ნეველის ბრილიანტიანი ორდენი უწყალობა.

ამ „სათხოვარ მუხლთა“ ე. ი. ტრაქტატის დამტკიცებით მეფეობა საშვილიშვილოდ უნდა დარჩენოდა ხო-

ლომონ მეორეს. ამით ხომ ჯერ კიდევ ყველაფერი წა-
გებული არ იყო და მეფეს შეეძლო მომავლის იმედი
არ დაჰკარგოდა.

მართლაც, მოულოდნელად სოლომონ მეფეს ორი
დიდი მტერი ჩამოეცალა. 24. 10. 1804 წელს გარდაიც-
ვალა გრიგოლ დადიანი. ხოლო ცოტა ხნის შემდგომ
ბაქოს კარებთან რუსთა უდიდესი სიმაგრე და უდიდე-
ბულესი პოლიტიკოსი და აღმინისტრატორი - მხედარი,
გენერალი პავლე ციციანოვი მოჰკლეს ღალატით, ოლ-
ონდ ყველა იმედი ტყუილი გამოდგა და სოლომონის
მდგომარეობა ვერც ამან გამოასწორა.

მოხდა სრულიად წინააღმდეგი: — ახალმა მთავარ-
მართებელმა გრაფმა გულოვიჩმა ციციანოვის მიერ და-
დებული ხელშეკრულება ერთბაშად დაარღვია, იმერე-
თში და კერძოდ ქუთაისში დიდალი ჯარები შეიყვანა
და ერთგულების დასამტკიცებლად მეფეს დელეგაციის
რუსეთს წარგზავნა მოსთხოვა, ხოლო დელეგატთა სია
მეფის ერთგულთაგან ამ ხელადაც თვითონ რუსეთმა
შეიმუშავა, რათა ამით მცირებათვის ყველა ერთგული
ჩამოეცილებინა. გაბრაზებული მეფე ვარციხეში გა-
დავიდა და მოითხოვა, თანახმად დადებულ პირობათა,
რუსის ჯარების გაყვანა ქუთაისიდან და ლეჩხუმის უკან
დაბრუნება. მდგომარეობა გამწვავდა და ხელმწიფე
ალექსანდრე პირველმა განკარგულება მისცა გუდევიჩს:
— სამეფო მთლიად დაეკავებინა, მეფე სოლომონი გა-
დაეყენებინა და ოჯახობით პეტერბურგს ვაეწვია; ხო-
ლო იმერეთში „დროებითი შმართველობა“ დაეწესე-
ბინა და იმერეთის სამეფო სამუდამოდ გაუქმებულად
გამოეცხადებინა.

ამის განხორციელება გუდოვიჩმა ვერ შესძლო.

გრაფ გუდოვიჩი მალე შესცვალა ახალმა მთავარმარ-
თებელმა, მრისხანე და დაუნდობელმა გენერალმა ტორ-
მასონემა.

გენ. ტორმასოვი სწრაფად შეუდგა ხალხის დაფიცებას რუსეთის ერთგულებაზე, ხოლო სოლომონ მეფემ კი თავისი ერთგულნი შეკრიბა და რუსთ მედგარი ბრძოლები გაუმართა (1809 წ.). გენ. ტორმასოვმა თავის მარჯვენა ხელს, გენ. სიმონოვის (ტომით ბოლგარელს) მიანდო — დიდი ძალის ჯარებით შეეტია მეფისათვის, და თან საიდუმლო დავალება მისცა: — მეფისათვის სამი დღის ვადა კიდევ დაენიშნა, რათა იგი დასთანხმდებოდა ნებით ჭუთასს მისვლაზე და ტორმასოვის მიერ დანიშნულ დეპუტატთა პეტერბურგს გაგზავნაზე. ამ დელეგაციაში უნდა ყოფილიყვნენ: — სოლომონ ლეონიძე, კრისტიანთინე ბატონიშვილი, რომელიც რუსებს გამოექცა და მეფეს მიემხრო, როსტომ ნიუარაძე, სეხნია წულუკიძე და სხვანი. ამნაირად, მეფის ერთგულნი უნდა მოეშორებინათ იმერეთიდან. ხოლო თუ მეფე ეხლაც გაძალიანებოდა და მას არ აასრულებდა, გენ. სიმონოვის უნდა გამოეცხადებინა მეფის გადაყენება და მაშინათვე ხალხი რუსეთის ერთგულებაზე დაეფიცებინა. ამასთან ერთად, მას იმერეთის „დროებითი შმართველობა“ უნდა დაენიშნა, რუსის მოხელის თავმჯდომარეობით.

20. 11. 1810 წელს მართლაც გამოცხადდა რუსთა განკარგულება და გენ. სიმონოვიმა ხალხის დაფიცება დაიწყო. იმავე 20. 12. 1810 წელს მეფემ მეუღლე თვისი და ოჯახის წევრნი მთაში გახიზნა; ხოლო თვითონ კი გარციერები გამაგრდა 4.000 ერთგულით; ხოლო როცა მეფეს ღიღძალმა ჯარებმა აქ ალყა შემოარტყეს, ის ბალდათში გადავიდა და იქედან საქარას მიაშურა. აქ ის ხანის მცხოვრებთა დახმარებით გამაგრებას იწყებს, მაგრამ მოუღლდნელად ხანის ხეობაში ლინასევიჩის ძლიერი რაზმი გაჩნდა და მეფეს იმედები წაერთვა.

ას, ამ უმძიმეს დროში დედოფალი მარიამი შეეცადა შეთანხმების შიღწევით დროს მოგებას და საქმის კამბ-

რუნებას. ის მიღის ზურაბ წერეთელთან (სახლთუხუცესთან), რომელსაც რუსი ნდობით უცერიან და მას სთხოვს: — უშუამდგომლოს ტორმასოვის წინაშე, რათა დროებით შეჩერებულ იქმნას ხალხის დაფიცება და ომის წარმოება.

დედოფალი მარიამ პპირდებოდა, რომ მეფე ამ შემთხვევაში ყველატურის თანახმა გახდებოდა, შესაფერ პირობას და ხელშერილს დასდებდა, რომ გაგზავნიდა პეტერბურგს იმ დელეგატებს, რომელნიც ტორმასოვს სურდა; ოლონდ თამეფონ ნუ მოსპობენ და ნურც მოითხოვენ, რომ მეფე ქუთაისში გადასახლდესო. იჭვი არაა, დედოფალი აშენად ხედავდა, რომ ქუთაისში ჩასულ მეფეს გენ. სიმონოვიჩი მაშინვე პატიმრად გამოაცხადებდა. როგორც ვიცით, ზ. წერეთლის შუამდგომლობა უშედეგო დარჩა. გუნ. ტორმასოვმა მას უარი უთხრა და განაცხდა, რომ ხელმწიფის ნება ასეთია და ვერ შევსცვლიო, ხოლო ბოლოს დასძენდა: — მარიამის თხოვნა მიმაჩნია გულშრფელად, მაგრამ ამას ვერ შევსრულებთ, ვიდრე „ყოფილი“ მეფე თვითონ არ შეასრულებს ხელმწიფის ბრძანებასო. (იხ. აქტები, ტ. 2)

იმ დროს რუსის ჯარს ისე მტკიცედ ეჭირა ხელთ იმერეთი, გარდა ხანის ხეობისა და ორიოდე ციხისა, რომ რუსებს მოლაპარაკება აღარ სურდათ. მაგრამ მეფე მაინც არ დანებდა მტერს და იმას მაინც მიაღწია, რომ სიმონოვიჩს საჩქაროდ ფიცი ჩამოართვა, რომ მის მეფის ხარისხს არ შეეხებოდნენ, და უკანასკნელ ერთგულთა თანხლებით (500 კაცით) ტორმასოვს გორის ახლოს მოსალაპარაკებლად შეახვედრებდნენ.

15 მარტს მეფემ მხლებლებითურთ სოფელ საზანო-საკენ გასწია, სადაც იმ უამაღ იმყოფებოდა მისი მეუღლე მარიამი. მეფემ აქ სამი დღე დაჰყო თავის საყვარელ მეუღლესთან და იმერეთის მწარე ბედზე და მის

მომავალზე ორივემ ბევრი ცხარე ცრემლი დაღვარა.

აქ მეფე არა მარტო დედოფალს, არამედ სხვა წარჩინებულთაც ანუგეშებდა, რომ მას 500 შეიარაღებული ახლავს და ქართლის საზღვარზე შეხვდებიან ტორმასოებს; ამას გარდა, რომ სოლომონ ლეონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი მან უკვე ადრევე გაისტუმრა დესპანებად ახალციხეს და იქიდანაც შველას მოელის...

ამათ გამოდგა ეს იმედები.

ტორმასოვი დანიშნულ ადგილის მეფეს არ დახვდა და მან მეფე უფრო იქეთ, გორში მიიწვია. ხოლო გორში მეფეს მხლებლები მოულოდნელად ჩამოაცილეს, ფიცი გასტეხეს, ისინი განაირალეს და მეფე პატიმრად თბილის მიიყვანეს.

ტყვედ ქმნილი მეფე სოლომონ რუსებმა სუმბათა-შვილის სახლში მოათვესეს.

1. 4. 1810 წელს გენ. ტორმასოვი დედოფალ მარიამს საგანგებო წერილით ატყობინებდა, რომ ვარულებ თქვენი ქმარის თხოვნას და თქვენ გტოვებთ საცხოვრებლად იმერეთში, სოფელ საზანაშიო. მეფე კი ჯერ-ჯერობით აქ დარჩება თბილისში, ვიდრე არ მივიღებთ ხელმწიფის ბრძანებას მისი მომავალი ბედის გარდამწყვეტისათვის. (იხ. აქტები, ტ. 2).

მაგრამ იმერეთის ერთულმა შეილებმა სხვაგვარიდ „გარდასწყვიტეს“ მეფის ბედი და შესანიშნავის მოხერხებით სოლომონ მეფე 11. 5. 10 წ. თბილისიდან გააპარეს და დიდი, ზეიმითა და ამბით ახალციხეს მიიყვანეს.

მეფეს და მის მხლებელთ ს. კოტელიაში ალექსანდრე ბატონიშვილი დიდის ამბით შეეგება და ზეიმით მიაცილა ახალციხემდე.

აქ, მათ გარემოცვაშა სოლომონ ლეონიძესთან და მალხაზ ანდრონიკაშვილთან ერთად იმყოფებოდნენ აგია-შვილები, წერეთლები, გურიელები და სხვა წარჩინებულ-



ALEX
3EM

იმერეთის უკანასკნელი მეფე, სოლომონ მეორე
1773 — 1815

ნი, რომელთაც ფარ-ხმალა არ დაეყარათ და პოლიტიკურ და სამხედრო კავშირებზე ოცნებობდნენ, ნაპოლეონიდან დაწყებული, ეგვიპტის და ტრაპეზუნდის ფაშით გათავებული.

მეფე ყველგან დესპანებს გზავნიდა, მაგრამ სხვაზე უფრო უმაღ თვით იმერეთს სჭიროდა გამხნევება და იმედის ხმის მიწვედენა, და მეფე ხალხს ცეცხლის - მომდები მოწოდებებით მიმართავდა და მას უსნიდა — თუ რად დასტოვა სამშობლო და აა ხიფათს უმშადებდა რუსეთი ძველ სამეფოს. მოვიტანოთ მეფის ერთი წერილიდან, რომელიც მან ქუთათელ მიტროპოლიტს გაუგზავნა, ზოგი ადგილი: „მერმედ“, სწერდა მას მეფე, „როდესაც გადაწყვეტით გული დავაჯერეთ, რომ რუსეთს მისტუმრებდენ — თქვენის მოშორებისა და იმერეთის საუკუნოდ დატოვების ცეცხლი ჩემს გულს მოეგზნა; ცას ქვეშეთ დიდებას, თქვენთან ყოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვარჩიე — ჩემი თავი გარდავსდევ, ღამით გამოვედი და 23 ცხენისანის ხლებით აქ მშვიდობიანად ჩამოველი“-ო, და განაგრძობს: „აწ თქვენგან და მთელის იმერეთისაგან ჩემი საწადელი ეს არის: მე თუ სხვა სამსახური არმე დამიკლია იმერეთისათვის, ეს კი ყველამ იცით, რომ თქვენის პატივისცემის და სიყვარულისაგან არაოდეს ჩემი გული არ გამაძლარა... ამაზედაც ფიცით გარწმუნებთ, — თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც თქვენის მოუშორებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სიხარულით მივიღებდი... მაგრამ ვიცი და თქვენც ხედავთ, რომ როგორც სხვა თქვენი მეზობელნი იმათ (რუსთა) ხელში უნუგეშოდ ჰკენესიან და დღე და ღამ ოჯახის პატივიდან მდაბლებიან სახლისა და ცოლშვილის უპატრონობისათვის სიკვდილს ნატრულობენ, თუ იმერეთის დამორჩილებაზე გულ დასმულნი შეიქმნენ,

მერე უმწარესი და ყოველს მეზობელზე უძნელესი დღე იმერეთს მოადგება, და რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათის ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ შეხედეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის), რომელსაც პირველში ფიცითა და ოქროთი მოატყუება და დღეს აღარც სიმდიდრე უხარისხოთ და აღარც თავეთი სახლი, და სიკვდილს ნატრულობენ. ყველამ იცით, რომ თავეთ ჩვეულებას (ჩუხები) თქვენთვის არ გამოსცველიან, არც თქვენს მამა-პაპას იცნობენ, არც აქვთ სიყვარული და გულის შეტკავება, რომელიც მე მაქვს, გიცნობთ და მიცნობთ!.....

ყველანი განამტკიცეთ და თქვენი ჩემზე მამაშვილური სიყვარულის შემძლეობა დღეს გამოაცხადეთ. თუ და-მაჯერებთ, მე თვითონ შემოვალ თქვენთან და უცხო ჯარებს ალარ დავეძებ, რომ ლვთისა და თქვენი შესაჭრებელი საქმე არა მოხდეს რა... ამაზედ გული დააჯერეთ — თქვენთან და იმერეთში ცხოვრებისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა დავისრულო, იცოდეთ". (იხ. აქტი, III, ნომ. 344).

ის, ასეთ გულწრფელსა და სიყვარულის ალით აღზნებულ წერილებს სწერდა მეფე იმერეთს.

ამის შემდეგ ყველაფერი შებრუნდა: იმერეთს იმედი დაეუფლა და ყველანი მეფის შემოსვლას გულის ძერით ელოდნენ. მარიამ დელოფალი ისევ საზანოში იმყოფებოდა და მეფის ახალ ბრძანებას უცდიდა...

გენ. ტორმასოვი მოსვენებას ჰქარებას; და სიმონვიჩს სწერს, «ვიცი რა იმერელთა ქარაფშუტა და მჩატე ხასიათის ამბავი, მინდა ზომები მიეიღო და ყოველივე ეხლავე აღვკვეთო, განსაკუთრებით უნდა ეხლავ გადავსჭრა ყოველგვარი კავშირის შესაძლებლობა მეფესა და იმერეთის შუა და ყველაზე უწინ იმ პირებთან, რომელთაც აქვთ დიდი გავლენაო. ამიტომ წინადადებას გაძლიერეთ ეხლავ გადაიყვანოთ და ფოთის ციხეში მოათავსოთ საგანგებო თვალყურის დევნის ქვეშ: დელოფალი მარიამი, დაი მისი მაია, მეუღლე მიქელაძისა, — დაი

სოლომონ მეფისა მარიამი, — მეუღლე მალხაზ ანდრონიკაშვილისა — მთელი მათი ოჯახთა შემადგენლობით, რაღაც დღეიდან მათი იმერეთში დატოვება სახითათვა. მაგრამ ყველაფერი ეს ისე სწრაფად უნდა მოხდეს და ისე მოხერხებით, რომ ხალხში რაიმე მღელაკარება არ გამოიწვიოს. ამავე დროს ყველა ამათი ქონება და მამული აღწერეთ და ხაზინას გადაეცით”-ო. (იხ. იქტები, ტ. 2).

მაგრამ სიმონოვიჩი, რომელიც იმერელთ უფრო ცუნდდა და მათი შეურაცყოფა სახითათვით მიაჩნდა, სხვა, უფრო ფრთხილ ზომებს ურჩევა გენ. ტორმასოვის: — ის სწერს, რომ დედოფლის ძალად გაყვანა ფოთის ციხეში და თან მამულების ჩამორთმევა აქაურ ხალხშე ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს. ამ ხალხს, რომელსაც ასე დიდად ჰყვარებია დედოფალი, არ შეეძლო, რომ მის ასეთ შეურაცყოფას შერიგებოდა და მოსალოდნელი იქნებოდა მღელვარებანი, ამიტომ სჯობს, დასძენს სიმონოვიჩი, დედოფალი ქუთაისში გადმოვიყვანო და აქ ჩემი თვალყურის დევნების ქვეშ ვიყოლიოვო. ასევე ურჩევდა ის მიქელაძის ცოლის, მაიას შესახებაც.

გენ. ტორმასოვი მიხედა რა, რომ ქალთა და განსაკუთრებით დედოფლის შეურაცყოფას იმერლები მას და რუსთ არ აპატივებდნენ, იძულებული გახდა სიმონოვიჩის დასკენას დათანხმებოდა.

ამავე ხანებში მან განსაკუთრებულის მოხსენებით და ბოლოშებით აუწერა ეს დიდი მარცხი პეტერბურგს და მეფის გაქცევა იმას მიაწერა, რომ თვითონ იმ დროს ყარაბაღში იყო... ამავე დროს გენერალი ტორმასოვი ბოლოშს იხდის, რომ მეფე სოლომონი დროშე ვერ გაამგზავრა რუსეთს. მეშინოდა მეტადო, სწერს იგი, რადგან მთის ხალხი და განსაკუთრებით ჩეჩენები და ყაბარ-დოელნი, რომელთა ქვეყანაში სოლომონი უნდა გაგ-

ვეტარებინა, აჯანყებული იყვნენო; ამიტომ იმ ადგი-
ლებში იმერეთის მეფის პატიმრად გატარება ყოვლად
შეუძლებელი იყო. აქვე თანდართულია სია იმერეთის
სამეფო სახლის წევრთა, საიდანაც ვტყობილობთ, რომ
მეფის დაი, მარიამი (მეღლე მალხაზ ანდრონიკაშვილი-
სა) თან გაჰყოლია განმდგარ ქმარს და ახალციხეში იმ-
ყოფებაო. ამრიგად, ეს ქალიც აჯანყებაში ურევიაო...

დედოფალი მარიამი გენ. სიმონოვიჩის წინადადებას
არ დაეთანხმა და ისევ საზანოში დარჩა, რადგან იცო-
და, რომ ქუთაისში გადასვლა მის ტყვეობას უდრიდა,
ხოლო ეხლა კი მოქმედება და მეფის შემოსვლისათვის
სამზადისი, ერის გამხნევება და დარაზმვა იყო საჭირო.

მოვიდა სანატრელი ხმაც და პროკლამაციები სოლო-
მინ მეფისა იმერეთს მოეფინა. მეფე ისევ შემოიჭრა სა-
მშობლოში და მისი დროშის ქვეშ ყველამ თავი მოი-
ყარა. დედოფალი გამხნევდა, გაკაუდა და ერთი ადგი-
ლიდან მეორეში დაჰქროდა და საყვარელ მეფის და სა-
მშობლოს დახმარებას ითხოვდა.

მალე საერთო აჯანყებამაც იფეთქა ქაიხოსრო აბაში-
ძის და დარეჯან ბატონიშვილის (სოლომონ პირველის
ქალიშვილი იყო) მეთაურობით. გენ. ტორმასოვმა დიდ
ძალი ჯარი და ახალი საჭურველი მიაშველა გენ. სიმო-
ნოვიჩს და ამ ჯარების უფროსად რენეგატი, გენერალი
ორბელიანი დანიშნა. ბრძოლები დაიწყო. მრავალ ად-
გილას იძლივნენ რუსი, სოფელ ალთან მათ დიდი ზა-
რალიც მიაყენეს, მაგრამ ჯარისა და არტილერიის სი-
მრავლემ ბოლოს მაინც სძლია იმერთ და მეთაური ქა-
იხოსრო აბაშიძე შვილებითურთ მოუკლეს.

დედოფალი მარიამი მაინც არ სცხრებოდა, ყველას
აგულიანებდა, ამხნევებდა. სწერდა და მოუწოდებდა....

გენ. ორბელიანი გენ. ტორმასოვს მოახსენებდა: —
ჩემი ჯაშუშები, მები ორჯონიქიძეები დაბრუნდნენ;
ეუნი ჩემგან კიკნაძეებთან იყვნენ მიგზავნილი; ეს ამ-

ბავი კი დედოფალ მარიამს შეეტყო და მაშინვე კიქნა-
ძეებისათვის ებრძანებინა დაეჭირათ ძმები ორჯონიქი-
ძენი, ვითარცა გამცემნი და რუსთა აგენტები, და მე-
ფისათვის მიეყვანათ (იხ. აქტები, 4).

24 ივლისს ბრძოლის შესახებ გენ. ტორმასოვი პე-
ტერბურგს მოახსენებდა: — ჩხერთან აჯანყებულ 5.000
კაცისაგან შემდგარ რაზმს გაემაგრებინა ადგილები.
დიდი და მწარე ბრძოლათა შემდეგ მტერს ზარბაზნებით
უქნ დავახევინეთ; აქ დახოცილთა შორის იპოვნეს
გვამი დიმიტრი აბაშიძისა, რომლის ჯიბეში აღმოჩნდა
ქალალდები: — წერილები მეფე სოლომონისა, დედო-
ფალ მარიამისა და სხვათა, რომელიც მტერთ ხელმძღ-
ვანელობდნენო. ამ დიდი დამარცხების შემდეგ, დასძენს
გენ. ტორმასოვი, იმერეთი, იმედია, დაცხრება, და გენ.
სიმონოვიჩი დამაზავებებს ციმბირს გადაასახლებსო. დე-
დოფალი მარიამი კი სამეგრელოში გახიზნულა და იქ-
დან მის ჩამოსვლას ველოდებითო. (აქტები 4).

ამ ბრძოლათა შესახებ თვით გენ. სიმონოვიჩი 30 .
9. 1810 წ. ასე მოახსენებს გენერალ ტორმასოვს: —
მტერი 23. 9. დავამარცხე და ხანის ხეობაში მეფეს გზა
მოეუჭრ და როცა ხანს კუახლოვდებოდა, 25. 9. დი-
ლით, მეფე გადავიდა ახალციხეში და მას გაჰყეა თან 200
ერთგული. დედოფალი უკვე აღრევე დამპირდა ქუთა-
ისს მოსვლას, მაგრამ არ შესარულა; შემდეგ შევიტყვე,
რომ 26. 9. მისულა სამეგრელოში მთავრინასთან. მას
ახლდნენ აბელ ნიუარაძე, ოტია ლორთქიფანიძე და მე-
რაბ და ვახუშტი მდივანიო. მივიღე რა ამის ცნობა, მი-
ვსწერე მთავრინას — ჩამოიყანოს დედოფალი, რაზე-
დაც მან მიპასუხა, რომ თვით მოვა და ამაზე პირადად
მომელაპარაკებაო და მეც ამას ვუცდიო.

ამის შემდეგ წერილში 6. ოქტომბერს ის ატყობინებს
გენ. ტორმასოვს: — აქამდის ველოდებოდი მთავრინას
(ნინოს) და ჯერ არ მოსულაო; მინდა მოველაპარაკო

დედოფალი მარიამის შესახებო. მალხაზ ანდრონიკაშვილის ცოლი მარიამი კი ახალციხიდან მწერს, რომ მას უნდა დაბრუნდეს და მეც უურჩევ და ვარწმუნებ, რომ არავითარი ხიფათი მას არ მოეღლისო...

მარიამის ოდიშში გადასვლაზე შემდეგს ვკითხულობთ დავით ბატონიშვილის ისტორიაში: —

1810 წ. როცა სოლომონი დაბრუნდა ახალციხედან და მიმხრო იმერნი, — ლენერალ ორბელიანმა შეუსიარესის ჯარი და იძლივა მეფე და წარვიდა ხანის მთით ახალციხეს და გამოუტევა მუნათ გზით მეუღლე თვისი, დედოფალი მარიამ და დად თვისი მაია, რომელიკა მიკიდნენ ღილაშს, სამშობლოს თვისისა, სახლსა და დაიანისა ხოლო ტორმასოვგმან სთხოვა დადიანსა ცოლი მეფისა, დედოფალი მარიამ და გარდაიყვანოს ტფილის, მეფის დით მაიათი და მუნით ორნივე წარგზავნეს რუსეთად და პატიმარ ჰყვეს კორონებას ქალაქსა შინა (დ. ბატ, გვ. 92).

ამავე საგანზე ნიკო დადიანი სწერს: —

„ულონო იქმნა მეფე... და წარვიდა კვალად ახალციხეს და მეუღლე თვისი მარიამ დედოფალი წარგზავნა დადიანისა ლეონისა თანა, ვინაითვან იყო მამის დად მისი. გარნა მოითხოვეს იჯი რუსთა, რათა წარგზავნოს რუსეთად, თუმცა ამისთვის დიდათ სწუხედა მთავარი დადიანი ლეონ და დედა მისი, საქართველოს მეფის ასული ნინო დედოფალი, გარნა ვერ წინააღმდეგა ბრძანებასა იმპერატორისასა და მწყალობელის თვისის ხელმწიფისა და წარიყვანა რუსეთად დედოფალი მარიამ“... (ისტ. ნ. დადიანისა, გვ. 42).

ტორმასოვიკ აღარ უსვენებდა სიმონიჩს: — ჩქარა ჩამომიყვანეთ თბილის დედოფალიო, და რა-კი მან ვერ შესძლო მთავრინას დაყოლიერა, ეხლა თვით მოჰკიდა ხელი საქმეს მთავარმართებელმა და დედოფალ ნინოსთან მიწერმოწერას გულმოდვინეთ შეუდგა.

18 — 10 — 1810 ტორმასოვი სამეგრელოს დედოფალს სწერდა: —

„შევიტყვე რა, რომ იმერეთის დედოფალი მარიამ თქვენთან იმყოფება და ვიცი რა თქვენი ქროგულება ხელმწიფისადმი, მჯერა, რომ თქვენ ეს ჩაიდინეთ: 1) ნათესავისადმი სტუმართმოყვარეობით და 2) რათა მოგესპონ

შისთვის შესაძლებლობა გარეულიყო მისი ქმრის ღალატ-შით. რა-ეკი მისთვის კეთილი გსურთ, გთხოვთ ურჩიოთ — დაადგეს მისთვის ერთად-ერთ საბედნიერო გზას: ეხლავ ნებით გამოსწიოს ჩემთან, სადაც დედოფლურ პატივში ვიყოლიებ, ვიდრე ხელმწიფის შესაცერ წყალობას მიიღებდეს; ვაცხადებ, რომ მას ორაცერი შეხვდება და ყოველგვარ მფარველობასა და პატივს, რაც მის ხაჩისხს შეზენის, არ მოვაკლებო. ყოველი განდგომა და წინააღმდეგობა მას მხოლოდ ზიანს მიუტანს, რადგან იძულებული ვიქნები ძალით გამოვიყვანო და არ მინდა თქვენს ოჯახს და მდგომარეობას ასეთი უსიამოვნება მივაყრო; დიდათ შეუფერებელი რამ იქნება ეს თქვენთვის. ამასთან გაუწყებთ, რომ მაქვს ხელმწიფის ბრძანება, რომ სადაც არ უნდა იყოს ის, უნდა ძალით გამოვიყვანო, თუ არ დამნებდა და თვით არ წამოყენა”-ო.

ტორმასოვი ასეთივე წერილით მიმართავს თვითონ მარიამს: — მასაც ფიცქ აძლევს, ყველაფერს ჰპირდება და სოხოვს, ძალდატუნებამდე ხუ მიმიკვანო. — მესამე წერილით ის მიმართავს მალხაზის ცოლს ახალციხეში და ურჩევს დაბრუნდეს და თან მასაც დიდ წყალობას ჰპირდება. — აი, ამ წერილებს უგზავნის ტორმასოვი სიმონოვის და სოხოვს: გადაუგზავნოს ისინი დანიშნულებისამებრ, და თან დასქენს, რომ შთააგონოს მარიამს, რათა ნებაყოფლობით ჩავიდეს თბილის. მაგრამ თუ დედოფალი ამ რჩევას არ მიიღებსო, მაშინ მან ძალა უნდა იხმაროს, მაგრამ ამ შემთხვევისათვის ჯარი „დიდი მოხერხებით უნდა გააგზავნოთ, ვითომ პროვიანტის გამოსატანად და საიდუმლოება უნდა იცოდეს მხოლოდ ოფიცერმა: იმან უნდა გადასცეს ჩემი წერილი დედოფალს და თუ არ წამოყენა, ძალა იხმაროს”; ყველა ბატონიშვილი, ცოლი მისი მარიამ, დარეჯან ბატონიშვილი და სხვები თბილის მოიყვანეთო (აქტები, 4).

დედოფალმა, ეტყობა, ამჯობინა საყვარელ რძლისა და მთავრის ოჯახისათვის ამგვარი უსიამოვნება და ხიფათი აეცდინა და მასპინძლები უხერხეულებიდან ეხსნა: — ის ნებას დაპყვა ტორმასოვს, ენდო სიმონოვის პატიოსან სიტყვას, რომ ღირსეულად მოეპყრობოდენ; გამოე-

თხოვა საყვარელ ოდიშს, ვაჲპინძლებს და გამოსწია.

2 ნოემბერს 1810 წ. ტორმასოვი თბილისის კომენ-
დანტს, სომებს ახვერდოვს სწერდა, რომ, სიმონოვიჩის
ცნობით, მალე საიმედო „ქონგოის“ ხლებით თბილის გა-
მოიგზავნებიან: დედოფალი მარიამ, მისი და მალხაზ ან-
დრონიკაშვილის მეუღლე — მაია (აქედან სხანს, რომ ეს
ქალიკ მთავარმართებელის ნების დაჰყოლია და ახალცი-
ხედან დაბრუნებულა), ბატონიშვილი დარეჯანი, ასული
სოლომონ დიდისა და სხვანი. ყველა ამათთვის გთხოვთ
დაამზადოთ თბილისში საკხოვრებელი ბინები და თან გე-
ვალებათ სასტიკ თვალყურის დევნაში იყოლით ყველაო.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, ახვერდოვი მართ-
ლაც, ატყობინებდა მთავარმართებელს, რომ იმერეთის
დედოფალი მარიამ და სხვანი 16 — 11 — 810 წ. თბი-
ლის ჩამოვიდნენ. მარიამი და და მეფისა მოვათავსე
ბაგდანოვის სახლში, დანარჩენი კი სხვა ბინებშით. ამათ
ამალაში არის 79 სული და ვცდილობ მათი რიცხვი შე-
ვამციროთ. დარაჯებიც ყველას მიუფლენეთ. დედოფალს
თვიურად 100 მანეთი დავუნიშნე. ამის გამო მან გამო-
მიგზავნა ბებუთაშვლი და შემომითვალა, რომ ეს თანხა
მისთვის ფრიად მცირეა და რომ თქვენ მას აღუთქვით
თანხა, და პატივი, რაიც შის მაღალ ხარისხს შეეფერებათ.
ამაზე ეუპასუხე, რომ ამ კითხვას მე თვითონ ვირ გადაეშე-
ვეტ-თქო. ამას გარდა, რადგან მას ნიკოლები აქ თან არ
მოჰყოლია, მივეკი ბრძანება, რომ იმ ქონებიდან, რაიც
დარჩა გაქცეულ მედის შემდეგ (ნოხები, საბნები და სხვა)
დედოფალს მიეცეს.

დედოფალი მარიამი, როცა შეატყო, რომ ტორმა-
სოვმა აქაც ფიცი გასტეხა, ალმფონთა და 16—12—1810
ტორმასოვს მიმართა. დედოფალი სწერდა — თქვენს ფი-
ცსა და დაპირებას დავყევი და მყისვი თბილის ჩამოველ.
არაეითარი დანაშაული მე არ მიმიღვის ხელმწიფის წი-
ნაშე, გარდა იმისა, რომ ვარ მეუღლე იმერეთის მეფი-
სა. ეხლა არ მესმის, რად მეპყრობიან ასე შეუფერებლად
და უდირრად. თქვენთან სამი თხოვნა მაქს: 1) დღემდე
თქვენ არ ისურვეთ ჩემი მიღება, 2) რად დამინიშნეთ თვი-
ურად 100 მანეთი, რაიც ჩემთვის კი არა, უკანასკნელი
დღამრანისათვისაც მცირედია, — თქვენ კი აღმითქვით,

მივიღებდი ყოველგვარ პატიქსო, 3) ოდიშში წასვლის წინ
ქუთაისში დავსტოვე ზოგი ჩემი პირადი ნივთები და აგ-
რეთვე ჩემი მოახლენი, ეხლა კი ყოველი ესეკ ჩამომართ-
ვეს და სრულიად მარტო და უსახსროდ დავრჩი, — ვით-
ხოვ პასუხსო. ამის პასუხი ის იყო, რომ დაახლოებით
ერთი კვირის შემდეგ ღენერალ დელპაკოს ატყობინებდა
ტორმასოვი (22 — 12 — 1810 წ.), რომ ხუთ დღეში აქე-
დან ვორონეჟს იჯზავნებიან (ამ საშინელ ზამთარში და-
რიალზე მოგზაურობა დედოფალს არ გადაუდვეს და ასე
მისი გადასახლება დაჩქარეს), დედოფალი მარიამი და
მისი დაა ანდრონიკაშვილის მელლეო, — უკანასკნელი
მისი შვილითო, — და გთხოვთ: მიიღოთ ზომები მათი
მოზღოვამდე გასაცილებლადო.

დედოფალისა და სხეათა გადასახლების შესახებ 29
— 12 — 1810 წ. ტორმასოვი მინისჭის რუმიანცეკის მო-
ახსენებდა: „როგორც 16—12-ს გწერდით, გადმოვიყენე
დედოფალი მარიამი და ბატონიშვილები თბილისს. დე-
დოფალ მარიამს და მეფის დას, მაღაზ ანდრონიკაშვი-
ლის მეულლეს, როგორც ისეთ პირ, რომელნიც იმერე-
თის აჯანყების გაძლიერებას ხელს უშეკობდნენ, რუსეთს
უაგზავნი და დროებით საცხოვრებელად ვორონეჟს ვუ-
ნიშნავ, ვიდრე იქ ხელმწიფის საბოლოო გადაწყვეტილება
მიუვათო. ამაზე დამატიბით უნდა გაუწყოთ, რომ დე-
დოფალი მარიამი, როცა სოლომონ მეფე, თურქთა და
ლეკთა ნაწილებით, აჯანყების მოსაწყობად იმერეთს შე-
მოიჭრა, მეფესთან იყო და იხმარებოდა მას, სწერდა სხვა
და სხვა იმერელ თავადებს მოწოდებებს, რომლითაც
სცილობდა მათ გადმობირებას სოლომონის სასარგებ-
ლოდო. ის წერილები, დახოცილ აჯანყებულთ რომ ალ-
მოაჩნდათ, ეხლავ ჩემთან ინახება. ამ ბრძოლებში დედო-
ფალი მუდამ და კველებან მიფის ახლდა და ბოლოს სო-
ლომონის უკანასკნელ საფარს, ხანის ხეობას მიაშურა მე-
ფესთან ერთად და მან არ დატოვდა ეს ადგილი, ირრე
მეოც აქაც არ დამარცხდა და მხლებლებითურთ ახალცი-
ხეს არ გადაიჭრაო. მაშინ დედოფალმა, რაკი ველარ შე
სძლო, რომ მეფეს თან გაპყოლოდა ახალციხესაკენ, მოა-
ხერხა საიდუმლო გზებით სამეგრელოს გასვლა და იქ დე-
დოფლის აჯახს შეაფარა თავი, როგორც მიკვალებული

მთავრის გრიგოლ დადიანის დამ. რაც შეეხება სოლომონის დას, მაღაზ ანდრონიკაშვილის ცოლს, ესეც ამავე წესით ყველაფერში ეხმარებოდა ქმარს, მაღაზაზს, რომელიც დიდი ერთგულია სოლომონისა. ის არამც თუ მუდამ ქმართან, მაღაზთან იმყოფებოდა ყველა პრეულობა - შეტაკებათა დროს, არამედ თან გაჲყვა მას ახალციხეს, მაგრამ მაღლე გადაიფიქრა და უკან დაბრუნდა. ორივე ამათ თბილისში მიეუჩინე ბინა და დაუზიშნე დედოფალს 100 მანეთი და მაია ანდრონიკაშვილისას 50 მან. თვიურად, თუმცა ეს თანხა მცირეა, მაგრამ მე ვერ მიეუმატე რამე. რაც გამგზავრებას შეეხება, ვიდრი ყველაფერი მზად ირა მქონდა, ვერ გავამგზავრე, — ეხლა კი მათ განვუჩხადე გამგზავრება და ისინი დამთანმხდნენ. იმერეთის საბოლოო დასამშვიდებლად უკილო იყო მათი საჩქაროდ გადმოგზავნა, რაღვან, თუმცა აქ ზვირვის ქვეშ იყვნენ, — მაგრამ მაინც მოახერხებდნენ დაკარგული ჯზების პოვნას, ხალხის აღრევას და მეფესთან კავშირის გაბმასო. რაც შეეხება მოხუც დარეჯანს, — შევიწყნარე მისი თხოვნა და ჯერჯერობით თბილისში დავტოვე, რადვამ ამ დიდ სიციეში უერ შესძლებდა ასეთ ძნელ მოგზაურობასო (იხ. აქტები, 4).

დედოფალი და მისი მული, სოლომონ მეფის დაა ამრიგად საჩქაროდ რუსით გადასასხლეს და ვორონევში პატიმრად ჰყვეს. შესწყდა მათი ახლო კავშირი სამშობლოსთან და ახალციხესთან, საიდანაც ორივე მებრძოლი და ლირსეული ქალები ახალ იმედიბს მოელოდნენ და ფიჭობდნენ, რომ სოლომონ მეფე და მისი სარდალი მაღაზი, ბრძენ სოლომონ ლეონიძის დახმარებით, კვლავ შეიძენდნენ რომელიმე ძლიერ მოკავშირეს, ახალის ძალებით დაესხმოდნენ იმერეთში მდგომ რუსის ჯარებს და ქვეყნას უშველიდნენ. ამ დღეს ელოდნენ ისინი, მაგრამ რუსეთი აჩქარებდა მათ გადასახლებას და გული დამშვიდებით არ ჰქონდათ, ვიდრე დედოფალს ჯერ კიდევ საქართველოს მიწაზე იდგა ფეხი.

მართლაც, რეზიდენტები საიმედო ცნობებს ვერ აწვდიდნენ რუსებს სოლომონ მეფის შესახებ. სიმონოვიჩი 22 — 12 — 1810 წ. ტორმასოვსა სწერდა, რომ ყოველი კუთხი ახალციხის ახლო თვითონ მოვიარე და შეიტყე, რომ მეფე არტაანიდან ისევ დაბრუნდა და გაგზავნა კონ-

სტახტინობოლს ელჩებად სვ. აგიშვილი და ქაიხოსრო წერეთელი, ხოლო ნაპოლეონთან კი პატრი ნიკოლა, როსტომ ნიუარაძე და კიდევ ერთი ჩრდილებული, — მეფე ნაპოლეონს მფარველობას და დაცვას სთხოვს. ეხლა სოლომონ მეფეს უკვე ბევრი მომხრენი ჰყავს და ალბათ გაისათ დიდის ძალებით კვლავ შემოგვიტევსო, დასძენს ღენერალი. რაც შეიხება ზურაბ წერეთელს, ისიც გადაუდგა რუსებს და თავისი შეილის სვიმონის საშუალებით მეფესთან კავშირშიაო. (იხ. აქტები, იქვე).

სოლომონის ეს გეგმა იმ უამად შავმა ჭირმა და სიმზილმა ჩაშალა, იმერეთში რომ მძვინვარებდა, ხოლო შემდეგ წლებში კი ნაპოლეონის დამარცხებამ, ალექსანდრე ბატონიშვილის (1812 წლის) ამბოხების ჩაქრობამ და ოსმალეთისა და სპარსეთის გაუტანონობამ. საბრალო მეფეს იმედები დაემსხრა და ამან მოუსწრავა სიცოცხლე ჯერ კითხვ ახალგაზრდას და მხნეს... საყვარელი მუსლინის, ამ ერთგულ და მშევნიერ მარიამის ნახევის მონარქულმა მფეხი ერთხელ კიდევ სცადა და დირბის არქიმანდრიტის ხელით მთავარმართებელს მისწერა და სთხოვა — მეულლესათვის ნება დაერთოთ ჩასულიყო მასთან ახალციხეს, თან იმერეთში ზოგიერთ დაშთენილ ნივთების გამოტევასაც სთხოვდა, — მაგრამ ყველა ამაზე, რა თქმა უნდა, მეფეს უარი ეთხრეს... უმძიმესი : მწუხარება ლტოლვილ მეფეს თავს დაატყდა, როგა მისი დასაყრდენი, მრჩეველი და ბრძენი სოლომონ ლეონიძე გარდაცვალა...

როგორ კხოვრობდა დედოფალი ვორონევში, ჩვენ სამწუხაროდ, არ ვიცით, მაგრამ საკმარის ითქვას, რომ ის იქ, ბატონიშვილ დაიგითის ცნობითაც, პატიმრად იმყოფებოდა. მისი ერთად-ერთი წადილი იყო — როგორმე საყვარელი მეფისათვის ცნობა მიეწვდინა, რომ მხნედ ყოფილიყო, და რომ მისი ნილვის იმედით ცოცხლობდა.

როგორ დედოფალმა შეიიტყო, რომ ტორმასოვის შემცულელი პაულინი თბილის მიდიოდა, მან მოახერხა მისი ნახევა და ახალ მთავარმართებელს წერილი გადასცა მეფისათვის ახალციხეში გადასაგზავნად. ამ წერილში დედოფალი თავის შეულეოს ურჩევდა: უკან დაბრუნებულიყო; ამით დედოფალს უნდოდა მეფისათვის როგორმე ხმა მიეწვდინა. პაულინიმა ამ წერილს თავისიც ზედ მიაყოლა,

ურჩია მეფეს რუსეთთან შერიგება და პატივებას დაპირდა. მეფემ ამაზე პაულის უპასუხა, რომ მზად ვარ დაებრუნდე, თუ კი უსამართლოდ წართმეულ ტახტს დამიბრუნებთო. ეს ისეთი პასუხი იყო, რომელიც ლირსეულ მეფეს შეეფერებოდა და რომელსაც სოლომონმა ერთხელაც არ უღალარა (იხ. აქტ. ,5).

მაგრამ თეთონ მეფეს უღალატა უკულმართმა დრომ, საკუთარმა ჯანმა, და იმერეთის, მის ერთგულ მხლებლების და კველაზე აღრე საკვარელ დედოფლისათვის მოულოდნელად ის უცხოეთში და ლტოლვილობაში, 42 წლისა ძლესრულა... ეს თავზარდამცემი ამბავი დედოფალმა კორონეებში ყოფნისას შეიტყო.

16 — 5 — 1815 წ. მთავარმართებელი რტიშჩევი დედოფალ მარიამ ატყობინებს, რომ 7 იანვარს 1815 წ. მეფე სოლომონი გარდაიცვალა ტრაპეზუნდში გულის დალის დაავადებით, სიმსივნით და სამძიმარს უთვლის მას, და თან აცნობებს, რომ თქვენი დიდი ხნის თხოვნა პეტერბურგს გადასახლების შესახებ ეხლა იმედი მაქვს დაკმაყოფილებული იქნება და გზის თანხაც მოგეცემათო. იგი ამასვე სწერს სოლომონის დას, მალაზის ცოლს; იმასც სამძიმარს უთვლის ძმის გარდაცვალებისა გამო და იმედს აძლევს, რომ ეხლა მაინც მიღებთ ნებას პეტერბურგში იცხოვროთ და გზის ხარჯებიც გადახდილი იქნებათ. ამავე ამბავს ატყობინებს მთავარმართებელი რტიშჩევი სამინისტროს პეტერბურგში, და თან დასძენს, რომ კორონეებში გაჭირვებით მცხოვრები ორი მარიამი... დიდი ხანია ითხოვს ნებას პეტერბურგს გადაყვანისასო და ეხლა, როდესაც სოლომონი მოკვდა, შეიძლება ეს თხოვნა შევიწყნაროთ; მით უმეტეს, რომ მათ ამ ხუთი წლის განმარტოებულის ცხოვრებით, თავმდაბლობითა და სამაგალითო მოთმინებით დიდი ნოობა დაიმსახურეს; გთხოვთ აპატიურო მათ, და გზის ფულად მისცეთ პირველს — 6.000 მან. და მეორეს — 4.000, რაღვან დღემდე ძალიან კოტას იღებდნენ და ჯრი დანამდვილებით, ჯალები დაედგათო.

თავისი მეულლის გარდაცვალების შესახებ საშინელი კნობის მიღებამ დედოფალს ყოველი ნუგეში და სიცოცხლის ძალა გამოაცალა. ეხლა მისთვის ერთბაშად დაიხშო ყოველივე და დაშთა მხოლოდ ერთად - ერთი მიზანი — საჩქაროდ მისულიყო იქ, სადაც მისი საკვარელი ქრის

და მეფის ძირდასი ცხედარი განისვენებდა. მის საფლავ-
 თან მუხლი მოყარა და ყველაფერი, რაც გულში დაგრო-
 ვილი ჰქონდა და აქამდე სწვავდა, მოთქმით, სამეგრელოს
 უდიდეს ოჯახთა ძევლი წესით, ამოეტირა... შემდეგ კი ეს
 ძირდასი ცხედარი გელათს წაესვენებინა და დაეფლო იქ,
 სადაც საქართველოს ბატონი და მეფენი უშფოთველსა
 და მარადიულ ყოფას მისცმონენ, და სადაც განისვე-
 ნებდა საყვარელი შეფის სახელოვანი ბიბი, დიდებული შე-
 ფე იმერთა, სოლომონ პირეველი. ეს უკანასკნელი, მისი
 დირი დამსახურებისათვის, როგორც ცნობილია, დაქრძა-
 ლულ იქმნა გილათის მთავარი ტაძრის შიგნით, რაც გე-
 ლათის მონასტრის გრძელ ისტორიაში იშვიათი მაგალი-
 თი ყოფილა.... ასე ფიქრობდა პატიმრად ყოფილი დუ-
 ღოფალი და თავისი ზრახვა და ტკიულები პეტერბურგს
 აცნობა და სოხოვა, ხოლო ამაუგ დროს ქუთაისში ღინე-
 რალ სვიმონოვის (ალკე თხოვნით მიმართა. მოვიწანოთ
 აქ ეს შესანიშნავი წერილი-გოდება, რომლის, სამწუხა-
 როდ, მხოლოდ ცუთი რუსული თარგმანი მოვიძოვეთ. იმ
 წერილის ზოგი ადგილი ჩემ შემოკლებით ვთარგმნეთ.
 წერილი მარიამისა ღენერალ სვიმონოვისადმი, 1815 წ.:

„ო, რა თავზარდამცირი ამბავი მეუწყა; რისხის ან-
 გელოსი დაუკრომელის შურის ძებით ჩემი მდევნელი
 და ბასრი მახვილოთ ჩემის გულის მჭრელი — ასე მოუ-
 ლონდნელად მისპობს ყოველ ბედნიერებას და უბედურს
 სულს ჩემსას იაღვსებს განუწყვერლივ ოხრითა და გო-
 დებითა, როცა მე თვითონ უნდა აღვიარო დაკარგვა ჩემის
 მეტისა და ბატონისა. ოხ, რა გაუგონარსა და უცნობ რა-
 მეს წარმოსთვისამ ჩემი ბავე დღის, რა გვარად იკვალა
 გონება ჩემი, რომელიც ამაყობდა თვისის ბედით, რადგან
 იხარებდა სიცოცხლით ჩემის ბატონის მეფისა და მოელო-
 და მის ხელში სულის დალევასა. ეხლა კი ყოველს სიხა-
 რულს მოკლებული, სასოწარკვეთილობის მორევს მიკე-
 მული, და სასკოდილო უკუნით მოჯოლი, ასე დამსაჯა
 შეუბრალებელის მრისხანებით შემომქმედდა, რომილმაც
 მიმიღო სინათლე ჩემის ყოფისა და მომაკლო უძრიზება-
 სესი განდი ისე, რომ არ დამიტოვა ქვეყნად არავითარი სი-
 ხალისე, რადგან დაშთენილი ვარ უმიმკვიდროდ... გონება
 და არგული და უმწეო მივციმივარ ცრემლთა ტალღებს,

რომელნიც სწავლინ ჩემს არსებას... პორფირისა და გვირ-
გვინის ნაცულად, შემოსილ გარ ძონებით და მწუხარების
ბასრი ისრები ჩხელიტინ ჩემს გულს და ულმობელი მახ-
ვილი ჰქოდავს ჩემს არსებას... მაგრამ ამ მრავალ გვარ
ჩემს მწუხარებას უფრო აღემარება და ყველაზე უფრო
შეაძლენებს სულს ის, რომ არ ვუწყი სად და რა გვარად
განისვენებს მისი უმაღლესი მეფური კეთილშობილებით
შემკული ცხედარი; უპატრონოდ უცხო ტომის ხალხში,
შეოფერებლად მისი მაღალი ღირსებისა და მე ველარ
მოვესწარ იმ ბედნიერებას, რომ ვემსახურო მას: რის გა-
მო ძრწოლა შემიპყრობს და გააფთრებულმა მინდა სული
ჩემი ხორცია გაყყარო, რათა ჩელირსო მასთან შეერთე-
ბასა”.....

ამის შემდეგ დედოფალი მიმართავს სეიმონვიჩს
თხოვნით — იშუამდგომლოს მთავარმართებელის წინაშე.
რათა აღუსრულონ მას ერთი და უკანასკნელი სათხოვარი:
მას სწადია „დასაფლავებისათვის საყვარელ ქმრის და ბა-
ტონის ცხედრისა, იმ მეტისა, რომელსაც არავითარი და-
ნაშაული არ მიუძლის, რომელიც მხოლოდ თავისი ქვეყ-
ნის სიყვარულისათვის აღესრულა და დაშთენილ იქმნა
იგრე უპატრონოდ, აი , ამ ძეირფასის ნეშთის, ჩემის სა-
კუთარის ხარჯით გადმოსვენებისათვის გელათში დასაკ-
მალავად, დამრთონ ნება, ჩამოვიდე ჩემს სამშობლოში.
ამის გარეშე მე დღეს არაფერი მწადიან, არც თუ სახელი,
არც დიდება და არც პატივი, ია იქამდე თვით სიკოცე-
ლეც კი არა. დამირწმუნეთ, რომ არა სამშობლოს ნახვისა-
თვის და მისი სიყვარულისათვის და არც სხვა რაიმე მოსა-
ზრებით ვითხოვ მე ამას, რადგან მთელი ჩემი სიკოცხლე
მიმაჩნია უკვე მარტოოდენ უქმად და აჩრდილად.....
გთხოვთ შემიწყნაროთ და დამეხმაროთ ამ ჩემის ველრების
აღსრულებისათვის გარეშე ამისა არ არსებოს ჩემთვის
რაიმე ნუგეში და არ ძალებს ადამიანს მანუგეშოს მე რი-
თიმე; გარეშე ამ წადილის აღსრულებისა — ამ ერთად-
ერთ წადილისა, რათა ჯაჭვი ლირსი შევეხო მის ძვირფას
ცხიდარს და ვემსახურო მას ბოლომდე, რაიც ჩემი უმაღ-
ლესი მოვალეობა არის. შეიწყალეთ სისხლის ცრემლების
დამთხვევი და მუხლმოყრით მაგედრებელი, რომელიც აქ-
ამდე მოითხოვდა პატივს, ვითარცა გვირგვინოსანი დე-

დოფალი, იხლა კი დამკარგვილი საყვარელი ბატონისა თვისისა, რომლის გულისათვისკა სიხარულიად მივიღებდი ყოველსა სასჯელსა, ხოლო იხლა ეს ყოველივე ჩემთვის ფუჭი გამხდარა.... ეხლა თქვენის წერილიდან ვტყობი-ლობ, რომ ნება მომეცემა გადავსახლდე საცხოვრიშლად პეტერბურგში; თქვენ ეს გსურთ სთხოვოთ მთავარმართებელს, ძაგრამ ეს დღეს ჩემთვის არარაა, თუ წინასწარ არ მომეცემა ნებართვა ჩემის სათხოვარის შესრულებისა. შემდეგ ჩემთვის სულ ერთია, სადაც ენებოს ხელმწიფებს, იქ მიბრძანოს კხოვრება... ამავე თხოვნით მივმართე უკვე ბ-ნ მინისტრს და თუ იმის დაკმაყოფილება ჯერ მივიღე, მაშინ ჩემის საკუთრივობით აღვავსებ მთელი რუსეთის საზოგადოებას, მოვისპობ რა საკუთარი ხელით ჩემს სიცოც-ხლეს“....

ეს თხოვნა დედოფლისა, რომელიც აქტებში დათა-რიდებული არაა, დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით ივ-ლისში ან აგვისტოში 1815 წლისა. დედოფალი დიდხანს ელოდა პასუხს, მაგრამ მთავრობა საქმეს არ აჩქარებდა და დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, მიიღო მან უმაღ-ლესი რჩევა, რომ ამ ხანად უმჯობესია გადასახლდეს საც-



ხატი შეწირული მეფე სოლომონ II-ის დახს; მარიამ ანდრონიკაშვილისმიერ.

ხოვრებლად (მალხაზ ანდორონიკაშვილის მუსლესთან და ვაჟთან ერთად) მოსკოვში, საღაც უკვე კარგა ხანია იმყოფებიან მრავალი წევრინი სამეფო ოჯახისა ქართლ - კახეთიდან და აგრეთვე იმერეთიდანაც. პეტერბურგი ამ რიგად ნაწილობრივ დაეთანხმა მთავარმართებელს რტიშ-ჩევს; დედოფლის ზემოთმორქანილი ოხოვნის შესახებ, ის 2 — 5 — 1816 წლს სამინისტროს საგანგებო შეკითხვაზე უპასუხებდა, რომ „სამშობლოში დაბრუნება იმერეთის დედოფალ მარიამისა ... და მისი დარჩენა ისეთ ქვეყანაში, საღაც ის დედოფლად იყო და ინაწილებდა მეღესთან ერთად მართვა-გამგებას; იმ ქვეყანაში, რომელიც ამ უმაღ ექვემდებარება ერთადერთ ძალას რუსეთის კანონებისას, იქ დედოფლის დაბრუნება უნდა ჩაითვალოს არა თუ შეუფერებლად, არამედ სახიდათოდაც, რადგან, რაც არ უნდა მართობაში და თავდაჭრილობაში იმყოფებოდეს იქ დედოფლალი, ვერ ასკედებით სხეა და სხვა სახის პრიტენზიებს თა ერთგვარ დაბკოლებებს მართველობის საქმი. მისი გამო და რაღვან დედოფლალმა ბევრი მწუხარება და გაება გადაიტანა სამშობლოდან ჯაძევებისა, ლორსების ჩამორთმელისა და აგრეთვე ხანგრძლივი დატყვევებისა გამო („ზატოჩენი“) ვარონერში და კულა იმ გაჭირებათა გამო, რაც მას ამ ხანებში დააწეა, ჰეშმარიტაო მისი ბედი უნდა საგალალოდ ჩაეთვალოთ და უნდა ეთხოვოს ხელმწიფე - იმპერატორს: დართოს ნება გადავიდეს საკონსაკრებლად პიტირბურებს და მასთან ერთად აგრეთვი მეორე მარიამსაც, მალხაზ ანდორონიკაშვილის მეულეს თა დაენიშნოს პენსიები შესაფერი ხარისხისათვის.

პეტერბურგის მთავრობამ რტიშჩევის რჩევა მოიწონა, მაგრამ არ თუ მთლიანად, და დედოფლალს არა პეტერბურგში, არამერი ჯერჯერობით მოსკოვში კხოვრების ნება დართეს, საღაც იგი იძულებული შეიქმნა 1817 წ. ჯარასახლოებულიყო.

სამინისტრო ამ-ს შესახებ ახალ მთავარ-მართიბელს, ირმოლოვს ატყობინიბოა, რომ მინისტრთა საბჭომ გაარჩია დიდოფალ მარიამის თა მათ ანთრონიკაშვილის თხოვნები თა თავს ინა, რომ მათი პიტირბურებს ასომოსახლება დიდი ხარჯიბის გამომწევით იშნება და ამიტომ თეთოთალ მარიამს მოიჩინეს ბინა მოსკოვში, ხოლო სოფომონ მეფის დას, მალხაზ ანდორონიკაშვილის მეულეს, ნება

მისცემს სამშობლოში დაბრუნებისა, რადგან რტიშევის ცნობით, მალხაზ ანდრონიკაშვილმა მოინანია და ოსმალეთიდან დაბრუნდა; შინანდელ მთავარ-მართებელის აზრითაც, მაიას საქართველოში ცხოვრება არავითარ ხიფათს აღარ წარმოადგენს... ვაჟი მალხაზისა კი პეტერბურგში დასტოვეს სამხედრო სასწავლებელში აღსაზრდელად. ამ რიგად, დედოფალი ვორონეცების სულ მარტო დარჩა და ისევ მოსკოვს წასვლა არჩია. ჩამორთმეული ქონების ნაცვლად მას დაუნიშნეს 20.000 მანეთი წლიურად.

როგორც სახის, დედოფალმა ამჯობინა მოსკოვში გადასვლა, რათა ვორონეცების ტყვეობიდან ბოლოს შაინც თავი ეხსნა და იქაურ ბატონიშვილთა დახმარებით იქნებ ბოლოს ნება მიეღო სოლომონის საფლავის ხილვისა.

როდის დართეს ნება დედოფალს, რომ პეტერბურგს გადასახლებულიყო, ამის პასუხს იძლევა პეტერბურგის მთავრობის „ქავკავკი კომიტეტის“ უწყნალიდან ამონაშერი 1862 წლისა. აქ ჩვინ კი კითხულობთ: — „რაც შეეხება დედოფალ მარიამს, რომილიც ეხმარებოდა ქმარს 1810 წლის აჯანყებაში და შემოექ, როკა მეფე, ხალციების, გაიქა, ის სამეგრელოში დაიმალა; შემდეგ გაგზავნილ იქმნა ვორონეცების 1811 წ. და როგორ მეფე რრაპეზუნდში მიიცვალა, დედოფალს ნება მიეცა გადასახლებულიყო 1817 წ. მოსკოვს, ხოლო 1818 წელს ნება მიეცა პეტერბურგში ცხოვრებისა. იორონეცები ყოფნისას მას წლიურად ეძლეოდა 6.000 მანეთი და ბრნა. მოსკოვში ყოფნისას (ერთი წელი) მას დაინიშნა 20.000 მან., როგორც ის ეძლეოდა ქართო-ახეთის დედოფალს, ხოლო პეტერბურგში კი დაცინიშნა 10. 000 მან., როგორც იძერეთის შეორე დედოფალი — ანას და ერიბატესათვის — 3.000 მან. წლიურად და სხვა“.... (იხ. აქტები, 12). ამ რიგად, წყაროები მარტო დედოფალ გარიამს ასახელებდენ. რაც შეეხება სოლომონ მეფის დას მაიას, მან, სახის, ნებართვით ისარებლა და საქართვილოში დაბრუნდა, სადაც ლრმად მოხუცებულებაში (86 წლის) თბილისში მიიღალა და დაასაზღვრეს ანჩისხატის ტაძარში 13 ოქტომბერს 1854 წელს (იხ. აქტ. 12). ამისი შეილი იყო ცნობილი ლენინგრადი ივანე მალხაზის ძი ანდრონიკაშვილი (ის ნან მარიამადავა/ისტინგბა).

მალხაზ ანდრონიკაშვილის შეულე მარიამიც ისე

იღებდა მონაწილეობას იმერეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში, როგორც მისი საყვარელი ჩაილი, დედოფალი მარიამი, და არ დაუზოგავს საკუთარი ქმრის და ოჯახის მსხვერპლად მიტანა.

ჩეენ ვნახეთ, რომ მეფის დამარცხების შემდეგ, სხვა ერთგულებთან ერთად, ისიც საყვარელ ძმას ეახლა და ქმარითა და ორი შეილით (ივანე და ნინო) ოსმალეთს გავიდა, რათა რუსთ არ დანებებოდა...

მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება, მოვრტანოთ ზოგი ცნობა, რაც კერძოდ მომაწოდა ბ-ნმა ივანე ანდრონიკაშვილმა, რომელიც მარიამ ბატონიშვილის (მალხაზ ანდრონიკაშვილის მეულლის) პირდაპირ შთამომავლობას ეკუთვნის. ბ-ნი ივანე ანდრონიკაშვილი სწერს: „.... იმ დროს მალხაზი ცოლშვილით ახალციხეში ბრძანდებოდა, საცა სოლომონ მეფეს თან ახლდა. ღენ. ტორმასოვი შეეცადა მის გადმობირებას, მაგრამ იცოდა რა, რომ პირდაპირ ვერას გახდებოდა, საგანგებო მიპატიუებით მიმართა მის მეულლეს, მარიამს და ალუთქვა, — თუ კი ის ინებებდა იმერეთში დაბრუნებას თვისის შეილებით, მათ მამულები უკლებლივ დაუბრუნდებოდათ და რუსეთის ხაზინა არას დაზოგავდა, მიიღებდა ყოველგვარ ზომებს, რათა მარიამს და მის ოჯახს არ მოჰკლებოდათ ის მაღალი მფარველობა, რაც შეეფერებოდა მათ შეფურ შთამომავლობას.

რამოდენიმე ასეთი მიმართვის შემდეგ მარიამი (ალბათ ძმისა და ქმრის რჩევით) ენდო იმპერატორის აწმუნებულის დაპირებას და თავისი ქალვაჟით — ივანეს და ნინოს — თანხლებით დაბრუნდა ქუთაისს.

ტორმასოვი აქაც ჩეეულებრივად „ასრულებს“ რუსეთის დაპირებას. ის აპატიმრებს მარიამს და მის შეილებს, და ეტაპით დედოფალ მარიამთან ერთად რუსეთში ასახლებს.

სოლომონ მეფის ბაზი ხომ ვაცით, ხოლო მაღაზ
ანდრონიკაშვილი, მარტოდ დარჩენილი და იმედ-გაცრუ-
ებული, ბოლოს რუპთა რჩევას თვითონაც დაჰყვა და უკან
დაბრუნდა იმ იმედით, რომ მას რუპთი „შეუნდობდა“
და ცოლშვილსა და მამულს დაუბრუნებდა. მაგრამ არც
ერთი იმედი მას არ გაუმართლეს — ცოლშვილის ხილ-
ვის ნება რუპთმა მაღაზს არ მცირა და მამულზედაც
ცივი უარი უთხრა; ხოლო დაპირდნენ მას, რომ მამუ-
ლის ერთ ნაწილს იმ შემთხვევაში დაუბრუნებდენ, თუ
ის, ან მისი შვილი, რომელიც პეტერბურგში პაუთა კორ-
პუში მიაბარეს, იარაღით ხელში რუსეთს საქმაო ერთ-
გულებას დაუმტკიცებდა... უოჯახოდ, უმწეოდ დარჩენი-
ლი, ოდესალაც ძლიერი საჩდალი და მემამულე, თავის
ძმასთან, იოსებთან შეეფარა სოფელ ფხოველში, სადაც
2 — 3 წლის შემდეგ გარდაიცვალა. იგი დაასაფლავეს
სოფელ ვეჯინის ეკლესიაში.

მარიამი გადასახლებაში რჩება ვორონეჟში, ხოლო
მისი ვაჟი ივანე (შემდეგ დიდი და ცნობილი გენერალი
ივანე მაღაზის ძე) ამთავრებს სამხედრო სსწავლებელს
და 1817 წ. ჯარში შედის. მან შეირთო დავით ბატონიშვი-
ლის ასული — მარიამ.

დავით ბატონიშვილს ჰყოლია შეორე ცოლად (აბა -
მელიქის ასულთან განშორების შემდეგ, რაც ქართულმა
ეკლესიამ არ სცნო), ვიღაც წარჩინებული ესპანელის,
ლოპეც ასული, რომლის ხელში მას შესძენია ერთი ქა-
ლი — მარიამი, შემდეგში ივანეს რომ შეურთავს. ეს მა-
რიამი დასაფლავებულია ქოდალოში, ჩევნი ოჯახის ეკლე-
სიაში, ივანეს გვერდით. მის საფლავს აწერია: „მარიამ ბა-
ტონიშვილი, ასული დავითისა“.

ბ. ი. ანდრონიკაშვილის ეს ცნობა მთლად სარწმუ-
ნოდ ვერ მცირნიეთ, რადგან არც ერთ წყაროში ჩვენ არ
შეგხვედრია, რომ დავით ბატონიშვილს შეორე ცოლი
შეერთოს. როგორც ვიტით, ქართულმა ეკლესიამ და კერ-

ძოდ კათოლიკოსმა ანტონ II-მ მისი თხოვნა განქორწინების შესახებ (მარიამ აბა - მელიქის ასულისაგან) არ შეიწყონარა. არც ქნ ლოპეცზე და მის ასულ მარიამზე შეგვხვედრია რაიმე ცნობა. ჩემს შეკითხვაზე, ბ-ნმა ი. ანდრონიკაშვილმა მომაწოდა რამოდენიმე დამატებითი ცნობა და ცოცხალ მოწმეთა ჩენენგანი, რითაც მისი ვერსია დასტურდებოდა. სხვათა შორის, ბ-ნი ი. ანდრონიკაშვილი მწერდა, რომ სოფელ ქოდალოში მას უნახავს ფერად საღებავებით ნახატი სურათები, ერეკლეს, გიორგი მეცამეტესი, დავით ბატონიშვილისა და მისი ასულის მარიამისა (ივანეს მეუღლისა). აქვე დაცული ყოფილი ივანე მალხაზის ძის საგვარეულო არქივიც, რომელიც ჯერ კიდევ პირველ ომამდე უნახავთ და გაურჩევიათ ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილსა და ალ. სარაჯიშვილს. ამ არქივებიდან, საღებავებით შესრულებული ზოგი სურათი ჩემი პატივცემული კორესპონდენტის ცნობით, მის დედას ქართული მუზეუმისათვის გადაუცია.

ეხლა დაცუბრუნდეთ ბ-ნ ი. ანდრონიკაშვილის ცნობებს ივანე მალხაზის ძის და მისი დედის — მარიამის — შესახებ.

„1824 წ. ივანე თავის დედით, დით და მეუღლეთ უმაღლესი ნებართვით სამშობლოში ბრუნდებიან, მაგრამ დიდ შევიწროებას განიცდიან, რადგან კახეთისა და იმერეთის მამულები ჩამორთმეული დახვდათ. ივანე თავის ოჯახით და დედით თავსდება ბიძის, იოსების ოჯახში, ს. ფხოველში.

გულ - გაცრუებული ივანე ჯარში სამსახურისათვის თავის დანებებას აპირებს, ალბათ დედის, მარიამის გავლენით; მაგრამ ბოლოს მაინც ამჯობინებს სამსახურით დაწინაურების გზას. ამ გადაწყვეტილებას ის აღვება განსაკუთრებით თეიმურაზ ბატონიშვილის რჩევით. ბატონიშვილი თეიმურაზის წერილი თვითონ მინახავს ივანეს არ-

შევში და დაახლოებით მახსოვებ; ბატონიშვილი სწერდა: გავიგე, რომ სამსახურს თავს ანებებ. იცოდე, ჩვენთვის აუცილებელია, რომ შენისთანა პირებმა იმდენი ცოდნა და ნდობა მოიპოვონ, რომ ჯარის უფროსად დაინიშნონ... ასეთ ნაბეჭდს მოითხოვს ჩვენი აწინდელი მდომარეობაო, და ახება.

ამის შემდეგ ივანე ჯარში რჩება და ნიუეგაროდსკის პოლკში შედის.

ამის გამო მის ოჯახში დატრიალდა დადი დრამა. მისი დედა მარიამი, რომელიც სიკვდილამდე არ შეურჩდა რუსეთს და თავის ძმის, სოლომონ მეფის ტრადიციებს გაჰყეა, დიდად ეწინააღმდეგებოდა ივანეს რუსულ ჯარში სამსახურს და რაკი ვერას გახდა, დახტოვა ოჯახი და საძველებოდ ხატზე შეაჩვენა ერთადერთი ვაჟი. ამას შემდეგ ეს ქალბატონი გადავიდა საცხოვრებლად ანჩისხატში.

კარგა ხნის შემდეგ ანჩისხატის მოძღვრის შუამავლობით მოხდა დედა - შვილის შერიგება; მაგრამ მარიამის გული მაინც არ გამრთელებულა; ის საცხოვრებლად ისევ ანჩისხატში დარჩა და მხოლოდ ხანდახან თუ ეწვეოდა ივანეს ოჯახს, მაგრამ დიდ ხანს ვერ იციდა შვილთან და მუდამ შეწუხებული იტყოდა თურმე: „აქ გაჩერება მიჭირს, რუსის სუნი მახრჩბს“-ო...

1854 წ. 10 ოქტომბერს ბატონიშვილი მარიამი ანჩის ხატის სახლში გარდაიცვალა, შეურიგებელი რუსებთან და საკუთარ შეიიღო.

თვითონ ივანე-კი დიდად დაწინაურდა ჯარში, გახდა „გენერალ ოტ კავალერიი“, მაგრამ ბოლოს სამსახურს თავი გაანება და გადავიდა საცხოვრებლად სოფელ ქოდალოში. აქ მას ჩვენებისათვის ხშირად უთქვამს: —

„დედა-ჩემი მართალი იყო: ჩემის გულის წადილი ბოლოს მაინც ვერ ავასრულე“-ო.

ივანე გარდაიცვალა სოფელ ქოდალოში 1873 წ. და
დასაფლავებულია იქვე საგვარეულო ეკლესიაში.

აი, ცნობები, რომელიც მომაწოდა ბ-ნმა ივანე ანდ-
რონიკაშვილმა, რისთვისაც მას დიდ მაღლობას ვუძღვნი.

დაუუბრუნდეთ ისევ მარიამ დედოფალის ამბებს.
როგორც სჩანს, დედოფალს პეტერბურგში ჩასვლით
სას სწადდა გამგზავრებულიყო ტრაპეზუნდში და იქ და-
შთებინ სოლომონ მეფის ერთგულთა დახმარებით მოეგ-
ვარებინა მეფის გელათში გადასვენების საქმე. ეს გახდა,
როგორც ვიცით, დედოფლის სიკუცხლის ერთად-ერთი
შინაარსი მას შემდეგ, რაც მან სამშობლოსთან და გვირ-
გვინთან ერთად თავისი უკანასკნელი იმედი და სიყვარუ-
ლი, ძვირფასი მუყდლე და მეფე, ლტოლვილობაში დაპ-
კარგა. მაგრამ მისი წადილი, სამწუხაროდ, ვერ შეუს-
რულდა და დედოფალმა უსიხარულოდ გაატარა თითქმის
25 წელიწადი პეტერბურგში.; და ვერ იქმნა; ვერც მო-
ხუცებულებაში ელრსა საქართველოში დაბრუნების ნე-
ბართვის. ისე როგორც ქართლ-კახეთის დედოფალი მა-
რიამი და საერთოდ ყველა წევრი სამეფო ოჯახისა, იმე-
რეთის უკანასკნელი დედოფალი მუდამ იქვისა და ზევრ-
ვის ძვიშ იმყოფებოდა და მიწერმოწერის საშუალება წა-
რთმეული ჰქონდა. ამის გამო მან დაგეიანებით შეიტყო
სოლომონ მეფის გარდაცვალება, და ისიც მხოლოდ ოფი-
ციალურად, მთავრობისაგან. ნამდვილად კი დედოფალს
კერძო წერილით ადრევე და რამოდენიმეჯერ არამედ ეს ამბავი. სხვათა შორის, ტრაპეზუნდიდანაც; მაგრამ ამ
წერილს და ცნობებს დედოფლამდე არ მიუღწევია. ამ
მხრივ დიდად საინტერესოა მკვლევარ სარგის კაკაბაძის
მიერ აღმოჩენილი ერთი დოკუმენტი, რომლითაც სო-
ლომონ მეფის მოძღვარი, იესე ყაზბეგი დედოფალ
მარიამს სოლომონ მეფის გარდაცვალების ამბავსა სწერს
და რომელიც 1817 წ. თარიღს ატარებს. ამ წერილიდან
ვტყობილობ ზოგ საყურადღებო ამბავს წამებული მე-
ფის შესახებ. კარის მღვდელი დედოფალსა სწერს: —

„მათ უმაღლესობას დედოფალს, დადიანის ასულს,
მარიამს მიერთეს იმერეთიდამ რუსეთს, სადაც ბრძანდე-
ბოდეს; ქრისტეს მიერ ლოცვას და კურთხევას და თქვენს
უმაღლესობის ტახტის კოცხას მოვახსენებ. შემდეგ ვინაი-

დან ბატონი ჩემი მეფე სოლომონ გარდაიცვალა და ჩემის აურიცხველის ცოდვისაგან დაბნელებული შევიძენი და უნუგეშო ყოვლითურთ. მერმედ თქვენ წიგნი მოგაროვით, და ყოველივე ამბავი გამოვატადე და მოგაროვი ერთი ტრაპიზონიდან და ერთი იმერეთიდან. არაოდეს პასუხი არ მებოძა და არ ვიცი მიეროთვა თუ არა; ეგებ არ მიგერთავთ და ეხლა მოგახსენებ ამბავს ჩვენი ცოდვის კითხვისას"-ო.

როგორც ვსთქვით, ეს წერილები დედოფლამდე არ მისულან; სამაგიეროდ დედოფლის ერთი წერილი რუსეთიდან (კორონეჟიდან) 1813 წ. მეფეს თვისი ფოთში ყოფნისას მიუწოდა. როგორც ცნობილია, პეტერბურგი მხოლოდ ისეთ წერილებს უშვებდა, რომლითაც გამდგართ ურჩევდნენ უკან დაბრუნებას და რუსეთთან შერიგებას. დედოფალსაც ასეთი წერილი მიუწერია სოლომონ მეფისათვეს იმ იმედით, რომ მეფე ამ გზით მაინც შეიტყობდა მარიამის კორონეჟში ტყვეობის ამბავს. ეს იყო მაშინდელი კავშირის ერთად-ერთი ლეგალური საშუალება.

„აქტებიდან“ სჩანს, რომ ამ დროს (1813 წ.) მეფე და მისი მრჩეველი ფოთში ჩასულან ზოგიერთ წარჩინებულ პირთან მოსალაპარაკებლად და მომავალ გეგმათა შესამუშავებლად შესახებ იმერეთისა. აქ მეფე შეხვედრია ქაიხოსრო გურიელს, დავით გურიელს და აგრეთვე ვახტანგ გურიელსაც. ეტყობა, რომ მეფის მაშინდელ გეგმის განხოციელებაში გურიას და მის სამთავროს შესამჩნევი როლი უნდა ეთმაშნა. ამ ხანას ეკუთვნის სოლომონ მეფის მოკავშირის, ახალციხის ფაშის სელიმ ხიმშიაშვილის წერილი გურიის მთავარ შამიასადმი. ის ატყობინებს, რომ იმერეთის მეფე ამ უამაღ ჩემს მასთან იმყოფება და გირჩევ შენც მას მიემხრო და მოეხმარო, წინააღმდეგ შემთხვევაში შენს განდგომას ბოლოს ინანებო და სხვა. (იხ. აქტები, V. გვ. 509).

სჩანს, რომ დედოფალ მარიამს შეუტყვია მეფის ფოთში ყოფნის ამბავი და საგანგებოდ წერილი მიუწერია მისთვის.

მოძღვარი ყანჩაველი დელოფალს ატყობინებდა:

„ოდეს თქვენი წერილი მიერთვა ბატონს, ფოთს ბრძანდებოდა და აგათ იმყოფებოდა. თქვენი წერილი მიერთვა პპრილის იბ, რომ უდ მოწყალე ხელმწიფეს გაურიგდიო. იქ გირჩევნია ისევ თათარში ყოფნასთ ბევრათო, მაგრამ მაშინ ავად ბრძანდებოდა და ტრაპიზონს წაბრძანდა. იქ ექიმი გახლდათ, მაგრამ ვერა ქმნა რა იმ წყეულის ჭირისაგან. რაც ერთი „ბზუკა“ იყო მარჯვენა ძუძუს ძუეით. ბრძანებდა: ეს არ მომარჩენს და მოახსენებდენ თავადნი, ნუ ბრძანებთ — კარგად ბრძანდებიო, ცხენზე ჯილიმი შეგიძლიანთო და ეგრე რად ბრძანებო... მაგრამ მე ასე ვგონებ, რომ იკოდა ნახევარი წლით მიხუდა თავის განსაცდელსო. მიბრძანებდა ნიადაგ, რომ მე არ მოვოჩებიო... დანაწერი მიბოძა, თუ რომ თქვენა ჰქონდა. ათი თეთრი იყო და ათი ქესაც თუ რამ საქონელი იყო ოცი ქესა ყურუშის ქისა“ და სხვა.

ამის შემდაგ მოძღვარი დელოფალს აუწყებს, თუ როგორ გაარიგა ეს ფული, რომლიდანაც მან დიდი ნაწილი მოახმარა მეფის დასაფლავებას და მის ძეგლს, და ეკლესიებს დაურიგა მეფის სულის მოსახსენებლად ისე, რომ „მეორე დოსტელამდი მოსახსენებელი დავდევი“—ო. დანარჩენი თანხით მოაჭიდინა სახარება სინათელ ისტატს, რომელიც საგანგებოდ მოეკვანა, „ერთი ხელი შესამოხელი დაგსდევი ბატონის საფლავზედ“—ო, განაგრძობს თავის მოხსენებას იქსე ყანჩაველი, „და სამასი მარჩილი სამთავრო იმ წმიდის გრიგოლის ეკლესიაზედ, რომელზედაც ბატონი მარხია... ღიას სასოებით მიღებული აქვთ ბატონი, ისე რომ ხატის მსგავსათ ემთხვიონ ბატონის საფლავს... რაც გახდა ის ოცი ქესიდან იმ საკვირველ ღარიბებს მივართვი. ეს... ღვთის მოწყალებით ასე დაიმარხა, რომ როგორც ეკადრებოდა“. შემდეგ იგი დელოფალს აუწყებს — რომ ერთი საგანგებო ძეირუასი ხატი დაუტოვებია მეფეს, რომელიც დელოფლისა ყოფილა, მაგრამ მოძღვარს აქამდე სანდო პირი ვერ უშოვნია, რომ ის დელოფალს გადაუგზავნოს, და დიდად სწორებს ამის გამო, და ბოლოს იასძენს, — უდაბნოში უნდა წავიდე და იქ დავასრულო ჩემი ცხოვრებათ. აქამდის მინდოდა ეს წადილი შემესრულებინა, მაგრამ მეგონა, რომ მინმბდიოთ და თქვენს ამბავს ვუყურე. ეხლა კი აქ ნათლის მცე-

მღის უდაბნოში უნდა გიახლოთ, მეფის სულის სალო-
ცუელად, რადგან კურთხეული ბატონი ჩემი, მეფე სო-
ლომონ გარდაიცვალა, ამ სოფლად არაფერი კეთილი და
არაფერი დიდება არ მინდა და ღმერთმა ნურც მომკეს,
ბატონო“ - ი. (იხ. ს. კავაბაძის მასალები და წერილები).

როგორც აქტებიდან ვტყობილობთ, ცნობა მეფის
უდროოდ და მოულონენელად გარდაცვალების შესახებ
(მეფე სოლომონის 42 წ. შეუსრულდა) დედოფალმა ვო-
რონეუში ივლისში ან აგვისტოში მიიღო, ხოლო მეფე კი
1815 წ. 7 თებერვალს გარდაიცვალა. ამ დროს მეფის ამა-
ლა შესდგებოდა 60 ერთგული იმერისაგან, რომელთაც
მეფე ბოლომდის ინახავდა და თვიურად ჯამბირად 500
ყურუშს უხდიდა (მაშინდელი კურსით — 115 მანეთი).

სოლომონ მეფის კარის მოძღვარზე, ყანჩაველზე და
მის შემდეგ ხანებში დამახურებაზე ჩვენ შევვედით ზოგ
ცნობას პროფ. ა. ცაგარელის „პამიატნიკებ“ - ში. ამ ცნო-
ბებიდან სჩინს, რომ მოძღვის იესეს თავისი განზრახვა შე-
უსრულებია, რადგან საყვარელ ბატონი, მეფის უდროოდ
ალარულების შემდეგ, მას ამ ქვეყნად „არაფერი კეთილი
და დიდება“ აღარ სწადდა...

შესაძლებელია, ის პირველად, როგორც დედოფალს
აუწყებდა, ნათლისმცემლის უდაბნოში მოღვაწეობდა, მა-
გრამ რამდენიმე წლის შემდეგ მას ბერი ილარიონის სა-
ხელწოდებით ჩვენ ვხვდებით ათონის მთაზე, ივერიის მო-
ნასტერში, სადაც მას დიდი ღვაწლი დაუდვია ქართული
კულტურულ საქმისათვის. ბერ ილარიონის აღუწერია ამ
მონასტრის ხელნაწერები და შეუდგენია მათი კატალო-
გი. ამ ბერ ილარიონს მეორე ბერ ბენედიქტესთან ერთად
დიდი სამსახური გაუწევია ივერიის წმიდა მონასტრის ქარ-
თული უძველესი კულტურული კერის გადარჩენისათვის
და მრავალჯერ უხსნია თურქთაგან დარბევა - გაძარცვი-
საგან 1821 წლიდან ვიდრე 1830 წლამდე.

ამ ილარიონის მიერ შედგენილი წიგნთა და ხელნა-
წერთა კატალოგი უთარგმნია შემდეგში აკადემიკოს მარი

ბროსსეს, რაც 1867 წელს ბ-ნ ლანგლუას გამოუქვეყნებია.
(იხ. პროფ. ა. ცაგარელის აღნიშნული „პამიატნიკი“-ს წი-
ნაჟირულება, გვ. 6, 15).

* * *

დედოფლის პეტერბურგში ყოფნის შესახებ, სამწუ-
ხაროდ, არავითარი ცნობები არა გვაქნს. უნდა კი იქ-
როთ რომ ის, როგორც დედოფლები დარეჯან და მარი-
ამი, დიდს ტანჯვასა და წამებას განიცდიდნენ, რომ იმისი
საშუალებაც აი არ დაუტოვა მტერმა, რომ საკუთარ ქვე-
ყანაში დაემთავრებინათ განაწამები ცხოვრება და საყვა-
რელი ქმრების, ტანჯულ მიზევების გვერდით მოესვენე-
ბინათ თავისი ძვლები.

იმდისა და უიმედობის ბრძოლებში მიღიოდნენ მა-
თი უკანასკნელი წელები და სამშობლოზე მძიმე სევდით
დასერილ გულს ქართული წიგნების კითხვით და ქართუ-
ლი კულტურული საქმისათვის სამსახურით იქარებდნენ.
ჩვენ სხვა ადგილს უკვე მოგახსენეთ ამაზე, ქართლ-კა-
ხეთის უკანასკნელ დედოფალ მარიამშე მოთხრობილ ამ-
ბებში. არა ნაკლებ მეცადინებას იჩენდა იმერეთის დე-
დედოფალიც. ის უკანასკნელს იკლებდა, რათა ქართული
სულის კერა არ ჩამქრალიყო. პროფესიონალ ცაგარლის „სუ-
დენია“-ში ვკითხულობთ დედოფლის წერილს ნიკოლოზ
ჩუბინაშვილისადმი, საიდანაც ვტყობილობთ, რომ დედო-
ფალს მისთვის გადაუგზავნია დანიშნული თანხა თექვს-
მეტი თუმანი და ალუთქვამს, რომ მომავალში მის ძმის
შვილს, დაჭითსაც ასეთსაუკეთეს დაბმარებას გაუწევს ყოველ-
თვიურად.“ „მე თუნდა“, სწერს დედოფალი, „თქვენთ-
ვის მრავლობით მემერება, მაგრამ მდგომარეობა მაყე-
ნებს, ამისთვის კიცი ჩემგან მრავლობით მიიღებთ, რად-
გაც გული ყაკისა იგრძნობს: თუ ვითარ ვის რა სურს;
გარდა ამისა ჩემს პატიოსნებას დაენდვეთ, რათა მე თქვენ
გწალობდეთ, ან თუ ცოცხალი კიქნები, თქვენს ძმის -
წულს ყოველ თვეშიდ, რასაც თქვენ გაძლევ, ისე მოუკ-
ლებელი ექნება ჩემგან; ამას არ დავივიწყებ...“ და სხვ.

— „იმერეთის დედოფალი მარიამ“.

დედოფალი ვერა მოესწრო ვერც სამშობლოს ხილვას და ვერც საყვარელი ქმრის გადმოსვენებას, ისე დალია შორეულ პეტერბურგში სული. მისი ბედი იმ მხრივ უღრო მწვავე იყო, რომ მისი ცხედარი პეტერბურგში დაიკრძალა და მას არც ის წადილი ასრულებია, რომ სამშობლოში წაესჭინებინათ, როგორც ეს ქართლ-კახეთის დედოფალ მარიამს წილადა ხვდა.

იმერეთის დედოფალი, როგორც პროფ. ცაგარელი გვაუწყებს, გარდაიცვალა 18 მარტს 1841 წელს პეტერბურგში.

დედოფლის დასაფლავების ცერემონიაზე ჩვენ წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ იმ მიწერილობიდან, რასაც გრ. პეტოვსკი 8—6—1850 წ. ვორონცოვის უგზავნიდა, როცა ატყობინებდა, რომ ხელმწიფის ბრძანებაა, დედოფალი ქართლკახეთისა იმგვარადც დასაფლავდეს, როგორც დამტკიცებულ იქნა 1841 წ. იმერეთის დედოფლის მარიამ კაცის ასულის დაკრძალვისათვისო. (იხ. ოქტომბერი 10, გვ. 113). ხოლო ქართლ-კახეთის დედოფლის მარიამის დასაფლავების დიდი ცერემონიალი და სამგლოვიარო პროცესია დაწვრილებით სხვა ადგილას გვაქჩის მოყვანილია და აქ აღარ გვიძეორებთ.

მარია ბროსეს ცნობით, იმერეთის დედოფალი მარიამი დაკრძალულ იქმნა პეტერბურგში, ნევის საკრებულოს ტაძარში. მთავრობამ მას დიდი საზეიმო დასაფლავება გაუმართა (ისტ. 2. ნაწ. 1).

იმერეთის დიდი სურვილი სოლომონ მეფემ ტრაპეზინდის მიწას მიაბარა, ხოლო მწარე გოდება და ცრემლები, ბატონის საფლავს რომ უნდა დასცემოდა, იმერთა უკანასკნელმა დედოფალმა მრავალ წელთა მანძილზე პეტერბურგის ნისლიან ქარს გაატანა...

ჰამბურგი, 1944 წ.

გურია და დადოცალი სოფიო

ჩვენი ძვირფასი ბებოს, ესმა კანდელაკის
 ასულის კეთილ ხსოვნას ვუძლვნი ამ მცირე
 ნარქვევს მის საყვარელ გურიაზე.

ავტორი

დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობის შე-
 ნარჩუნებისათვის წარმოებულ ბრძოლებს, განსაკუთრე-
 ბით იმერეთის უკანასკნელ მეფის, სოლომონ მეორის წი-
 ნააღმდეგობას ერთხანად მაინც გვერდით უდგა გურიის
 სამთავროც.

ბურია, ისე როგორც იმერეთი, კარგად ხედავდა, თუ
 რა დამამცირებელ ყოფაში ჩააგდო ქართლ-კახეთი, მისი
 სამეფო სახლი, წარჩინებულნი და გლეხობა რუსეთზე
 უპირობოდ მინდობამ. მიუხედავად სხვა და სხვა სახის
 ხელშეკრულების და აღთქმულ მფარველობისა, რუსეთ-
 მა სულ ერთ-ორ წელში გააქრო უძველესი სახელმწიფო;
 მის წარჩინებულებს, ვითომდა განდგომისათვის, მამულე-
 ბი ჩამოართვა და, რუსულ ენისა და კანონების უცოდი-

ნარობის გამო, ისინი საშსახურის გარედ დასტოვა; ხოლო გლეხობას კი უფრო მძიმე და ახალ მოვალეობათა ბორ-კილები დაადო და ძველი იდათების მოსპობით და რუ-სულ ბატონყმურ წესების შემოღებით, ისედაც წელში გა-წყვეტილთ, ყოველგვარი ადამიანური უფლებები წაარ-თვა. ეს ისეთი მწვავე და სულ ახლო მომხდარი ამბები იყო, რომ მთელ დასავლეთ მხარეს დიდის შიშით და ძრწოლით ავსებდა.

ამ უიმედობის და რუსეთის დაუნდობლობის ამბები მოპქონდათ იმერეთში გადმოხვეწილ ქართლ - კახეთის წარჩინებულთ, რომლებიც მძიმე დანაშაულად უთველიდ-ნენ გიორგი მეფეს და მის მომხრეთ ტრადიციულ გზების დატოვებას და დიდი იმპერიის „ქრისტიანული“ ფიცის მინდობას. ყველა ეს საქმაოდ აფხიზლებდა იმერეთს და მის სამთავროებს... მაგრამ მალე გამოირკვა, რომ სოლო-მონ მეფის კეთილშობილ პატრიოტიზმს და თავგანწი-რულ ბრძოლებს ყველა სამთავროები ერთნაირის ერთ-გულებით არ ემსახურებოდნენ.

რუსეთმა მაინც მოახერხა სოლომონ მეფის შეი-ქმნილი დასავლეთ საქართველოს მთლიანობა გაერლევია და ამ ერთობის ჯაჭვიდან მთავარი რგოლი ამოეგდო. რუსეთის გამჭრიახმა და მხნე წარმომადგენელმა, პავლე ციციანოვმა ამ შემთხვევაშიაც არაფერი დაზოგა, რათა სოლომონ მეფის ციხე შიგნიდან გაეტეხა და რუსული ხეშტის ძალა ლიხის მთის იქეთ გადაეტანა...

ვინაიდან გენერალი პავლე ციციანოვი დარწმუნდა, რომ სოლომონ მეფეს ვერავითარი დაპირებებით ვეღარ დაიყოლიებდა და რუსული ორდენებით და ხატებით ვერ დააყვავებდა, მან შორით მოვლა არჩია; ის ბრძენ კანც-ლერ სოლომონ ლეონიძესთანაც პირდაპირ პაექრობას მოერიდა და იმედიანი თვალი ოდიშს მიაპყრო. მან იცო-და, რომ სოლომონ ლეონიძის პირდაპირი გავლენა აქეთ-

კენ არ სწოდებოდა; ისიც იცოდა, რომ მეფეშ სასტიკ და-
მარცხებასთან ერთად რამდენჯერმე მიაყენა უდიდესი
მორალური დამცირება ზეიად და უტეხ მთავარს, გრი-
გოლ დადიანს... რუსეთის საფრთხის მოახლოვების ში-
შით სოლომონ მეფე ბოლო წლებში ხომ განუწყვეტილ
და თავგანწირულ ბრძოლებს აწარმოებდა მთელ დასავ-
ლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის, რათა რუსეთის
ძლიერი ტალღა აქ შეეყენებინა და ძველ კოლხეთს საქა-
რთველოს სახელოვანი ისტორიის გაგრძელება კვლავ შე-
სძლებოდა. ბრძოლებში მეფეს ხშირად მოუხდა ოდიშჩე
თავდასხმა; ხან ლეჩხუმის ციხეებზეც, სადაც გრ. დადი-
ანი განმდგარიყო და თავისის ურჩიბით იმერეთის სამე-
ფოს ცდებს უდიდეს ხიფათში აგდებდა... იმ ხანებში მე-
ფემ ხომ რამდენჯერმე ჩამოართვა გრიგოლს დადიანო-
ბა და მის ძმებს გადასცა; თუმცა ლმობიერი მეფე განმდ-
გარ მთავარს დამარცხების შემდგომ ხშირად განუტევებ-
და, მაინც გრიგოლის მიერ ერთგულებისათვის „დადე-
ბული ფიცი“ მუდამ დროის მოსაგები ხერხი იყო და ახალ
ლალატის დასაწყისი იქვე ისახებოდა ურჩ მთავრის ბუ-
ნებაში.

აი, ამ მთავრის შურზე, მის შელახულ პატივმოყვა-
რეობაზე ითამაშა გენერალმა ციციანოვმა და პირდაპირი
ბრძოლა სოლომონის წინააღმდეგ ჯერ ხანად შეაჩერა.

გენ. პავლე ციციანოვი მიხვდა, რომ იმერეთის სამ-
თავროებიდან მხოლოდ სამეგრელო შეიძლებოდა გადას-
დგომოდა მეფეს, თუ გრიგოლ დადიანი თვის პირად შუ-
რისძიების წყურვილს რითიმე დაიკმაყოფილებდა. ამის
შემდეგ კი ზურგს უკან მოელით რუსის ჯარები იმერეთს
ორის მხრიდან მიაწვებოდნენ და მეფეს ერთხელაც გას-
ტიქდნენ; ამნაირად, რუსების სამეგრელოში განმტკიცე-
ბას, რაიც შავი ზღვის სანაპიროზე ფეხის მომავრებას
უდრიდა, მალე უნდა მოჰყოლოდა მოწყვეტილ გურიისა

და აფხაზეთის განდგომაც და მათი რუსეთის მხარეზე გადასვლა.

გეგმის პირველ ნახევარში გენ. ციციანოვს, შედარებით, მართლაც ადვილად ხედა გამარჯვება, მაგრამ გურია - აფხაზეთის შესახებ მისი იმედები იმ ხანად მაინც ვერ გაუმართლდა.

* *

ჩვენს მიზანს არ შეადგენს დაწვრილებით შევჩერდეთ ოდიშის მაშინდელ ამბებზე, მაგრამ სულ მოკლედ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ სოლომონ მეფის დამარცხების და იმერეთის წინააღმდეგობის გატეხის მიზეზი გრიგოლ დადაინის ბეცი და „აცდენილი“ პოლიტიკა იყო. ეს კაცი იმდენად იყო მეფეზე გაბოროტებული, რომ რუსთა დაპირებებს ბრძანდ მიენდო და ფიქრობდა ციციანოვის ლოცვა-კურტხევით იმერეთის სამეფოსაგან „დამოუკიდებელი“ გამხდარიყო. მაგრამ კანცლერმა ლეონიძემ ამ შემთხვევაშიც მოხერხებული დივერსია მოახდინა და სოლომონ მეფის ელჩიდ იგი სწრაფლ პეტერბურგის კარს მოევლინა. იქ მან ვრცელი და დასაბუთებული ნოტით მიმართა ალექსანდრე პირველს და იმერეთის სამეფოს „ქვეშევრდომობა“ შესთავაზა; დაახლოებით — ისეთივე ტრაქტატის საფუძველზე, როგორიც ეკატერინე მეორეს 1783 წელს ერკლე მეფესთან დაედო.. ამ დიპლომატიური ნაბიჯის მოელი აზრი ის იყო, რომ იმერეთი ყველა მისი სამთავროებით რუსეთის პროტექტორატს იღებდა და ამრიგად ოდიშიც, გურიასთან ერთად ავტომატიურად მეფის ხელისუფლებაში ჩიქებოდა. ამ გზით გრიგოლ დაციანისა და ციცანოვის მოლაპარაკებას საგანი ეცლებოდა და იმერეთი, სუვერენობას თუმცა ნაწილობრივ ჰქაორავდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს მთლიანად შემომტკიცებას ახერხებდა.

მაგრამ სოლომონ ლეონიძის ეს ცდა ვერაგ ციცი-

ნოვს არ გამოპარეთა: მან დადიანთან მოლაპარაკება უფრო გააცხოველა, — საჩქაროდ მეტ დათმობაზე წავიდა; ხოლო როცა ოდიშთან მოლაპარაკება უკანასკნელ ფაზაში შევიდა, ციციანოვმა პეტერბურგისაკენ სანუგეშო ამბები აფრინა და სამეგრელოს რაზმების დახმარებით რუსეთს იმერეთის აღვილად დაბყრობა და მეფის განდევნა აღუთქება მოხსენებაში გვნერალი პ. ციციანოვი პეტერბურგს ურჩევდა — რათა ელჩი იმერეთისა, სოლომონ ლენინიძე მასთან გამოეგზავნათ და ის უფრო მარჯვე და მოხერხებულ „მოლაპარაკებას“ იმერეთის შესახებ საქართველოში გამართავდა მასთან. ეს „მოლაპარაკება“ იყო ძალა, რუსული ზარბაზნები... პეტერბურგმაც ვითომ სხვა და სხვა ფორმალურ „დარღვევათა“ მომიზეზებით, სოლომენიძესთან მოლაპარაკება შესწყვიტა და, მიუხედავად ამ ელჩის დასაბუთებულ პასუხისა, ის მაინც უკან გამოისტუმრა, რათა ეს „მოლაპარაკება“ ეხლა ციციანოვთან გაეგრძელებინა.

გრიგოლ დადიანი გამარჯვებას ზეიმობდა. 4 დეკემბერს 1803 წელს მან რუსეთის ქვეშევრდომობის აქტს ხელი მოაწერა, რის ძალით მას ოდიშის სამთავრო საუკუნოდ უზრუნველყოფილად მიაჩნდა. მაგრამ ის კი აღარ იცოდა, რომ გამარჯვებული ის იყო, ვინც მას ბრილიანტებით მოჰქედილი ორდენი დაჰკიდა...

ასე თუ ისე, დადიანმა მოხერხს სოლომონ მეფისათვის ზურგში ის მახვილი ჩაეცა, რასაც დიდი ხნით ჩუმად ლესავდა...

გენერალმა პავლე ციციანოვმა ეს ამბავი რუსეთს ახარა და თან აცნობა, რომ სამეგრელოში უკვე რუსულა ჯარის ნაწილები დამკვიდრდა და ეხლა აღბათ გრიგოლ დადიანის მაგალითს გურიის მთავარი — მამია გურიელიც — მიყვებოდა და ამით იმერეთის სამეფოს საბოლოოდ გული შეენგრეოდა. მაგრამ მამაცსა და უტეხ გენე-

რაღაც აქ თვისი გამჭრიახობა აღარ გამოადგა: მისი შეა-
კაცების ყოველივე ცდა და მრავალ წყალობა-ორდენების
დაპირება გურიის სამთავროზე არა სჭრიდა.

სკომინ გურიელისა და მისი შეულლე მარინას ტრა-
დიციებზე აღზრდილი, მამია გურიელი, ასე, ხელალებით
არ სომობდა იმერეთის მეფის სუვერენობას, რაიც ისტო-
რიული საფარი იყო გურიის სამთავროისა.

მამია გურიელს ჯერჯერობით მაინც იმერეთისა და
საყვარელ მეფის საქმე წაგებულად არ მიაჩნდა და მას
ახალციხის საფაშოდან და ქობულეთიდანაც სანუგეშო
ცონბები მოსდიოდა. კეთილშობილებასა და ერთგულე-
ბას რომ თავი დავანებოთ, უბრალო ანგარიშიც არ აძ-
ლევდა მამიას წებას, რომ ციკიანოების რჩევას გაჰყოლო-
და. ალბათ ის ფიქრობდა, რომ თუ იმერეთის ბრძოლა
ისეთ მსველელობას მიიღებდა, რომ ყოველივე დაღუპუ-
ლად უნდა ჩაეთვალა, იმის საშუალება ხომ მაინც დაშ-
თებოდა, რომ ის გადაერჩინა, რის გადარჩინაც კიდევ შე-
საძლო იქმნებოდა; და ის ამ შემთხვევაშიაც თავისი სამ-
თავროს უფლებებიდან იმდენს მაინც გადაარჩინდა, რამ-
დენიც დღეს გრიგოლ დადიანმა ღალატით და რუსეთთან
ნაადრევად დადებული ტრაქტატით „გადაარჩინა“... ალ-
ბათ ასე ფიქრობდა მამია და იმერეთის მეფისადმი ერთ-
გულების გზას ის იმ დროს მაინც ვერ ააცდინეს. შეიძლე-
ბა ეს იყო მაშინდელი პოლიტიკა იმ პირთა, რომლებიც
სამთავროს ოჯახთან ახლოს იყვნენ, და მამიას „სამჭოს“
შეადგენდნენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყველა იმ ცნობიდან,
რაც ჩვენ მამიას შესახებ ამოვკრიბეთ, სჩანს, რომ ის უეჭ-
ველად დიდი კულტურის და ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ
ამავე დროს ფრიად სუსტი ნების ადამიანი.

გურიის მთავარს, მამია გურიელს, აკლდა ის სიმტკი-
ცე და ერთხელ აღებული გეზის მიყოლის ნება, რაიც იმ

ქრისტიულ ხანებში ასე საჭირო იყო საქართველოს მესვე-
ურთათვის. სწორედ ეს შეურყეველი სიმტკიცე, რაც მთა-
ვარს აკლდა, ახალიათებდა მის საყვარელ მუზლლეს, სო-
ფიოს, გიორგი წულუკიძის ასულს.

სოფიო გურიელისამ მოქარბებით გამოისყიდა ის „ვანდგომა“, როც 1809 წელს მთავარს „მარცხად“ მოუ-
ვიდა, როცა მან ფოთის ციხის აღებისას რუსეთის ერთ-
გულთ დახმარება გაუწია, რუსეთის ღენერალ დიმიტრი
ორბელიანის ჩრევას გაპყვა და მით სოლომონ მეფის წი-
ნააღმდეგობის ძალა გასტეხა... ჩვენ ქვევით ვნახავთ, რომ
მთავარს ეს „ლალატი“ სანახებლად გაუხდა და ის ბევრ-
ჯერ შეეცადა რუსეთის ბრძყალებიდან თავის დახსნას,
მაგრამ ამაოდ. ყოველ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს,
რომ იმერეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში თითქმის
ათის წლის განმავლობაში გურიის მთავარი ერთგულად
უდგა მხარში სოლომონ მეფეს და იმერეთის ბედს თუ
უბედობას გურიიაც იზიარებდა.

სამწუხაოდ, ჩვენ ვერსად შევხვდით გურიის უკა-
ნასკნელ მთავარზე დაწვრილებითი ცნობებს. კიდევ უფ-
რო ნაკლებ ცნობებს ვპოულობთ მისი სახელოვანი მეულ-
ლის, სოფიოს შესახებ, რომელმაც მთავრის გარდაცვალე-
ბის შემდეგ, გურიის ღირსების დროშა ხელთ აიღო, უძ-
ლიერეს მტკრს ბრძოლაში არ შეუშინდა, თავისი ერთგუ-
ლი გურულებისათვის სიცოცხლე არ დაიშურვა და ლტო-
ლვილებაში სული დალია.

მარი ბროსე სწერს, რომ მამია მეხუთე გამთავრდა
1792 წელს, როცა მისი მამა სვიმონი მიიცვალა. მამიას
მცირეწლოვანების გამო გურიის მართავდნენ: მისი დედა
მარინა (და ზურაბ წერეთელისა) და ბიძა ქაიხოსრო გუ-
რიელი, რომელიც გააფთრებით ებრძოდა რუსეთის „მო-
წოლას“, — იყო დიდად განათლებული კაცი, მცოდნე
უცხო, ძველ ენებისა და ლიტერატურისა, და კოლექტი-

ონერი ძეველ წიგნთა და ხელნაწერთა. ამან (თუ მისმა ძიძიშვილმა ბოლქვაძემ) მოჰქლა პოლქოფნიკი პუზირევ-სკი, რომელიც შემოქმედში მის შესაპყრობად შეიჭრა და ქაიხოსროს ძეველ სასახლეს თავს დაისხა. ამ მკლელობის გამო მთავარმართებელმა ერმოლოვმა ქაიხოსროს სასახლე და განძეულობა ცეცხლს მიაცემინა და საუკეთესოდ გა-შენებული ბაღები და ვაზი ისე გაუნადგურა, რომ „30 წელს აწი იქ ილარიანერი გაიხარებსო“, — სწერდა მისი აწმუნებული ველიამინოვი მთავარმართებელს...

აი, ასეთი ბიძის უახლოეს გავლენაში მოიქცა ჯერ კიდევ სულ ყრმა მამია.

მარი ბროსე გვაუწყებს, რომ მამიამ მოიყვანა ცო-ლად სოფიო წულუკიძის ასული, რომელიც იყო ახლო ნათესავი კაცია დადიანისა (მისი ცოლის, ანა წულუკიძის მხრივ, რომლის ძმისშვლი იყო სოფიო). უფრო გარკვეულ ცნობას ამ ჯვარისწერაზე გვაწედის ისტორიები ნიკო დადიანი, რომელიც ამბობს: „მარიამ დედოფალმან, მე-უდღე სოლომონ მეფისმან, დადიანის ასულმან, მისცა დედით ბიძაშვილი თვისი, გიორგი წულუკიძის ასული მამიას ცოლად』-ი (გვ. 38). სამწუხაროდ, მათი დაქორწი-ნების უამი ჩეენ არსად შეგვხვედრია; მაგრამ ეს არ შეიძ-ლებოდა 1814 წელზე უფრო გვიან მომხდარიყო, რადგან 1829 წელს მათი უფროსი ასული, ეკატერინე 14 წლისა ყოფილა.

სოფიოს ოჯახის შესახებ ცნობა ჩეენთვის ხომ ფრი-ად საყურადღებოა. სხვა ადგილას, სადაც ჩეენ დასავლეთ საქართველოს ლირსეულ ქალების ბრძოლის ამბებზე შე-ვჩერდით, ვნახეთ, თუ რა დიდი როლი ითამაშა ე. წ. „საეკლესიო ოჯანების“ დროს (1820 წელს) ერთმა წარ-ჩინებულმა ოჯახმა რაჭაში — სახელდობრ, გიორგი წუ-ლუკიძის ოჯახმა. ეს გიორგი მსახურებდა რუსულ ჯარში და იყო პოლოკოვინიკი; ამავე დროს თავის ძმებთან და შვი-

ლთან ერთად აჯანყებულთა შტაბს მეთაურობდა. ეს ამ-
ბავი თუმცა სოფიოს გათხოვების შემდეგ მოხდა, მაგრამ
მისი სამზადისი 1810 წ. სოლომონ მეფის ბრძოლების
დროს ეკუთვნის, და ამისი მოწამე უნდა ყოფილიყო გუ-
რის მომავალი დედოფალიც.

სოფიოს მამა, გორჩაკოვის სალდათებმა, სხვა შეთქ-
მულებთან ერთად, ხმლით აკუჭეს და დაჭრილი თბილი-
სის ციხეს მიიყვანეს, სადაც სისხლისაგან დაიცალა და
დიდ ტანჯვაში დალია სული. წულუკიძის ოჯახის ყველა
ციხე-სიმაგრე რუსებმა მოსთხარეს, დაანგრიეს, და მთელი
ქონება რუსეთის ხაზინას გადასცეს... აი, ეს გიორგი გახლ-
დათ სოფიოს მამა.

მაგრამ არა ნაკლებ შესანიშნავი იყო მხნე და გაუტე-
ხელი დედა სოფიოსი, რომელიც შეთქმულთ ნამდვილად
ხელმძღვანელობდა და გორჩაკოვის აღიუტანტის მოწმო-
ბით, სწორედ ამ ქალს აჯანყების ყველა საიდუმლო ძა-
ფუქი ხელთ ეპყრა. (იხილეთ ამის შესახებ ჩვენი: „რაჭა
და წულუკიძეების ოჯახი“, წიგნი პირველი).

წულუკიძეთა ეს შესანიშნავი ოჯახი ზრდიდა პატარა
სოფიოს და გულში უნერგავდა სამშობლოს დიდ სიყვა-
რულს; და ეს თვისი ანთებული გული სოფიომ გურიის
სამთავროს კარზე მიიტანა. სოფიომ აქ, თავისი ქმრის და
სახლის ირგვლივ ისეთ სანდო პირებს მოუყარა თავი, რო-
მელნიც გულისტკივილით უცქეროდნენ იმერეთის ბედს
ამ განსაცლელის ჟამს და უნდოდათ გურიისათვის კიდევ
ქართული სახე შეენარჩუნებინათ. ამასთან ერთად, გურიის
სამთავრო სახლი დანათესავებული იყო შეთქმულთა
მეორე წრესთან — დარეჯან ბატონიშვილის (სოლომონ
პირველის ასულის) სახელოვან ოჯახთან.

როგორც ვიცით, მამისა დაა ცოლად ჰყავდა დარე-
ჯანის ვაჟს, ივანე აბაშიძეს, ერთ-ერთ მეთაურს იმერეთის
აჯანყებისა იმავ 1819-1820 წლებში. უნდა ეიფიქროთ,

რომ 1820 წლის ამბოხების დროს, სოფიოსა და ივანე აბაშიძის დედ-მამისა და ახლო ნათესავების გავლენით, მამია ერთხელ „აცდენილ გზის“ გამოსწორებას შეეცადა; მაგრამ ეს ვერ შესძლო და ბოლმამ და სინანულმა მთავარს მალე სიცოცხლე მოუსწრაფეს. (ის 37 წლის გარდა იცვალა).

**

დავუბრუნდეთ ადრინდელ ამბებს, როცა მამია გურიელი რუსთა გავლენით სოლომონ მეფეს პირველად გადაუდგა და „აცდენილი გზით“ იწყო სვლა....

ჩვენ ვიცით, რომ სოლომონ მეორის დავალებით, 1809 წლის შემოდგომას მთავარი მამია გურიელი რაზმებითურთ გაიგზავნა რუსულ - მეგრულ ძალების წინააღმდეგ, რომელიც ფოთის ციხის აღებას ლამობდნენ.

ფოთის ციხე იყო ერთად-ერთი ბაზა, საიდანაც სოლომონ მეფე ოსმალეთის დახმარებას იღებდა. ამის გამო შეი გამაგრებულ ბათომის ბეგს — ქუჩუქ-ბეგ შერვაშიძეს, რომელსაც სოლომონ მეფის მხარე ეჭირა, რუსულმა და ოდიშის ჯარებმა ალყა შემოატყეს. მდგომარეობა სერიოზული იყო, რადგან მცირერიცხვან მეციხოვნეთ დიდი ხნით წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ. ამ დროს ტრაპეზუნდიდან ქუჩუქ-ბეგ შერვაშიძეს 9.000 კაცი მოაშველეს. ამ ამბებს გულის ძერით თვალყურს ადევნებდა სოლომონ მეფე, რომელიც პირდაპირ რუსების წინააღმდეგ ომში ჩარევას გაურბოდა. ამიტომ მან ბრძანება მისცა მამია გურიელს, ტრაპეზუნდიდან მოსულ ჯარებისათვის გზა მიეცა და მათვეის არა-პირდაპირი დახმარება გაეწია. იმერეთის ბედი ამ ციხესთან იყო ეხლა დაკავშირებული.

რუსეთის გეგმა ყველასათვის აშეარა გამხდარიყო — ფოთის აღებით სოლომონ მეფე იზოლიაციაში უნდა მო-

შწყვდეულიყო და შემდეგ, შეერთებული მეგრულ-რუსული ჯარი იმერეთს უნდა შესეოდა.

ეს მზაკვრული გეგმა ღენერალ დიმიტრი ორბელი-ანმა ლევან დალიანს, ნიკო დალიანს, ქუმნდიდელს და დანარჩენ წარჩინებულთ გააცნო; ესენიც დატრიალდნენ ახალგაზრდა და გამოუცდელ (მაშინ ძლიერ 20 წლისა იყო) მამიას გადმოსაბირებლად სხვა და სხვა აღთქმებით ჩუსეთის სახელით.

ამ დაპირებებში მამიასათვის ყველაზე უფრო საყურადღებო უნდა ყოფილიყო იმის გარანტია, რომ გურიის სამთავრო საშვილიშვილოდ ხელუხლებელი დარჩებოდა; რომ გურიის ავტონომიური მმართველობა, ისე როგორც სამეგრელოსი, უზრუნველყოფილი იქმნებოდა, ის რესერის მფარველობაში მოექცეოდა და ქვეყნას მომავალში არავითარი საფრთხე თურქეთის, ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს მხრით აღარ მოელოდა.

ამავე დროს მამისა შთაგონებს, რომ იმერეთის საქმე
უძველეს განწირული იყო; რომ რუსეთი განდგომას
ძლის აპატივებდა სოლომონ მეფეს და ყველა მისი მოკაზ-
შირენი მის ბედს განიზიარებდნენ: ყოველგვარ დამოუ-
კიდებლობას დაჰკარგავდნენ და რუსეთში იქნებოდნენ
გადასახლებულნი, როგორც ეს მოხდა ქართლ-კახეთშიო...
ყველა ამან დადად დააფიქრა მთავარი. მამისა აზრით,
სწორედ ეხლა დგებოდა ის დრო, როცა მას თვისი კუთხის
— გურიის — გადარჩენაზე უნდა ეზრუნვა, რადგან იმე-
რეთის დღეები თავის თავად დათვლილი იყო... და თვის
უახლოეს მრჩეველთა წრეს მოწყვეტილმა, ბრძოლის ვე-
ლზე მყოფმა ახალგაზრდა მთავარმა, ასეთ „შემოტევას“
ველარ გაუძლო.

ისტორიკოსი ნიკო დადიანი, რომელიც მამიას გადა-
 შირებაში დიდ დამსახურებას მიიწერს, გვაუწყებს, რომ
 მამია აქამდე თუმცა სოლომონ მეფის დიდი ერთგული
 იყო და ჩვენთვის მავნე კავშირში იმყოფებოდა შერიფ -
 ფაშასთან, რომელსაც აღრევე შეუთანხმდა და ამანათე-
 ბის მიცემასაც კი დაპირდაო, მაგრამ ჩვენ ის გადმოვიძი-
 რეთ მიტრობოლიტ ჭყანდიდელის, არქიმანდრიტ ისე-
 ბის და სხვათა წყალობით და ასე დავამარცხეთ შერიფ -
 ფაშაო... მამიას აღუთქევს გურიის დამოუკიდებლობა
 ისე, როგორც ეს ოდიშს ჰქონდაო...

დრო აღარ ითმენდა, მამიას ეხლა სასწრაფოდ უნდა
 ემოქმედნა, ვიდრე შერიფ - ფაშის ნაწილები ციხესთან
 მეგრულ - რუსულ წრეს გაარღვევდნენ; ამიტომ ის ფა-
 შის ჯარს ზურგში დაეცა, ხოლო მეორეს მხრივ თურქთ
 შეუტია მეგრულ - რუსულმა რაზმებმა. ამ მოულოდნელ-
 მა დივერსიამ მტრის ნაწილებში დიდი არევდარევა გამო-
 იწვია; შერიფ - ფაშა იძულებული გახდა უკან გაბრუ-
 ნებულიყო. 2 ნოემბერს 1809 წელს რუსებმა ფოთის ცი-
 ხე ხელთ იგდეს და ამავე ღრის, სოლომონ მეფის მარჯ-
 ვენა ხელი, გურიის მთავარი, თვის მოკავშირედ გაიხა-
 დეს... ამ ღალატის დღიდან მამიას უკან დახვეის გზა აღარ
 დარჩენდა და შემდეგში, მეფის საწინააღმდეგო ბრძო-
 ლებში, ოდიშთან ერთად გურიაც ჩაება. ამან გაამნევა
 რუსის მთავრობა და, ლოთი და უხეში გენერალი ტორმა-
 სოვი სოლომონ მეფეს ეხლა უკვე მტკიცე ენით ელაპარა-
 კებოდა და მისგან დიდ დათმობებს მოითხოვდა, და რაკი
 მეფე მაინც მტკიცედ იდგა და ბოლომდე იბრძოდა, რუ-
 სებმა 20. 2. 1810 წ. პროკლამაციით გამოაცხადეს იმერე-
 თის სამეფო გაუქმებულად, ხოლო მეფე გადაყენებულად.

იმერეთისაკენ ეხლა რუსულ ჯარებთან ერთად მეგ-
 რულ - გურული ჯარებიც უნდა დაძრულიყვნენ. უმწეო
 მდგომარეობაში დაშთენილმა იმერეთმა მაინც განაგრძო

ბრძოლა, მაგრამ გურია - სამეგრელოს განდგომით ყველაფერი უკვე განწირული შეიქმნა და მეფემ ბოლოს გენ. ტორმასოვთან შეხვედრა და მოლაპარეკა არჩია. აქ იგი მოტყუილებით ხელთ იგდეს რუსებმა, მეფის მხლებლები განაირაღეს და მეფე თბილისში ტყვედ ჰყვეს. ამ ტყვეობიდან, როგორც ვიცით, მეფემ გაქცევა მოახერხა და ერთგულებითურთ ახალციხეს გადაეიდა; იქედან იმერეთს კვლავ შეიჭრა და ხალხი რუსებს აუჯანყა.

მრავალი სახელოვანი ბრძოლა გაუმართა მაშინ მეფემ რუსებს და მის მოკავშირე გურულ - მეგრულ ჯარს; მაგრამ ბოლოს მაინც იძლივა და ხანის წყლით ისევ ოსმალეთში გადავიდა, სადაც 1815 წელს აღესრულა.

მეფე სოლომონის ერთგული მრჩეველი კანცლერი, სოლომონ ლეონიძე კი თვითონ მეფემ 1811 წელს ახალციხის მიწას მიაბარა.

* *

რა მოუკეთება გურიის სამთავროს სოლომონ მეფის განდევნის შემდეგ?

რუსეთი თავში მართლაც არ აჩქარებდა გურიის ავტონომიის გაუქმებას. მან კარგად იცოდა, რომ მალე ამისათვის შესაფერი უამი დადგებოდა; ხოლ ჯერ კი, თურქებთან გართულებულ ურთიერთობის დროს, პატარა, მაგრამ ამაყ და მამაც გურიას დაყვავება სჭიროდა.... მისი ძალა ერთხელაც სჭირო განხდებოდა.

ეხლა, როცა დასავლეთ საქართველოს რუსეთმა ხერხემალი გადაუმტვრია და იმერეთის სამეფო მოსპო, აბარა საშიშროება უნდა ყოფილიყო იმპერიისათვის გურიის ან ოდიშის, ან სეანეთისა და აფხაზეთის პატარა სამთავროები?

და რუსეთმა ჯერჯერობით უხვად დაასაჩუქრა გურიის მთავარი იმ სამსახურისათვის, რომელიც მან ლენერალ ორბელიანს ფოთის აღების დროს გაუწია.

8 აპრილს 1811 წელს მამია დამტკიცებულ იქმნა გურიის მთავრად იმ ტრაქტაზის რატიფიკაციის შემდეგ, რომელიც 19 ივნისს 1810 წელს იქმნა დადებულია.

ამ ტრაქტაზს მამიას გარდაცვალების შემდეგ არა ერთხელ ემყარებოდა დედოფალი სოფიო, გურიისა და მემკვიდრის უფლებათა დასაცავად. ამ ტრაქტაზის შეორე მუხლში ვკითხულობთ: „.... მებოძა მე, შეილთა ჩემთა და ყოველთა მემკვიდრეთა ჩემთა მუდამ უფროს ამათ-თაგანს — ვისარგებლოთ უფლებით და უპირატესობით მთავრისა.... რის გამო მებოძა მე ხელშიფესაგან შესაფერი ღრამატა და ყველა მემკვიდრეთა ჩემთა, როცა კი შევა მმართველის უფლებაში და დამტკიცებულ იქმნენ უმაღლესი ღრამატით“.... აი, ამ „ღრამოტის“, დამტკიცების შემდეგ, მამია ახალ გზას დაადგა და დიდი ტალღებიდან პატარა გურიის გამონაპირებას შეეცადა.

დაიწყო მთავარის ცდები რუსეთის შფარველობის ქვეშ გურიის აყვავებისათვის და გალონიერებისათვის. მრავალ ბრძოლებითა და მიხტომ-მთხომით აწიოებულ ქვეყანას რუსეთის შფარველობის ქვეშ ეხლა მშვიდობიანობა უნდა ეგემა და ეკონომიურ - კულტურული წარმატებისათვის ხელი მიეყო. მართლაც, მალე მამიამ ოზურგეთში გახსნა სკოლა, გამართა „მარინობა“, მოიწვია მუსიკოსები, მსახობი და სხ. გურიის ხალხის ყოფაცხოვრება წარმატების გზას დაადგა, — სწერს ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი.

მაგრამ მთავარის გაბზარული ბუნება ამან ვერ გამრთელა და ჩერენ ენახეთ, რომ მამია უფრო გვიან, სოფიოსი და სახლთ-უხუცესის დავ. მაჭუტაძის გავლენით საკმაოდ გაიმიჯნა რუსთაგან და 1820 წელს აჯანყების დროს რუსეთის მთავრობისადმი მტრული განწყობილება მან უკვე ველარ დაჰფარა.

**

იმერეთის საყვარელი მეფის ტრაპეზუნდში უდრო-ოდ სიკვდილმა მის ერთგულთ და იმერეთის მთელ ხალხს თავზარი დასცა. ეხლა მთელი დასავლეთი საქართველო (იმერეთი, სამეგრელო და გურია) რუსეთს ხელთ ეპყრა. მართალია, რუსეთის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლა-ში ბაგრატიონები დამარცხდნენ, მაგრამ ხალხი ამ ბედს არ შეურიგდა. იმერეთმა ხმალი ქარქაშში არ ჩაგო და 1820 წელს მთელს იმერეთს, რაჭას და გურიას დიდი აჯანყების ცეცხლი მოედო. შევჩერდეთ სულ მოკლედ ამ ამბებზე.

სამწუხაროდ, ამ აჯანყების ისტორია ჯერაც შეუსწავლელია, მაგრამ ის მაინც აშკარაა, რომ ის იყო დიდი პოლიტიკური აქტი დასავლეთ საქართველოსი, რომელ მაც თვისი დამოუკიდებლობა და საყვარელი მეფის ანდერძი არ დასთმო.

რუსულმა დოკუმენტებმა და ისტორიკოსებმა ეს დი-დი აჯანყება, რომელიც თვეები გრძელდებოდა, უბრალო „აღრევად“ მონათლეს და მას „ცერკოვნი ბუნტი“, უწოდეს. ნამდვილად კი ეგზარს რუსანოვის მიერ საეკლესიო ქონებათა ოწერა, დიდი ხნით აღრე დარაზმულმა და დი-სკიპლინით გაწრთვენილმა ხალხმა მხოლოდ საბაბად გა-მოიყენა წინასწარ განზრიახულ აჯანყებისათვის. რუსის მხედრობამ თავი დაპკარგა; აჯანყებულთა შეიარაღებული ნაწილები ხალხს ხან აქ და ხან იქ ჰკრებდა; მას აღგზნებული პროკლამაციებით მიმართავდნენ და დამსწრეთ იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის ფიცს აღებინებდნენ. ამ აჯანების ქსელები შეთქმულებმა მთელს იმერეთს მო-სდევეს, აქედან ის გურიაში გადაიტანეს და ბოლოს სამეგ-რელოს ნაწილებიც აიყოლიეს. ჩვენ ვიცით, რომ სამეგ-რელოს მთავრის, ლევანის ძმა გიორგი ხელმძღვანელობდა შეთქმულთა საქმეს ოდიშში და მას ფრთხილად და ზრუნვით უთვალთვალებდა მისი დედა, — სამეგრელოს

დედოფალი ნინო; როგორც ირკვევა, იმ დროს არც თვითონ მთავარი ლევანი იყო აღფრთოვანებული იმ ღალატით, რაიც მის მამას, გრიგოლს 1803 წლის ტრაქტატის დადგებით იმერეთის წინაშე ჩაედინა.

იმ ხანებში გურიამ ერთბაშად აჯანყების ცეცხლი გააჩალა მამიას ბიძის — ქახოსროს, დავით გურიელის, დავით მაჭუტაძისა, ნაკაშიძის, გუგუნავის და სხვათა მეთაურობით. როგორც ზევით ვნახეთ, ამ შეთქმაში მთავრის ოჯახიდან არა მარტო სოფიო იღებდა მონაწილეობას, არამედ უკვე შენანიებული მთავარი მამიაც, რომელიც საიდუმლო მიწერმოწერაში იყო ქობულეთთან, ახალციხესთან და სპარსეთთან, კერძოდ, იქ გახიზნულ ალექსანდრე ბატონიშვილთან და დანარჩენ ემიგრანტებთან.

მოძრაობის სათავე კი მაინც მიუვალ რაჭაში იყო დაბანაკებული, სადაც, როგორც ვთქვით, მას ხელმძღვანელობდნენ სოფიოს სახელოვანი და მხნე დედა და მისი მამა, პოლკოვნიკი გიორგი წულუკიძე. ამ რიგით, აჯანყებამ სახალხო ხასიათი მიიღო და რუსეთმა აუარებელი ჯარი, საჭურველი და ფული გადააბარგა იმერეთს და დიდი მსხვერპლიც გაიღო 1820 წლის აჯანყების ჩასაქობად; და ჩვენ ვიცით, რომ ეს „ჩაქობა“ მოხდა ჯერ არ ნახულის სისასტიკით და იყო „ცეცხლიანი“ და სისხლიანი“... გავიხსნოთ კვლავ ზოგი რამ ამ ამბებიდან: —

ჯერ კიდევ 1820 წლის დასაწყისში აფრთხილებდა იმერეთის მმართველი ღენ. კურტანოვსკი ღენერალ ერმოლოვს თბილისში, რომ ისმალეთი ივანე აბაშიძესთან მოლაპარაკებაშია დახმარებისათვის და მისგან ამანათებს ითხოვს, რომ მთელი იმერეთი იარაღში ჯდება და ხალხის ყველა წოდება აჯანყებისათვის მზადაა, — ჩვენ კი მომხრენი აღარავინ დაგვრჩაო... თუმცა გურია - სამეგრელოს მთავრები ერთგულებას გვეთიცებიან, მაგრამ ეს მხოლოდ საფარია, ნამდვილად კი ისინი მართლაც სწერ-

რენ წერილებს იმერეთიდან სულთანს და ალექსანდრე ბატონიშვილს; იგანე აბაშიძე სულ გადგა და ბევრს ვე-ცადე, მაგრამ ვერ მოვიყეანეო.... და თუ მათ გურია - სა-მეგრელოც მიემხრო, ჩევნი ჯარებით ვერას გავხდებით და მდგომარეობა მეტად კრიტიკული იქნებაო... და სხვა.

აშეარაა, რომ მამიას და სოფიოს გულისყური იმ დროს აჯანყებისაკენ იყო მიმართული და იმერეთთან და რაჭასთან ერთად ეხლა გურიაც ჩაეტა რუსთა საწინააღმ-დეგო ბრძოლებში...

იმ დროს მხნე გურულებს მეთაურობდა ცნობილი ქა-იხოსრო გურიელი, ბიძა და აღმზრდელი მამიასი, რომე-ლიც დაკავიშრებული იყო ალექსანდრე ბატონიშვილთან და იგანე აბაშიძესთან, რაჭაში კი სოფიოს დელმამამ მხა-რე საიდუმლოდ დარაზმა და ლომქაც ლეჟავას რაზმების გაძლილა მიანდო. ყველა ამას სოლომონ მეფის ანდერძი შეეძლო მართლაც გაეცოცხლებინა, და „ჰსაჯე უფა-ლო“-ს ქამი ეხლა უნდა დამდგარიყო... და იმ დროს მთა-ვარს არა სურდა სოლომონ მეფის აჩრდილის წინაშე თა-ვისი თავი კვლავ შეერცევინა....

იმერეთის ერთგულ გურიას კიდევ შეეძლო მამაცუ-რად ხმალის ტრიალი, მაგრამ რუსეთმა სასწრაფოდ დიდ-ძალი ჯარები დააგრძევა, და ბოლოს ეს აჯანყება იმერეთ-ში ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო...

ჯერი გურიაზე და ქაიხოსროზე მიდგა და ღენ. ვე-ლიამინოვიც იქეთქვნ დაიძრა. როდესაც ის ჩოხატაურს მიუახლოვდა, მთავარ მამიას წინადადება მისუა, რათა ის თავისი ჯარით ექნებულიას დახმარებოდა ქაიხოსრო გურიელისა და სხვათა ასაწილებლად; მაგრამ მამია ვად-გა, ვერაგული წინადადება უარჲყო, ოზურგეთიდან აიბა-რება მთლად და რაზმით ტყეში გავიდა. ბევრს ეცადა ღენ. ველიამინოვი მის დაყვავებას, რაღვენ ქაიხოსროსა და ივა-ნე აბაშიძის წინააღმდეგ მას გურული ჯარები მეტად

სჭირდებოდა, მაგრამ მამია მას აღარ ენდობოდა. მან იცოდა, რომ შეთქმულების ამბები და მასში გურიის მთავრის მონაშილეობა რუსეთს უკვე შეეტყო და გურიას და მის მთავარს სასტიკი რეპრესიები ელოდათ. ამის გამო მამია ლენერალ ველიამინოვის მოწოდებაზე, როგორც ვთქვით, არ გამოცხადდა და თვითონ მიიწვია ველიამინოვი მინდორზე, გაშლილ ადგილს მოსალაპარაკებლად. აქ კი ლენ. ველიამინოვი შეშინდა: ვაი თუ პირაქეთ დამაპატიმროს მთავარმა და მამიასთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

გამწვავებულ მდგომარეობას როგორმე ეხლავ გამოსწორება სჭიროდა და ლენ. ერმოლოვმა იკადრა დაყვავებითი წერილით მიემართა მთავრისათვის და ეს „ინციდენტი“ უბრალო გაუგებრობად მოენათლა. „ნუ თუ თქვენ მართლაც შეგეძლოთ ერთის წუთით წარმოგედვინათ;“, სწერდა გენ. ერმოლოვი მთავარს, „რომ ველიამინოვი თქვენ დაგაპატიმრებდათ? მე სწორედ თქვენს დასაცავად გამოვაყოლე მას ჯარები, რათა თქვენი სამთავროს წინამდევ აჯანყებული ბიძა თქვენი დაესაჯა“—ო... (თითქოს ქაიხოსრო გურიელი არა რუსეთის ხელისუფლებას ებრძოდა, არამედ მამიას), — „და თქვენ, რომელიც მოვალე ხართ დაეხმაროთ ველიამინოვს ჯარებით, თურმე თვით გაურბიხართ მასთან ბანაკში მისვლის. თქვენი გარემოცვა თურმე გაჩრდინებთ — თითქოს თქვენ დაგიმერენო... ნუ თუ ეს მართლა გჯერათ?... ასე რომ იყოს, მოახერხებდით კი სადმე დამალვას? ასუთი აზრები თქვენ არ შეგფერისთ, არამედ ვიღაც ივ. აბაშიძეს და მის მსვანეს „პალლეცებს“... და თუ თქვენი ეჭვები მაინც ველარ გაპთანტეთ, მაშინ მე აღარ გთხოვთ ველიამინოვთან შეხვედრას; მაგრამ მოვითხოვ, რომ ეხლავ მოიცილოთ თქვენგან ბოროტი მრჩევლები, როგორიც არის სახლო - უხუცესი დავით მაჭუტაძე, რომელმაც გაბედა და რუსის ოფიცერს

უარი ჰკადრა შესახებ თქვენი მისვლისა (ხლებისა) ველი-
ამინოვთან, იმ მიზეზით, თითქო თქვენი დაპატიმრება დო-
მოდესთ მის ბანაკში. ამ გვარი თავხედობა წარჩინებუ-
ლი და რჩეული პირისა ცუდ მაგალითს იძლევა და მე
მოვალე არ ვარ ეს გარყვნილება (რაზვრატ) მოვითმინო.
გთხოვთ ეხლავე მოიშოროთ ის, და თუ სურს, შეუძლია
ქობულეთის ბეგებთან ეძიოს წყალობა... ღენ. ველიამი-
ნოვს კი ნაბრძანები აქვს — არსად არ შეგხედეთ თქვენ,
თუ არა თვის საკუთარ ბანაკში. მე ვშიშობ, შეიძლება
თქვენს მხლებლებშიაც აღმოჩნდეს ისეთი მოლალატე
მკვლელი, როგორიც არის ბიძა თქვენი“-ო.

ისედაც დაძაბული მდგომარეობა, კიდევ უფრო გა-
მწვავდა, როცა გენ. ერმოლოვმა მოითხოვა — მამიას დაც
(მეუღლე ივანე აბაშიძისა, რომელიც მთავართან (ცხოვ-
რობდა) შეიღებითურთ მასთან, თბილის გაეგზავნა მა-
მიას. ეს წერილი მრავალნაირადაა საყურადღებო და მისი
მოკლედ გაცნობა ზედმეტი არ იქმნება.

დასახელებული წერილიდან ირკვევა, რომ გურიის
სამთავრო მიწერმაწერაში ყოფილა, ქაიხოსრო გურიე-
ლის მეშვეობით, ალექსნდრე ბატონიშვილთან სპარსეთში
და ამ უკანასკნელს, ეტყობა, გაუმნევებია მამია და დაჭ-
პირებია — მალე სპარსულის ჯარებით შემოვიჭრები და
აჯანყებულ იმერეთს დავეხმარებიო.

ღენერალი ერმოლოვი გურიის მთავარს მამიას სწერ-
და: „ეს გაქცეული ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც
ერთი ქვეყნიდან მეორეში დაეხეტება, მიმართავს რა გუ-
რიას, ჰფიქრობს — თითქოს იპოვა მხარე, სადაც ხალხმა
ვითომ არ იცის, რომ ალექსანდრე არას დროს არა ყოფი-
ლა რა, გარდა მხდალ და ქარაფშუტა აღამიანისა... ამ
გვარ ყალბ ხმებს სთხზავენ მის ირგვლივ შეკრებილი „მა-
შენნიქები“; განა ამ „პადლეცს“ მისცემს სპარსეთი ჯარს
დასახმარებლად?... ხოლო რაც შეეხება თქვენს დას, ივა-

ნე აბაშიძის ცოლს, თუმცა მჯერა, რომ მისი ქმრის ავაზაკობის საქმეში ის არაფერ შუაშია, მაინც უნდა განვათშრო ის თქვენს ოჯახს და საერთოდ იმერეთს, და შვილებითურთ ჩემთან ახლოს დავამკვიდრო“ -ო. (იხილეთ სხვათა შორის, მგოსანი აკაკი წერეთლის „მოგონებანი“ ივანე აბაშიძის ოჯახის გადასახლებაზე). განა ყველაფერი ეს აშკარად არ მეტყველებს, რომ გურიის მთავარმა, სოფიოს და მისი მარჯვენა ხელის დავით მაჭუტაძის გავლენით, სიცემბრით შესცვალა თავისი დამოკიდებულება რუსეთთან? მაგრამ ეხლა უკვი გვიან იყო და პატარა გურიას აღარ შეეძლო რუსთა დიდ ჯარებს გამკლავებოდა.

იმერეთის აჯანყებაც ნელ-ნელა დაცხრა; ეს უკანასკნელი იმედიც გაპქრა. მამიამ ნახა, რომ ძალა აქაც „აღმართს ხნავდა“ და მისი მრჩეველი და კანცლერი დავით მაჭუტაძე, გენ. ერმოლოვის მოთხოვნით, დასიმზო. და დ. მაჭუტაძე მთავარს განშორდა და ნიგოითში თავის სასახლეში გადავიდა. მაგრამ გურიის კანცლერი აქაც არ ისვენებდა და ათასნაირ ქსელებს აბამდა შეოქმულებთან რუსეთ - ოსმალეთის მდგომარეობის გართულების მოლოდინში.

გენ. ველიამინოვმა ქაიხოსრო გურიელის მამულები გაანადგურა, მისი სასახლე, უმდიდრესი ბიბლიოთეკა და იშვიათი სამუზეუმო კოლექციები, — ყველაფერი ხანძარს მისცა; უმშვენიერესი ვენახები და ხეხილები გადასჭრეს და ყოველივე მიწასთან გაასწორეს...

შემდეგ გენერალ ველიამინოვის ეგზექუცია გადავიდა მდინარე სუფსაზე, შეიჭრა დავით გურიელის მამულში და აქაც ყოველივე ნაცარ-ტუტად აქცია... აქედან მან აიკლო გრიგოლეთი, შემდეგ გადავიდა დავით მაჭუტაძის მამულში და ყოველივე ცეცხლს მისცა... მაგრამ გ. ველიამინოვმა მაინც ვერ მოახერხა ვერც ქაიხოსროს, ვერც მაჭუტაძის და ვერც დავით გურიელის ხელში ჩაგდება.

ბოლოს გურიის მთავარმა მამიამ სოხოვა გენერალ ერმოლოვს ყველა გამდგართა მამულების, რაც რუსეთმა მათ ჩამოართვა, გურიის სამთავროზე გადაცემა, მაგრამ მან ამაზე ცივი უარი მიიღო.

**

გენ. ერმოლოვმა ყველა ჩამორთმეული მამული რუსეთის ხაზინას მიაკუთვნა. მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი თუმცა ტლანქი, მაგრამ უბრალო აღმასრულებელი იყო იმ დიდი, მზაკვრული ეკონომიური პოლიტიკისა, რასაც რუსეთის იმპერია აწარმოებდა თვისი განვრცობისა და დაპყობათა ხანაში.

გატეხილ მოწინააღმდეგის დაპყრობიდან იწყებოდა მეორე პერიოდი: მისი ეროვნული დევნისა, გარუსებისა და ყველა სახელმწიფო აპარატიდან გამოთიშვისა, ე. ი. არსებობის საფუძველის მოშლისა.

ამ პერიოდში ყველაზე საყურადღებო იყო სრული განიარაღება ერის ბელადებისა, მისი უზენაესობის მატარებელთა, რათა მათ ხალხი ახალი წინააღმდევობისათვის არ დაერაზმათ, უკმაოფილების ცეცხლი კვლავ არ დაენთოთ. ამიტომ იყო, რომ რუსეთი სამეფო სახლის წევრთ, დედოფალთ და მთავართ შედარებით დიდ პენსიებს უნიშნავდა და რუსეთში ასახლებდა. მაგრამ ყველა მოწინავეთა გადასახლება შეუძლებელი იყო და ეხლა ესენი სოესდნენ ხალხში უკმაყოფილებას და აჯანყებებს იწვევდნენ. და არ, ამ დროს წარჩინებული კლასის დასამორჩილებლად რუსეთი თითქმის ყველა დაპყრობილ ქვეყანაში ერთ და იმავე ხერხს მიმართავდა: ის აცლიდა ამ ფეოდალებს ეკონომიურ ბაზას და განდგომისა და რუსთა წინაშე „ლალატის“ მომიზეზებით, მათ ერთადერთ სახსარს — მამულებსა და ყმებს ჩამოართმევდა და რუსეთის ხაზინას გადასცემდა ხოლმე. ამ ეკონომიურ სახსრის მოშლით თავად აზნაურობა სრულად ულუკმაპუროდ და უნიადაგოდ

რჩებოდა და გლეხობაც, მამულებთან ერთად, რუსეთის ხაზინის ჭავუთრებად იქცეოდა. ამ სახით ხდებოდა მთელი სოციალური წყობის შებრუნება და რუსეთის ეკონომიკური გაძლიერება — მის პოლიტიკურ განმტკიცებასთან ერთად. — მეორე მხრივ, რუსეთი ამ „წარჩინებთულ წოდებას“, ეკონომიკურად უკვე გაღატაკებულს, უსინიდა სასწავლებლებს და კონბუსებს, სადაც მათ შეილებს სახელმწიფო ხარჯით ასწავლიდნენ და არუსებდნენ, და მომავალ ოფიციებად, ან რუსულ მოხელეებად ზრდიდნენ. ამავე დროს, რათა რუსეთში გადასახლებულ ერის ყოფილ ბელადებს თავის სამშობლოში დაბრუნების საშუალება სამუდამოდ დაპერაგოდათ, რუსეთში მათ მამულებსა და ყმებს აძლევდნენ, ვითომდა იმის ნაცვლად, რაც მათ საკუთარ სამშობლოში ჩამოერთვათ. ამის საუკეთესო მაგალითი ჩვენ ვხედავთ 1806 წ. აგვისტოს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებაში, სადაც სრულიად გარკვევით ნათქვამია, რომ „საჭიროა საქართველოდან გადმოხასილებულ ბატონიშვილთაოვის შეძენილ იქმნას მამულები რუსეთში, რათა საუკუნოდ მოეხსოვს მათ საშუალება და ოცნებაც კი საქართველოში დაბრუნებისა“-ო. (იხ. აქტები, ტ. 2). საქართველოს სამეცნიერო სახლის და დიდ პირთა ამ ეკონომიკურ განიარაღებაზე ჩვენ სხვა ადგილისაც გვერდა ლაპარაკი და ამ მხრივ, ვიმეორებდები: გურიის მაგალითი, რასაცვირველია, ახალი არ იყო.. გენერალი ერმოლოვი, როგორც „ნამდვილი სალდათი“ ამ რუსულ პოლიტიკას ახორციელებდა: მან ყველა მოწინააღმდეგეს მამულები და ყმები ჩამოართვა და რუსეთის ხაზინას გადასცა. ამ შემთხვევაში ახალი იყო ის, რომ რუსეთი გურიაში ამგვარი პოლიტიკით არა მარტო გურიის თავადაზნაურობას ასუსტებდა, არამედ გურიის ავტონომიურ სამთავროსაც ეკონომიკურ ძალას აცლიდა და მის წიაღში რუსული ხაზინის კოლონიებს ჰქმნიდა. ამნაირად „დამო-

„უკიდებელ“ გურიის რუსეთი ორ მხრივ უტევდა. მთავარს მამიას ეს გარემოება არ გამოპარიგია და მან ჩამორთმეული მამულების გურიის ავტონომიური ხაზინისათვის გადაცემა მოითხოვა გურიის მთავრის მოთხოვნა იურიდიული სწორი იყო, ავტონომიის სტატუტით გამართლებული, მაგრამ გენ. ერმოლოვმა მთავარ მამიას უარი უთხრა და ანგარიში არ გაუწია დამარცხებულ ქვეყანას: ქონება და მამულები მან რუსეთის ხაზინას მიაკუთვნა...

*
*

გურიის მთავარს ყველა იმედი დაემსხვრა — აჯანყება სასტიკად დამარცხდა, მისი მეთაურნი ან დაიღუპნენ, ან იქმალეთში გაიხიზნენ...

გაჩანაგებული გურია რუსთა ექსპედიციების სათარეზოდ გამხდარიყო, — ხალხს ჭრილობების შეხვევა, ცრემლთა მოწმენდა და ახალი იმედი სჭირდებოდა....

მთავარმაც სცადა გურიისათვის ჭირისუფლობა გამოეჩინა და საკუთარი თავმოყვარეობის და ღირსების დათმობით რუსეთთან კვლავ შერჩება არჩია. მან გურიის ავტონომიურ უფლებათა გადასარჩენად ახალი „შებრუნება“ მოახდინა, აჯანყების ხმალი ჩააგო და რუსეთს ერთგულების და მორჩილების სახე უჩვენა. ეს იყო მისი ხერხი, რადგან იგი ხედავდა, რომ სხვა გზა მას აღარ დარჩენიდა. ამით აიხსნება გურიის მთავრის ცდა რუსეთის იმპერატორთან ნათესავური დაკავშირებისა....

24. 8. 1820 წ. მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი მინისტრ ნესელროდეს ატყობინებდა, რომ გურიის მთავარმა მას სთხოვა შუამდგომლობა ხელმწიფის წინაშე — „რათა მან ინებოს მონათვლა ახლად შეძენილ მემკვიდრე ვაჟისა“ — „... ამნაირად მამის სცდილობდა მთავრის ხარისხი არ დაპკარგოდა მის მემკვიდრეს, რომელსაც „ღრამოტის“ გარდა, მირონითაც უნდა განემტკიცებინა მემკვიდრის ეს უფლებები... „ვინაიდან“, განაგრძობს გენ.

ერმოლოვი, „მიღებულია ა-ეთ შემთხვევებში — ახლად დაბადებულის დედის დასაჩუქრება, ამიტომ იძულებული კარ გაცნობოთ, რომ მეულლე მთავრისა, სოფიო, წარმო-სდება ერთერთ იმერული ოჯახიდან, რომელიც აშკარა მონაწილე იყო მთავარ შეთქმულებისა რუსეთის წინააღმ-დეგ და აჯანყებას ავრცელებდა. ამის გამო, ეს ქალი თა-ვისი თვისებებით არ იმსახურებს უმაღლეს უყრადღებას და ამიტომ სჯობს საჩუქრები თვითონ მთავარს უძლვნა-თ“-ო. (აქტი, 5).

როგორც აღვნიშნეთ, მთავარმართებელი ეხლა იმა-საც ხედავდა, რომ სოფიოს და სხვათა გავლენით თვით მთავარიც რყევაში იყო და შეთქმულებაში, ასე თუ ისე, გარეული. ხედავდა, რომ „შეილის მონათველა“ ხერხი იყო ამ ცოდვათა დასაფარავად, მაგრამ რა ექმნა! ახალი გან-დგომა ოსმალეთის მოსაზღვრე მთავარისა ხომ უფრო სა-ხილათო იყო იმ დროს!..

იმ საშინელი ექსპედიციებისა და ჩბევის შემდეგ, რა-მაც გურია ერთბაშად დასცა, მამიამ საჭიროდ დაინახა გენ. ველიამინოვთან მოლაპარაკება, მისი „აშვებული ძა-ლების“ შეკავება და ამ მიზნით 4 სექტემბერს 1820 წელს იგი გენერალს პირველად შეხვდა; ეს იყო უკვე დათმობა და იძულებითი შერიგება; დღიდი დამცირება და მთავრის მკერდში რუსული ხიშტის ჩაცემა... ამის შემდეგ მთავარ-მა ყველა იმედი დამარხა; მისმა გულმაც ამდენ დამცირე-ბას ვეღარ გაუძლო და 21 ნოემბერს 1826 წელს ხანგრძ-ლივი ავადმყოფობის შემდეგ მთავარი მიიცვალა.

**
**

მამიას სიკვდილის შემდეგ იწყება დედოფალ სოფი-ოს უშუალოდ და მტკიცედ ჩარევა სამთავროს საქმეებში, გალახული ეროვნული უფლებების დასაცავად.

მთავარმართებელის, გენ. ერმოლოვის რწმუნებული პოლკოვნიკი ბებუთოვი, რომელიც იმერეთისა და გური-

ის საქმეების გამგე იყო, დედოფალ სოფიოსადმი თავი-დანვე მტრულად იყო განშეყობილი. 23. 11. 1826 წ. მთავრის გარდაცვალებას ატყობინებდა ბებუთოვი ერმოლოვს და ამასთან ერთად იგი ისეთ წინადადებას აწვდიდა მთავარმართებელს, რომლითაც გურიის სამთავრო უნდა გაუქმდებულიყო და დედოფალ სოფიოს ყოველგვარი მმართველობითი ფუნქციები უნდა ჩამორთმეოდა.

„ჩემის აზრით“, სწერდა ის, „საჭიროა დაარსდეს „დროებითი მმართველობა“ ადგილობრივ წარჩინებულ თავადთაგან“... ე. ი. არც დედოფალი და არც მემკვიდრე დავითი მათ მხედველობაში არ უნდა მიეღოთ და ეს „მმართველობა“ რუსეთის მომხრე თავადთაგან უნდა შეექმნათ. მაგრამ თურქეთთან მოსალოდნელი ომის შიშით ბებუთოვის გეგმა პეტერბურგისაგან მოწონებული არ იქმნა და გურიის სამთავროს დატოვება ჯერ მაინც უცილო გახდა.

იმერეთის მმართველი გენ. ველიამინოვი ბებუთოვს 26 ნოემბერს (1826 წ.) სწერდა, რომ ეთანხმება „დროებითი მმართველობის“ დაარსების საკითხში (მემკვიდრე დავითის მცირეწლოვანებისა გამო), მაგრამ საჭიროა ამ „მმართველობის საბჭოს“ თავჯდომარედ ქვრივი სოფიო დაინიშნოს. ამავე დროს, რაკი საფიქრებელია, რომ სოფიო კავშირებს გააცხოველებს თურქეთში გარდახვეწილ გურულებთან, დავითის და ქიხოსრო გურიელის მეთაურობით, უბრძანებს ბებუთოვს: — ეხლავე შეიყვანოს სამხედრო ძალები ჩოხატაურში და გზები დაიჭიროს.

პოლქ. ბებუთავმა გენ. ველიამინოვის ეს ბრძანება მყისვე შეასრულა და ერთი როტა რუსის ჯარისა, ზარბაზნით, ჩოხატაურში დაბანაკდა.

სოფიო დედოფალს რუსული პოლიტიკის ჭეშმარიტი ზრბაზვანი არ გამოეპარა და მან თვითონვე თავიდანვე ფხიზელი თადარიგი დაიჭირა: დედოფალმა გურიის სამ-

თავროს ერთგული დ. მაჭუტაძის მეთაურობით ხელახლა შემოიკრიბა და მათის დახმარებით ქვეყნის გასამაგრებლად გაბედული ნაბიჯები გადასდგა.

ჯერ კიდევ საყვარელი მეულლე და მთავარი გამოტირებული არ იყო, რომ დედოფალმა მამიას ცხედარის წინაშე გურიის ხალხის წარმომადგენლებს და წარჩინებულთ თავი მოუყარა, მათ მცირეწლოვანი (8 წლისა) დავრთი წარუდგინა და უცელას გურიის სამთავროსადმი ერთგულების ფიცი მიაღებინა.

ეს ისეთი ნაბიჯი იყო, რომელიც თავის დროზე ქართლ - კახეთის მემკვიდრე დავითმა ვერ გაბედა, რის გამო მან ტახტა დაჰკარგა.

სოფიომ ეს კარგად იცოდა და ყოველგვარ დაყოვნებაზე და ლოდინზე უარი სთქვა... იყვნენ აქაც ზოგი წარჩინებულნი, დედოფალს სიტროთხილეს რომ ურჩევდნენ; ისნი ფიქტობდნენ, რომ თანახმად პირობისა, ჯერ ხელმწეფესაგან უნდა მოსულიყო მემკვიდრის დამტკიცების „ლრამოტა“ და ფიცი ხალხს მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეღო.... ამას მოითხოვდნენ, მაგალითად, გურიის ერისთავები ვახტანგის მეთაურობით, რომელიც ბებუთოვ - ერმოლოვისაგან მეტ წყალობას გამოელოდნენ, ვიდრე სოფიოსაგან; მაგრამ არც გურიას აკლდა თავსი ბრძენი კანცლერი; და სახლთ-უხუცესი, დავით მაჭუტაძე სასწრაფო მოქმედებას, ფაქტის შექმნას მოითხოვდა და დედოფალ სოფიოს ერთგულად გვერდით უდგა.

დავით მაჭუტაძეს მიემხრნენ ნაკაშიდები, თავდგირიძები, გუგუნავები და საერთოდ გურულების წარჩინებულთა დიდი უმრავლესობა. ვახტანგი და გიორგი ერისთავი და მათი ამყოლნი ამ ყრილობაზე საჯაროდ განკიცხული და მოღალატედ მონათლული იქმნენ და გურიის სამღვდელოების მეთაურობით, ხალხმა დედოფლისა და მემკვიდრის წინაშე საზეიმო ფიცი დასდო.

გენ. ერმოლოვი სოფიოს ამ ნაბიჯმა მოთმინებიდან გამოიყვანა და დედოფალს გაფრთხილებანი და შენიშვნები ზედო-ზედ მისდიოდა; მაგრამ ეს ეხლა უკვე დაგვიანებული იყო: სოფიომ ხალხი უკვე შემოიმტკიცა და ერთგულებაზე დააფიცა.

„ჩვეული ვიყავი, რომ თქვენს განსვენებულ მეუღლესთან მუდამ გულახდილი კონფილიცავ“ - სწერდა ამის გამო გენ. ერმოლოვი სოფიოს, „და უნდა დაუფარავად მოგახსენოთ, რომ თქვენ საქმაოდ მოუსაზრებლად მოიქეცით, როცა ხალხი თქვენი მეუღლის გარდაცვალების მესამე დღესვე დააფიცეთ. ამით თქვენ თითქოს ცდილობდით საჩქაროდ გამოგემულავნებინათ უნდობლობა რუსეთის მთავრობისადმი, რისთვისაც თქვენთვის არავითარი საბაბი არ მოვიცია. ყველაფერი ეს (დაფიცება) ხომ თავისთავად მოხდებოდა, როცა თქვენი ვაჟი ხელმწიფის ბრძანებით გურიის მთავრად იქმნებოდა დამტკიცებული“ - თ.

სოფიომ ერმოლოვის წარმომადგენელს, პოლკ. ბე-ბუთოვს უპასუხა, რომ ამ დაფიცებით მან მხოლოდ უმაღლესი ნება შეასრულა, რადგან დამტკიცების შემდეგ ეს დაფიცება ხომ მაინც უნდა მომხდარიყო.

პოლკ. ბებუთოვს გული საგულეში აღარ ჰქონდა და ამ დაფიცების შემდეგ იგი სწრაფად ოზურგეთს მიეიდა, რათა დედოფლისაგან ახალი „ფაქტების“ შექმნა მაინც აეცდინა. 16 დეკემბრის პატაკში იგი გენ. ერმოლოვს მოახსენებდა, რომ პირადად მოჰკიდა ხელი „დროებითი საბჭოს“ შექმნას და ეხლა მან დედოფალს მოაწვევინა გურიის წარჩინებულნი და მათის თანადასწრებით მოახსენა ყველას უმაღლესი ნება „საბჭოს“ დაარსებაზე და რომ იგი „წინადადებას იძლევა, რათა დანიშნულ იქმნან „საბჭოში“ მხოლოდ ისეთი წარჩინებულნი, რომლებიც ცნობილი არიან თვისის თავდადებით და ერთგულებით

რუსთანის მთავრობისადმი“-ი. ამას შემდეგ პოლკ. ბებუ-
თოვი სწერს, რომ დედოფალმა დავით მაჭუტაძისა და ნა-
კაშიძეების ზედგავლენით სრულიად უარჲყო ,შეეყვანა
„საბჭოში“ ვახტანგ ერისთავი, რომელიც არის სანდო და
ერთგული რუსებისათვის. ირკვევა, რომ ამ საკითხში დედო-
ფალი არავითარ დათმობაზე არ წასულა და მოლაპარა-
კებას უშედეგოდ ჩაუვლია.

დედოფალ სოფიოს უარუყვია აგრეთვე წინადადება,
რომ თუ საბჭოს რომელიმე წევრი გამოაკლდებოდა, მის
მაგიერ ახალი გენ. ერმოლოვის თანხმობით უნდა დაენიშ-
ნათ.

ეტყობა, დედოფალი და მისი გარემოცვა თავიდანვე
მტკიცედ დაუხედნენ პოლკ. ბებუთოვს, რადგან იცოდნენ,
რომ ეს იყო პრინციპიალური საკითხი, რაიც სწყვეტდა
რუსეთის დამოკიდებულებას გურიისადმი. აյ რუსები სა-
მთავროს ფუნქციებში იჭრებოდნენ და ერთ დათმობას
უდავოდ მაღე მეორეც უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ დე-
დოფალმა გენ. ერმოლოვს, პოლკ. ბებუთოვის ხელით,
გურიის ერთგულთა საკუთარი სია წარუდგინა.

დედოფალი „საბჭოს“ წევრებად ნიშნავდა: სახლთ-
უხუცეს დავით მაჭუტაძეს, სვიმონ გუგუნავას, გიორგი
ნაკაშიძეს, გიორგი თავდეგირიძეს და გიორგი ერისთავს.
პოლკ. ბებუთოვმა კი ამ სიაში თავისი ნებით პირველ ად-
გილზე რუსთა ერთგული ვახტანგ ერისთავის სახელი და
გვარი შეიტანა და ასე გაუგზავნა სია მთავარმართებელს,
გენ. ერმოლოვს, და თან აუწყა მას დედოფლის მტრული
განწყობილება მთავრობისადმი.

გენ. ერმოლოვმა კი 10 იანვარს 1827 წ. საგანგებო
პროკლამაციით აცნობა გურიას, რომ მემკვიდრეს სრულ-
წლოვანობამდე გურიის მართვა-გამგეობა საბჭოს ხელში
გადადოდა, რომელიც არსდებოდა სოფიო გურიელის
თავჯდომარეობით და შესდგებოდა ექვსი წევრისაგან. ამ

სიაში ვახტანგ ერისთავი პირველ ადგილას ჰყავდა მას მოხსენებული.

გურულებს ევალებოდათ განსაზღვრულ საქმეების გამო „საბჭოსთვის“ მიემართათ, ხოლო თუ ვინმე „საბჭოს“ განაჩენით უკმაყოფილო იქნებოდა, მას უფლება ეძლეოდა — საქმე იმერეთის სამართველოში გადაეტანა...

ამ დადგენილებით გენ. ერმოლოვმა თავისებურის ტლანქი „დაკვრით“ გურიის უმაღლესი საბჭო დაუქვემდებარა იმერეთის მმართველობას, რომელიც უკვე ყოველგვარ სახელმწიფო უფრისებს მოკლებული იყო და თვით იმერეთი რუსეთის პროვინტიდ ითვლებოდა. აპელაციისა და უმაღლესი სანქციის უფლებებს ამრიგად რუსეთი თავისთვის იტოვებდა და გურიის თვითმართველობას სავსებით უშინაარსოდ ხდიდა.

ამ მხრივ არავითარ ეჭვს არა სტოვებდა იმავე თარიღით დაწერილი მიმართვა გენ. ერმოლოვისა დედოფალ სოფიოსადმი, რომლითაც გენერალი მოახსენებდა რაქერივს ფარისევლურ სამძიმარს და „დიდ მწუხარებას“ „ერთგულ მეგობარის“, მამიას დაკარგვის გამო, აუწყებდა მას, რომ გურიის მმართველობა ამიერიდან „საბჭოს“ ხელში გადადიოდა და თან აცნობებდა, რომ საბჭომ უნდა იმოქმედოს თანაბმად აქვე დართულ, ათი მუხლისაგან შემდგარ „ინსტრუქციისათვის“ და რომ საბჭო შესდგება ცნობილი ეჭვს წევრისაგან, რომელთა შორის პირველია ვახტანგ ერისთავიო.

დართულ ინსტრუქციების უბრალო ანალიზი ამტკიცებდა, რომ რუსეთს და გენ. ერმოლოვს მიზნად დაესახათ გურიის სამთავრო და მისი ავტონომია მხოლოდ გარეგნულად დაეტოვებინათ, ხალხის თვალის ასახვევად, ხოლო სინამდვილეში კი მისი ყველა უფლება რუსეთის მმართველობისათვის უნდა დაემორჩილებინათ. ამას ვერც ისტორიკოსი პოტტო მაღავს.

ყველაზე საყურადღებო ამ წესდებაში იყო მესამე მუხლი, საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ. აქ ნათქვამია, რომ საბჭოს წევრთა ირჩევენ თავჯდომარე (ე. ი. სოფიო) და იმერეთის მმართველი (ე. ი. ბებუთოვი) ერთადო და ირჩევენ ისეთ თავად - აზნაურთაგან, რომლებიც „ცნობილი არიან სამსახურით და ერთგულებით რუსეთის მთავრობისადმი და რომ ამ არჩეულ პირთ შემდეგ ამტკიცებს ნთავარმართებელი (ერმოლოვი).

აქედან აშკარაა, რომ გურიის დედოფალს აღნიშნული საბჭოს კანდიდატის დასახელებაც კი არ შესძლებია, თუ ბებუთოვის თანხმობა არ ექმნებოდა, ხოლო თუ ესენი როგორმე შეთანხმდებოდნენ, შემდეგ ამ კანდიდატის დამტკიცება მთავარმართებელის ხელთ იყო. ასეთი მდგომარეობა უნდა გაგრძელებულიყო კიდევ ათი წელი (და ეითის სრულწლოვნებამდე), რაიც გურიის საბჭოის რუსეთის ხელში გადასვლას უდრიდა.

ასეთივე პრინციალური მნიშვნელობის იყო სხვა პუნქტებიც, რომლებიც გურიის უფლებებს აქარწყლებდნენ. მაგალითად, მეტუთე მუხლი ამბობს, რომ საბჭოს მართლმსაჯულების უფლება ვრცელდება ფრიად მცირე მნიშვნელობის საქმეებზე (და არა როგორც ეს 19 — 4 — 1810 წ. ტრაქტატის მესამე მუხლით იყო გათვალისწინებული); ამავე დროს — ყველა როული საქმე და სისხლის სამართლის საკითხები აგრეთვე — ყველგვარი პოლიტიკური ხასიათის საქმე, რაიც შეიძლება მიმართულ იყოს სამთავროს, ან განსაკუთრებით რუსეთის საწინააღმდეოდ, უნდა გადეცეს გასარჩევად იმერეთის მმართველ ბებუთოვს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველა დანაშაულისათვის რუსეთს შეეძლო პოლიტიკური ხსიათი მიეცა, აშკარაა, რომ ამ მოხერხებით ყველა საყურადღებო პოლიტიკური კითხვა გურიას ავტომატიურად ეცლებო-

და და რუსეთის ხელთ გადადიოდა. განსაჩივრების უფლებაც ხომ რუსეთის ხელთ იყო, რისთვისაც გურიის საბჭო უმაღლესი რევიზიის მიზნით, მოვალე ხდებოდა ყველა საქმის ოქმები ეწარმოებინა. თუ ამას დავუმატებთ, რომ იმ მცირემნიშვნელობის საქმეებშიაც კი, რის გარჩევის უფლება საბჭოს რჩებოდა, ყველა ქალალდი უნდა წარიედგინათ არა დედოფლის, ან თავჯდომარის, არამედ საბჭოს სახელზე და რეზოლუციაც საბჭოს სახელით უნდა გამოტანილიყო და ხელიც ყველას ერთად მოეწერათ, — აშკარა ხდება, რომ დედოფლის უფლებები აქ საბჭოს უბრალო წევრის უფლებამდეა ჩამოქვეითებული. ამას, რასაკვირველია, ჰქონდა რუსეთის მხრივ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. — ამ წესდებით რუსეთი ფაქტოურად აქარწყლებდა გურიის ავტონომიურ უფლებებს, ხოლო, როგორც ვსთვეით, გარეგნულად მას ხელუხლებელად სტოვებდა. აშკარა იყო, ერმოლოვ - ბებუთოვი სამაგიროს უხდიდნენ დედოფალს თვისი უნდობლობისათვის რუსეთისადმი, რაიც სოფიომ სასწრაფოდ ხალხის დაფიცებით და ციხე - სიმაგრეების განმტკიცებით გამოხატა, და რამაც რუსეთის წარმომადგენელი საგონებელში ჩააგდო.

პოლკოვნიკ ბებუთოვის დამატებითი ცნობით, დედოფალმა, მამიას გარდაცვალებისათანავე, არა მარტო ხალხი დააფიცა, არამედ გურიის ციხეთა გამაგრება - განახლებას შეუდგა: კერძოდ, ასკანაში და ლიხაურში და იქ დაბანაკვებულ მეციხოვნეთა რიცხვი დ. მაჭუტაძის სანდო პირებისაგან განაძლიერა.

აღნიშნული ინსტრუქციების გაცნობით დედოფალი და მისი მრჩეველნი დარწმუნდნენ, რომ ამ წესდების მიღება ნიშნავდა გურიის ყველა იმ უფლებაზე ხელის აღებას, რაიც მამიასთან 19 — 6 — 1810 წ. დადებული ხელწეკრულებით რუსეთმა „სამუდამოდ ხელშეუხებელად“ აღიარა.

დედოფალმა ეს ახალი მდგომარეობა წარჩინებულთ გააცნო და ხიფათზე მიუთითა, მაგრამ ჯერ - ჯერობით რაიმე სახის გამოსვლებსაც მოერიდა და ხელმწიფის მიერ დამტკიცებულ უფლებათა დაცვას ლეგალურის გზებით შეეცადა.

დედოფალმა სოფიომ შესაფერი პასუხი გასცა რუსის მთავრობის წარმომადგენელთ, მათ ტრაქტატი მოაგონა და „საბჭოს“ გაუქმება მოსთხოვა.

ამავე ხასიათის პეტიცია წარუდგენია გურიის წარჩინებულთ რუსეთის მთავრობისადმი.

მაგრამ სანამ ამ საინტერესო დოკუმენტს მოვიტანდეთ, მეტი არ იქმნება აღმნიშნოთ მთავარმართებელის მრმართვა ხელმწიფის შტაბისადმი მცირეშლოვან დავითის ძემკვიდრედ დამტკიცების შესახებ, და ის მიწერ-მოწერა, რაც ამას მოჰყება.

ხელმწიფის მთავარ შტაბის გამგე უდესტურებს რა გენ. ერმოლოვს პატაკის მიღებას, აცნობებს, რომ იმპერატორმა ინება მამიას მემკვიდრის, 8 წლის დავითის გურიის მთავრად დამტკიცება, და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, ხელმწიფებ ამ მცირეშლოვან მთავრისათვის უსაფერი სამხედრო ჩინის ბოძება ინება, რის ცნობაც გენ. ერმოლოვს ევალებოდა; ხოლო მთავრად დამტკიცების ლრამოტის შედგენა ხელმწიფემ საგარეო სამინისტროს მიანდოო.

იმის მაგირ, რომ გენ. ერმოლოვს ხელმწიფის ეს სურვილი მყისვე შეესრულებინა, — მან პეტერბურგს აუწყა (22 — 2 — 1827 წ.), რომ მან „თავი შეიკავა იმისათვის, რომ ახალ მთავრისათვის ეცნობებინა ხელმწიფის ნება სამხედრო ჩინის ბოძებაზე, და ეს იმ მოსაზრებით, რომ თუ შემდეგში დაინახავდა, რომ მისი დედა, სოფიო „შესაფერისად“ წარმართავდა გურიის საქმეებს და შე-

უცდომელად იმოქმედებდა, მაშინ განეცხადებოდა და-
ვითს ამ ჩინის ბოძება, ვითარცა სამაგიერო მადლობისა
და ამსახურებისათვის“—ო. ამდენად გაათამამა გენ. ერმო-
ლოვი სოფიოსადმი შურისძიების გრძნობამ, რომ მან გა-
ბედა და ხელმწიფის ბრძანება გვერდზე გადადო! ამას
შემდეგ იღარ უნდა გავვიკვირდეს, რომ სოფიოს პეტრი-
კი და თხოვნები გენ. ერმოლოვის მიერ ასევე „განზე
რჩებოდა“ და დავიწყებას ეძლეოდა.

**

შევჩერდეთ ეხლა იმ შესანიშნავ დოკუმენტთა აღგო-
ლებზე, რომლებიც გურიის სამთავროს საზოგადოების და
გურიის თავადების სახელით 25 — 2 — 1827 წ. მთავარ-
მართებელ გენ. ერმოლოვს წარეგზავნა.

გურულები სწერდნენ: „ამა წლის 12 თებერვალს
ჩვენმა მმართველმა დედოფალმან მოიწვია სამთავროს
ყველა მცხოვრებთა—დიდთა და მცირეთა—ყრილობა და
მან დედოფალმან, სოფიო გიორგის ასულმან, გამოგვიც-
ხადა თქვენ მიერ წერილობითი დებულება ჩვენი სამთა-
ვრო სახლისადმი, შესახებ იმისა, რომ დაწესებულ იქმნას
„საბჭო“, რომელშიაც უნდა იქმნენ წევრებად: პირველი,
თვით დედოფალი, და შემდეგ ექვთი პირი — თავადნი და
აზნაურნი. ამ „საბჭოს“ წევრთ ექმნებათ ყველაფერში
ერთნაირი უფლებანი, ხოლო თუ მათ შორის რამე უთან-
ხსნება მოხდა, საბჭოს ყოველ წევრს შეუძლია თავისი
აზრი საკუთარის სახელით უმაღლეს დაწესებულებას წა-
რუდგინოს; აგრეთვე გვებრძანა ისიც, რომ საბჭოს ყველა
წევრს ჩვენი საზოგადოება ღირსებით და პატივით უნდა
დაემორჩილოს. თითქოს ობლობაში მყოფი გურია, სწო-
რედ ეხლა მოელოდა თქვენგან მშობლიურ მზრუნველო-
ბას, რომ სახლი ჩვენის მთავრისა არ უნდა შეცვლილიყო,
რათა ჩვენ ძველად არსებულ წესისამებრ შეგვძლებოდა
ცხოვრება, ხელმწიფე იმპერატორისადმი ერთგულის სა-

მსახურით. ეს ოქვენი დადგენილება ჩვენ იმის გამო უფრო
 გვიწუხებს, რომ თუმცა მთავარი დავკარგეთ, მაგრამ ჩვენ
 დაგვრჩია მისგან მემკვიდრე დავითი; ამავე დროს, მემკ-
 ვიდრის სრულწლოვანებამდე ჩვენს მთავრინას ხომ თვი-
 თონ შეუძლია მართოს გურია. ჩვენ ამით კმაყოფილი
 ვართ და შეგვიძლია გულმოდვინეთ იღვასრულოთ ჩვენი
 სამსახური შეძლებისადაგვარად ხელმწიფე იმპერატორი-
 საღმი, და ამავე დროს ვექვემდებაროთ ჩვენს დედოფალს,
 თანახმად არსებულ ადეთებისა; ხოლო საბჭოს დანიშნუ-
 ლი წევრნი საჭიროდ არ მიგვაჩნიან, რომ დარჩენ. ჩვენ
 უკეთ ვაციო ჩვენი ყოფა - ცხოვრება და ამიტომ ჩვენს
 საზოგადოებას არ სურს, რომ აღნიშნული პირები იყვნენ
 წევრნი სამთავროს მმართველობისა, რასაც ახდილად ალ-
 ვიარებთ. მთავრობის მიერ დანიშნულნი საბჭოს წევრნი
 არა თუ სასარგებლო იქმნებიან სამთავრო სახლისა და
 საზოგადოებისათვის, არამედ სწორედ ამის გამო შეიძლე-
 ბა დიდი აღრეულობა მოხდეს. ძველს დროში, როცა ჩვენს
 ქვეყანას ურჯვულო თათრები დევნიდნენ, წესისამებრ გუ-
 რიას მართავდა განსვენებული მთავრინა ჩვენი, მარინე
 წერეთლის ასული (მაშინ ქვრივი) თვით მემკვიდრესთან,
 განსენებულ მამია გურიელთან ერთად. ამ უამად კი გუ-
 რიის დედოფალს, რომელიც თვისი სამთავროით უძლე-
 ველ ხელმწიფე იმპერატორის მფარველობის ქვეშ იმყო-
 ფება, ხომ უფრო ადვილად ძალუს ქვეყნის მართვა - გამ-
 გობა. ამის გამო, და რა კი საბჭოს წევრთა მონაწილეობა
 გამგებლობაში შეუძლებლად მიგვაჩნიან, და რადგან არ
 ძალგვიძს მოვეპყრით მათ იმავ პატივით, როგორც ჩვენს
 დედოფალს ეკადრება, უმდაბლესად ვითხოვთ, რათა ეს
 წევრნი გაწვეულ იქმნან საბჭოდან და თავის ძველ მდვრ-
 გარეობას დაუბრუნონ. მთელი ჩვენი საზოგადოება ერთ-
 ხეილ ითხოვს, რათა დატოვებულ იქმნას ყველაფერი იმ
 წესზე, როგორც ეს იყო ჩვენი აშ განსვენებულის მთავ-

რის მამიას დროს“—ო. ხელს აწერინ: სრულიად გურიის სამთავროს მიტრპოლიტი ნიკოლოზ ჯუმათელი; თავადნი: დავით და ვახტანგ გურიელი, გიორგი ლევანის ძე გურიელი, სვიმონ ერისთავი, მდივანბეგი გოგი ერისთავი, ალექსანდრე თავდგირიძე, მეღვინეთ უხუცესი ივანე ნაკაშიძე, მამუკა გუგუნავა, მოურავი ლაზარე ნაკაშიძე, ჩითან გუგუნავა, ნარიმან მაჭუტიძე, ბიჭია შალიკაშვილი, დავით მაქსიმეიშვილი, მოურავნი გ. და ქ. თაყაიშვილი, ბეჭან თავართქილაძე და ტიხონ ჯაყელი.

უნდა მოვიტანოთ მეორე დოკუმენტიც, რომლითაც გურიის თავადნი მიმართავენ მთავარმართებელ გენერალ ერმოლოვს იმავე 25 — 2 — 1827 წ. თარიღით: —

„თქვენი აღმატებულების ახალი „წესდება“, გურიის სამთავრო სახლის შესახებ, მიმართული „საბჭოსადმი“, გამოვეცხადა ჩვენ ჩვენს მთავრინასაგან, რის გამო უქვეშევრდომილესად შემდეგს მოგახსენებთ:

„მოელი გურიის მცხოვრებნი, ისე როგორც ჩვენ, ამ ახალ დაწესებაში ხედავენ ჩვენი დედოფლის დამცირებას, წინააღმდეგ მისი ღირსებისა. იმ უბედურების შემდეგ, რაიც შეგვემთხვა, ჩვენ მას ვუწოდებთ ჩვენს მფლობელს და ბატონს, ნაცვლად განსცენებულ მთავრის მამია გურიელისა, ვიდრე მემკვიდრე დავითის სრულწლოვანებამდე..“

„ამის გამო გთხოვთ გადასცეთ საკუთრივ ჩვენს მთავრინას კველა ის საქმეები, რომელიც გურიის სამთავროს წევება ისე, როგორც ესენი წინად განსცენებულ მაიას ხელში ყოფილა; რომ დედოფალს შეეძლოს მართოს და განაგოს ჩვენი ქვეყნის საქმენი. ჩვენც, ჩვენის მხრივ, მზად ვართ ერთგულად ვემსახუროთ, როგორც მთავრინას, ისე ჩვენს სამთავრო სახლს ჩვენი აღათებისამებრ“—ო. ხელს აწერენ თავადნი: მაიორი სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე, სარდალი და ბოჭაულთუხუცესი გიორგი თავდ-

გირიძე, მდივანბეგი გურიისა გიორგი ერისთავი, მდივანბეგი სვიმონ გუგუნავა, მდივანბეგი გიორგი ნაკაშიძე.

იმავე რიცხვით თვითონ დედოფალი სოფიოც მიმართავდა გენ. ერმოლოვს საგანგებო წერილით, რომლითაც არჩევდა ცნობილ „ინსტრუქციას“ საბჭოისას და აუწყებდა, რომ „დაწესება ამ გვარ საბჭოის ჩვენ მიგვაჩინია დამამკირებელად გურიის სამთავროისა, რადგან ჩემის ძის სრულ წლოვანებამდე მე შემიძლიან ვმართო ეს ქვეყანა, და მაქვს ამის უფლება, თანახმად ხელმწიფის მიერ დამტკიცებულ ტრაქტატისა 8 — 4 — 1811 წელსა-ო. გარეშე ყოველგვარ საბჭოისა ... მე ფრიად კარგად ვხედავ, რომ „წესდებით“ ამ წევრთა თანხმობის გარეშე მე ვერას მოვიმოქმედებ“-ო. დედოფალი აქ გარკვეულად გამოსთვამს თვის აღშფოთებას იმის გამო, რომ ამ დადგენილებით ის უფლებრივად გათანასწორებულია საბჭოს თვითებულ წევრთან. შემდეგ ის აღნიშნავს გურიაში აქამდე არსებულ ადათებს, როგორც სამართლიანს და ამბობს, რომ დღემდე დატოვებულია წესები, შემოლებული სამთავრო სახლის მიერ, რაიც შეეფერება აქაურ ხალხს. ჩვენ მოგვეპოვება მოსამართლენი — მდივანბეგები, რომლებიც არჩევენ, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეებს, თანახმად ჩვენი კანონისა. ხოლო თუ რომელიმე მხარე განაჩენით უკმაყოფილოა, მაშინ საქმე ჩენთან გადმოაქვთ ხელახლა გარჩევის მიზნით, რის შემდეგ მომჩივანი დაკმაყოფილებული იქმნებაო. ასევეა სახლთუხუცესის უფლებანი, რომელიც სამთავრო სახლს განაგებს, და ბოქაულთუხუცესისაც, რომელსაც განაჩენი სისრულეში მოჰყავს, და ნიშნავს და გზავნის აღვილობრივ მოხელეებსო. თუ მთავრობა საგანგებო რასმეს მოწერება, ამას თვითონ მე ავასრულებო. „როცა ბებუთოვნია საბჭოს ხუთ წევრთა დასახელება მთხოვა, მე თანამდებობის ის პირები დავასახელე, რომლებიც ჩვენთან მუ-

ზაობდნენ, მაგრამ ამით მე ისინი დედოფლის უფლებებთან არ გამიტოლებია. ამასთან ერთად ვგზავნი ჩემს რწმუნებულთ, დავით მაჭუტაძეს და იოსებ ნაკაშიძეს, რომელნიც ყოველივე დანარჩენს სიტყვიერად მოგახსენებენ“—ო.

ეს დეპუტაცია სოფიო დედოფლისა პოლკ. ბებუთოვმა ვზაში შეაჩერა და აიძულა უკან გაბრუნებულიყო, ხოლო ვენ. ერმოლოვს აცნობა, რომ დედოფალი მთავარმართებელის ინსტრუქციებს სრულიად უყურუდლებოდ სტროვებს და განკარგულება „საბჭოს“ დაარსებაზე, მიუხედავად ბრძანებისა, დღემდე არ გამოუცხადებია და არც არავინ აპირებს ამცნოს ის ხალხსო. კიდევ მეტი: დედოფალი მთავრობისაგან „საბჭოს“ სახელზე წარგზავნილ ქაღალდებს მხედველობაში არ იღებს; საბჭო კი ამ საქმეებს შეგნებულად არ არჩევს, რადგან ამბობს, რომ ეს საქმეები მხოლოდ დედოფლის უფლებაში შედიან და ვიდრე მისი ნება არ იქნება, ჩვენ არაფერს ხელს არ ვახლებოთ; ამის გამო, საქმეები მართველობისა სრულიად უძრავად არიან და ყოველივე მოკვდაო. მეც შესახებ გურიის საქმეთა ვერას ვაკეთებ და გთხოვთ ეხლავ რაიმე ზომები მიიღოთ და შთაავონთ დედოფალს, თუ როგორ უნდა მოიქცესო. მისი დელეგატები კი, რომლებიც საბჭოს გაუქმებას ითხოვენ, აღარ გამოვუშვი, რათა ტყუილად არ შეგაწუხონო....

ამას შემდეგ, დაინახა რა ვენ. ერმოლოვმა, რომ დედოფლის ავტორიტეტი იმდენად ძლიერია, რომ მთელი გურია მის უკან სდგას და არავინ ფიქრობს მთავარმართებელის ბრძანების შესრულებას, რომ სამი თვის განმავლობაში ყველა საქმე გაჩერდა, და გურიას ძველ წესისამებრ დედოფალი და მისი მრჩეველნი განაგებენ, ვენ. ერმოლოვმა კვლავ სასტიკი გაფრთხილებით მიმართა სოფიოს (19 — 3 — 1827 წ.). ვენ. ერმოლოვი მთავრინას

სწერდა, რომ იგი დიდად გაოცებულია სოფიოს უცნაური საქციელით, გაუგებარის პეტიციებით გურიის ხალხისა- გან და თვით დედოფლის წერილით, რომლითაც ესენი „საბჭოს“ გაუქმებას მოითხოვენ. ერმოლოვი არწმუნებს მას, რომ საბჭოს ასეთი წესდება მოწონებული იქმნა ხელ- მწიფის მიერ და რომ აწი ვერავითარი ძალა და განდომა ამას ველარ შესცვლისო. ამავე დროს მას უკიირს, თუ რად თაკილობს სოფიო საბჭოში თავჯდომარეობას და რად მიაჩნია ეს დამამცირებელად, მაშინ როდესაც რუსეთის უდიდესი თვითმცყრობელი არ სთვლიდნენ დამამცირე- ბელად სახელმწიფო საბჭოში თვის ქვეშევრდომებთან ერთად მსხდარიყვენო; ისე, როგორც თავმჯდომარეობას კადრულობდა ხელმწიფა ეკატერინე მეორე, შემკული უდიდესის სახელითა. „თქვენი ასეთი საქციელი რომ ხელ- მწიფემ შეიტყოს, მას არ გამოეპარება, რომ თქვენ და თქვენს მრჩეველთ, საბჭოს რომ უარჲყოფთ, გურიისა და საქმის ინტერესი კი არ გალაპარავებთ, არამედ თქვენი პირადი წადილი, რომ როგორმე მიითვისოთ საკუთრივ თქვენთვის ძალაუფლებაო. გთხოვთ ეხლა მაინც შეუდ- გეთ საბჭოს მოქმედებას, და ნუ მაიძულებთ ეს თხოვნა ძლიერი მოთხოვნით შევსცვალო-ო.

მაგრამ ამ მუქარამ ვერ გასტრა და დედოფალსა და მაჟუტაძეს თავისი წინააღმდეგობა არ შეუნელებიათ; და გენ. ერმოლოვი, ეს მრისხანე კაცი, რომელმაც გაუგონარი ვერაგობით ჩრდილო კავკასიის ხალხთა თავდადებული ბრძოლები სისხლში ჩაახრჩო, ყაბარდოელების საკუთრე- სო აულები ნაცარტუტად აქცია, — რომლის ველურმა მოპყრობამ თვით რუსის იმპერატორიც კი აღაშფოთა და სამსახურიდან გადააყენებინა, ეს სასტიკი ერმოლოვი ისე მოსცილდა კავკასიის მართველობას, რომ პატარა გურიის „ურჩობა“ და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წადი- ლი ვერ მოსტეხა. არც ქრთამები, არც რუსული ხიშტები,

რამაც სხვაგან იმპერიას გზა გაუკაფა, ამ „წყეულ გურულებზე“ გავლენას არ ახდენდა...

მრისხანე გენერალი ერმოლოვი ეხლა გაიძერა და ცბიერმა გენერალმა პასკევიჩმა შესცვალა და გურიისა და სოფიოს წინააღმდეგ იერიშები კვლავ დაიწყო.... მაგრამ ჯერჯერობით ვერც ეს „ახალი ცოცხი ჰვიტა“ წარჩინებით და ყველაფერი ძველებურად რჩებოდა.

რუსეთის მთავრობის წამომადგენელი, იმერეთის მართველი, პოლკოვნიკი ბებუთოვი განკარგულებებსა და სასწრაფო შეკითხვებს უგზავნიდა გურიის „საბჭოს“, ხოლო მაჟუტაძე ამ ქალალდებს ჩალათაში აგროვებდა და მათი გარჩევით დედოფალს არ აწუხებდა.

ამნაირად იმერეთის და ვითომ გურიის მმართველი, გენერალი ბებუთოვი დედოფალმა გაუტეხელის დუმილით „საქმის გარეშე“ დასტოვა; ამით კი იმპერიის პრესტიუ ილახებოდა და ბებუთოვი ბოლოს გატყდა.... მან დაინახა, რომ იგი სასაცილო მდგომარეობიდან ვეღარ გამოვიდოდა, არჩია უკან დახევა და 21 — 6 — 1827 წ. ახალმთავარმართებელს ნებახოვა გამოსთხოვა, რათა მომავალში მიწერმოწერა საბჭოსთან კი არ იქონიოს, არამედ პირდაპირ დედოფალ ხოფიოსთან, რადგან საბჭო მის მიმართვებს ამ რვა თვის განმავლობაში ყოველგვარ უზრადლების გარეშე სტოვებს, რის გამო სამსახურის ასრულების საშუალება წამერთვაო. მაგრამ რუსეთის მიერ მთავრინასთან ამ პრინციპიალურ საკითხში დათმობა, და ისიც რვა თვის შემდეგ, შეუძლებელი შეიქმნა. ბებუთოვის წინადადება სხვანაირად საბჭოს გაუქმებას და ძველი მდგომარეობის აღდგენას უდრიდა და ეს მას შემდეგ, რაც ხელმწიფემ „საბჭოს“ დაარსება უმაღლესად დაადასტურა.

ბოლოს, დიდი თაბიირების შემდეგ, რუსეთი ისევ ქართველების დახმარებით შეეცადა დედოფალზე გავლენა მოეხდინა და იმერეთიდან შუაყაცებად დედოფლის ახლო

ნათესავები გაიგზავნენ: ქაიხოსრო წერეთელი ა სეხნია წულუკიძე. მაგრამ არც ამან იმოქმედა სოფიოზე. კანც-ლერი დ. მაჭუტაძე დედოფალს ძველებურად სიმტკიცეს და გურიის ციხეების გამაგრებას ურჩევდა. უკანასკნელად, როცა ბებუთოვი დედოფალს შერიცების მიზნით ეახლა და ქაიხოსრო წერეთლის დახმარებით მოლაპარაკება გა-მართა, საქმე გამშვევდა. ბებუთოვის თხოვნა, რომ მას მე-მკვიდრე პირადად ენახა, უკუგდებულ იქმნა. დედოფალ-მა საჭიროდ დარჩახა მემკვიდრე იმ ღამითვე მალულად სასახლიდან გაეყვანა და ოვითონაც გადაიხიზნა. „სწორედ იმ ღამით“, ამბობს ბებუთოვი, „ჩემი და ქაიხოსრო წერე-თელის სიცოცხლის საკითხი ძაფზე უკიდა“—ო, და შეში-ნებული ბებუთოვი ჩქარა უკან, ქუთაისს გაბრუნდა.

ამას შემდეგ გენ. პატკევიჩმა, გენ. სიპიაგინმა და და-ნარჩენებმა საჭიროდ დაინახეს დედოფალთან ასე თუ ისე მოსარიგებლად, ეხლა გამოცდილი და ჯერ კიდევ გენ. პ. ციციანოვის ხელქვეით ნამსახური ფალავანდიშვილი მი-ეგზავნათ. ეს მოხელე, რომელმაც შემდეგში თბილისის ვიცეგუბერნატორობაც მიიღო, დიდად მოქნილ და მო-ნერჩებულ კაცად ითვლებოდა, რომელსაც ყოველ წრეში ეხერხებოდა ერთვეარი ნდობის მოპოვება. ფალავანდი-შვილმა ჯერ ბებუთოვთან გამართა მოლაპარაკება და მის მეთოდებს კარგად გაეცნო. ის მიხვდა, რომ ამ წესითა და გზით დედოფალთან ვერას გახდებოდა, რომ საჭირო იყო დაკარგული ნდობის რაიმენაირად აღდგენა და დედოფ-ლისა და მაჭუტაძის დარწმუნება, რომ სამთავროს და მე-მკვიდრის უფლებებს არავითარ ხიფათი „საბჭოს“ დაარ-სებით არ მოელოდა. სრული უაზრობა იყო საბჭოსთან ბრძოლა, რადგან ის ხელმწიფის მიერ უკვე დამტკიცებუ-ლი იყო და რომ აწი მისი უარპყოფა არავითარ ძალას აღარ შეეძლო.

ფალავანდიშვილმა დიდის სიფრთხილით და შეპარ-

ვით დაწყეო საქმე და შეეცადა უპირველესად დ. მაკუ-
ტაძის, გომრგი ნაკაშიძის და სხვათა მოლბობას. მას კარ-
გად ახსოვდა ბებუთოვის ნათქვამი, რომ დედოფლის ა-
ლო მდგომ ჯგუფს ჰქონდა დიდი სიძულვილი რუსეთის
და რომ სწორედ ამ ჯგუფს ბოლო ხანგბში დიდი გავლენა
ჰქონდა მთავარ მამიაზე, რის გამო მოხდა მისი განდგომა
და რუსეთმა ის მაშინ სამართლიანად იჭვის ქვეშ დაა-
ყენაო.

აი, ამათი გაღმობირება იყო საჭირო, ვიდრე ფალა-
ვანდიშვილი დედოფალს დაიყოლებდა.

ამ ხერხმა რამოდენიმედ მაინც გასჭრა და ქართველი კაცის „დიდ გამოცდილებას“ და ფიცს გურიის თავიდნი უურადღებით შეხვდნენ. „მე ნელ-ნელა დავაჯერე ისინი“, მოასხენებს ფალავანდიშვილი გენერალ პასკევიჩს, „თითქოს ჩასული ვიყავ მათდა დასახმარებლად და ამ მდგომარეობიდან უმტკიიღეულოდ გამოსაყვანად, და არა დეფლის, ან მემკვიდრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ან მათდა დასაპატიმრებლად, როგორც მიგზავნილი იყო მაგალითად ბებუთოვი“—ო. როცა ფალავანდიშვილმა ბაასი „საბჭოზე“ ჩამოაგდო, გურიის წარჩინებულნი გამოიუტყდნენ, რომ ამგვარი რამ დედოფალს დღემდე არც კი შეუქმნია, რომ ყოველგვარ საქმეს თვით სოფიო არჩევს და მას ეხმარებიან ერთგულნი სამთავროისა: დ. მაჭუტაძე, ნაკაშიძე, გოგი ერისთავი და თავდგირიძეო.

ფალავანდიშვილი კარგად მიხედა, რომ დედოფალი
და მისი ახლო გარემოცვა დაკავშირებული იყვნენ ქობუ-
ლეთში გაიზინულ ქაიხოსრო და დავით გურიელთან და
ამნაირად ოსმალეთის წრეებთან. აი, ამ გზით მოდიოდა
გათ გაფრთხილება, რომ რუსები დედოფალს და მემკვი-
დრეს დაპატიმრებას და რუსეთს გაგზავნას უპირებენო. შოველივე ეს გაანდვეს ფალავანდიშვილს, როგორც კეშ-
მარიტ ქართველ კაცს.

ფალავანდიშვილმაც ეს ნდობა მეტის მოხერხებით გამოიყენა და ისევ საბჭოს შექმნაზე და რუსეთთან მორიგებაზე „გულწრფელი“ რჩევა მისცა მათ. მან მოუყვანა მაგალითი სამეგრელოში დედოფალ ნინოსთან „საბჭოს“ დაარსებისა გენ. ცირიანვის დროს, — მაშინ საბჭოში შედიოდნენ: ჰყონდიდელი, ნიკო დადიანი და სხვანი, მაგრამ მას დაავიწყდა, რომ მაჭუტაძეზე ასეთი ხერხი ვერ სჭრიდა; ამან დედოფალს ხომ თვითონ გამოუჩია კრებული გურიის ერთგულთა და მხნედ გვერდით ამოუდგა. ეს ჭყვიანი მრჩეველი იყო ნამდვილი მოადგილე დედოფლისა და სიგელებზეც ხელს აწერდა დედოფლის შემდეგ, ვით მისი მოადგილე: „ბატონის მაგიერი, სახლთ უხუცესი გურიისა დ. მაჭუტაძე“. (იხ. დ. ბაქრაძე).

ამასთან ერთად ფალავანდიშვილი სამთავროს ყოველგვარ დახმარებას ჰპირდებოდა მომავლისათვის, თუ „საბჭო“ როგორმე, დედოფლის თავჯდომარეობით, მოქმედებას დაიწყებდა.

ყველაფერმა ამან გურულთა წარჩინებულნი მოალბოდა გულგამხნევებულმა დედოფალმა ეხლა კი მემკვიდრეც აქვენა ფალავანდიშვილს. მას მიუტანეს აგრეთვე ძველი „მოწერილობანი“ გენ. ერმოლოვისა და საბჭოს ინსტრუქტორები; მათ გააცვნეს თვისი მოსაზრებანი ამის შესახებ, და გამოუტყდნენ, რომ ამ განკარგუშლებებს არ დაემორჩილებიან, რადგან ამგვარი წესები არაფრით არ შეეფეობიან სამთავროს უფლებებს და ღირსებასო; თან განუცხადეს, რომ სამეგრელოს დედოფალს, ნინოს თავის დროზე ამგვარი შემკვეცავი მოწერილობანი არავისგან მისვლიაო. ფალავანდიშვილი შეეცადა ისინი თვის „კეთილგანზრახვებში“ დაქრწმუნებინა.... (ამ ფალავანდიშვილმა რუსეთისადმი ერთგულებით შემდეგში უფრო ისახელა თავი, როცა მისი რჩევით, საკუთარ ძმას, იესეს 1832 წლის დიდი შეთქმულება გააცემინა).

აშკარაა, ეს ფალავანდიშვილი სხვა სახის „დაპირებებსაც“ მისცემდა დედოფლს, რაზედაც მოხსენებაში ის არ ლაპარაკობს.

ბოლოს, 25 აგვისტოს დედოფალმა დესპანი ფალავანდიშვილი საგანგებო აუდიენციაზე მიიწვია და წარჩინებულთა თანადასწრებით განუცხადა მას, რომ იგი იძულებული ხდება წავიდეს დაომობაზე და გახსნას „საბჭო“, იმაზედაც თანახმაა, რომ ვახტანგ ერისთავი იყოს წევრი ამ საბჭოისა, მაგრამ, სამაგიეროდ, მოითხოვა ზოგ უფლებების განსაკუთრებით აღიარება: 1) რათა ხალხში მისი ღირსება დაცულ იყოს, მას უნდა ეწოდოს არა „საბჭოს თავჯდომარე“, არამედ დედოფალი ან ბთავრინა, ვით სამეცნიეროს დედოფალს, 2) რათა დედოფალი განირჩეოდეს საბჭოს ყველა წევრთაგან, საჭიროა მთავრობის ქალღები მიმართულ იქმნან მხოლოდ დედოფლის სახელზე, 3) დედოფალი თანახმაა საბჭოს წევრად მიიღოს ვახტანგ ერისთავიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა გიორგი ერისთავი, რომელც მთავრის ოჯახის დიდი მტერია, 4) თუ მთავრინამ და საბჭომ შეამჩნიეს რომელიმე წევრს შეუსაბამო საქციელი, უფლება უნდა ექმნეთ მისი საბჭოდან გარიცხვია, 5) საბჭოს განაჩენით უქმაყოფილოს არ უნდა ჰქონდეს უფლება საქმის გადატანისა „იმერეთის დროებით მმართველობაში“, რადგან ეს ეწინააღმდეგება უმაღლესად ბოძებულ ტრაქტატს.

ჩვენთვის ამ არა მიუღებელ „განცხადებათა შემდეგ მე დავაბირე წამოსცვლაო“, სწორს ფალავანდიშვილი გენ. ბასკევიჩს, „მაგრამ მინდოდა როგორმე კიდევ შემეტყო, თუ რა ციხეებს და რა მაზნით ამაგრებდნენ გურულებიონ“. ფალავანდიშვილმა აქაც მლიქვნელობა და გაიძვერობა გამოიჩინა და თითქმის მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ არა დროს თვალით არ ენახა ის ადგილები, სადაც გურიის მთავარი და ხალხი თურქებს და სხვა მტრებს

ემალებოდნენ და თავა აფარებდნენო. დავით მაჭუტაძემ
 მას აუწყა, რომ ერთი ასეთი ციხეთაგანი არის ასეთათ. მაშინ
 ფალავანდიშვილმა, თითქოს ცნობისმოყვარეობის
 დასაქმაყოფილებლად სოხოეა, ეს ციხე მისთვის ეჩვენე-
 ბინათ. მას, როგორც სანდო კაცს, ხათრი აღარ გაუტეხეს
 და ასკანის ციხე მართლაც ანახვეს: „ეს ციხე სწორედ მი-
 უვალია და გამაგრებულია“—ო, სწერს ფალავანდიშვილი
 გენერალ პასკევიჩს, „და იქ მაჭუტაძის კაცები გაცხარე-
 ბით მუშაობენ სიმაგრის წესრიგში მოსაყვანად“—ო (იხი-
 ლეთ ფალავანდიშვილის მოხსენება, ნომ. 346, აქტ. 7).

* * *

მიუხედავად ფალავანდიშვილის მიღწევისა, გურიის
 დამშვიდების და „საბჭოს“ დაარსების საქმე წარმატებით
 მაინც ვერ წავიდა. რუსის მთავრობა მიხვდა, რომ დედო-
 ფლის „დათმობანი“ არსებითად მის ძალა-უფლებას არ
 ამდაბლებენ და ამით მიზანს ვერ აღწევდნენ. გენერალი
 პასკევიჩის პასუხში ეს აშკარად გამოსჭვიოს. ის სწერს,
 რომ „სოფიოს დედოფლად მოხსენება ოფიციალურ მიმა-
 რთვაში, რასაკირველია, უბრალო ფორმალიზმი არაა და
 რომ ამას ავტომატიურად თან ახლავენ ამ მცნების შინა-
 არსი და უფლება, ხოლო ეს კი შეუძლებელია, რომ კვლავ
 შას მიგაკუთხნოთ იმის შემდეგ, რაც ხელმწიფებ მას მხო-
 ლოდ „საბჭოს თავჯდომარე“ უწოდა—ო. ამას გარდა, თუ
 ყველა ქალაქი პირადად მის სახელზე ვაგზავნეთ, ამით
 მას ნებას ვაძლევთ, — თუ მო-სურვებს და როცა ინებებს
 — საბჭოს გოახსენოს, თუ არა, და საქმე გააჩეროს, ე. ი.
 საბჭოს უფლება ამით ილუზორული ხდება — და ჩემი
 მხოლოდ სოფიოს ნებაო. განსაჩივრების უფლების იმე-
 რეთის მთავრობასთან გადატანის უარყოფაც ხომ აშკა-
 რად ადასტურებს, რომ ეს ქალი ყველა ამ კითხებს უმალ-
 ესად და საბოლოოდ სწყვეტსო. მაგრამ სოფიოს წადი-
 ლი უფლების განმტკიცებისა ყველაზე აშკარად იმ მუხ-

ლიდან მოსჩანს, რომლითაც ის სწყვეტს ამა თუ იმ არა -
სასურველ წევრის საბჭოდან გამორიცხვის კითხვას“ - თ.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, გენერალი პასკევიჩი
უარპყოფს დედოფლის შეთანხმებას ფალავანდიშვილთან
და მოითხოვს ძველის ინსტრუქციით საბჭოს მუშაო-
ბას, თუ დედოფალს არ სურს, რომ უკიდურეს ზომებს
მიემართოთ.

ეს იყო ყველა იმ დამუქრებათა განმეორება, რაიც
დედოფალს მრავალჯერ სმენოდა გენერალ ერმოლოვი-
საგანაც. რასკვირველია, ის ამითაც ვერ შეაშინეს და
„საბჭო“ აქამდე მხოლოდ პასკევიჩ - ბებუთოვის ქალა-
დზე რჩებოდა.

ჩვენ განვეძებ შევჩერდით ასე დაწვრილებით ამ ამბებ-
ზე და ბრძოლებზე, რაიც რუსეთის და დედოფლის შუა
„საბჭოს“ ირგვლივ სწარმოებდა; აქედან ჩვენ დავინახეთ,
რომ გურიის დედოფლის ბრძოლა სწარმოებდა სახელ-
მწიფოებრივ და უფლებრივ სფეროში და ამას ჰქონდა
იურიდიული და საერთაშორისო სამართალის ძალა.

მაგრამ მეორე ძალა, ძალა იარაღისა და რეალურ შე-
საძლებლობათა, რასაკვირველია, რუსეთს ბევრად მეტი
გააჩნდა; ამრი იმპერიამ პატარა გურია გასტეხა, მაგრამ
მისი სიმართლე, ალალი საქმე დღემდე ვერ დამარხა...

* *

გურიის „საბჭოს“ ირგვლივ ატენილი დავა, ვიმეო-
რებთ, დიდი პრინციპიალურ მნიშვნელობისა იყო. ხანგრ-
ძლივ ბრძოლათა მანძილზე იგი მაინც ვერ გადაწყდა და
ბოლოს თავისთავად დაიმარხა იმ დიდ ამბავთა მსვლელო-
ბაში, რაიც 1828 წელს კავკასიაში და კერძოდ რუსეთ -
სამალეთის საზღვრებთან გაიშალა.

ამ ამბებში ერთგვარ როლს გურიაც თამაშობდა და
ბოლოს მაინც ამათ მოლოდინში აქიანურებდა სოფიო
რუსეთთან „საბჭოს“ შესახებ მოლაპარაკებას. მოსალოდ-

ნელი ომისათვის დედოფალს სწადდა თვითონ და მისი ერთგულნი ყოფილიყვნენ გურიის სამთავროს საბჭოსთან და არა რუსეთის ერთგული ერისთავები...

მთავარმართებელი გენერალი პასკევიჩი ამ ხიტათის მოახლოებას ჯერ კიდევ მაისის დამლევს 1828 წლისა გრძნობდა; გენერალ დიბიჩის ის აცნობებდა, რომ იმერეთის ახალმა მმართველმა გექსემ მას აუწყა, რომ დედოფალი სოფიო შემჩნეულია რუსეთისადმი აშკარა მტრულ განწყობილებაშიო... ამის შემდეგ გენერალ სიპიაგინს გენ. პასკევიჩისათვის მიუწერია, რომ დედოფალი სოფიო თვის სასახლეში იღებს თურქთა ბეგებს და მათთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს.

იმ დაძაბულ დროში, როცა თურქეთთან ომი ყოველ დღე მოსალოდნელი იყო, რასაკვირველია, ამ კავშირებმა რუსის მხედრობა დიდად შეაშინა. ამის გამო მათ გაგზავნეს სოფიოსთან მისი ნათესავი ქაიხოსრო წერეთელი, რათა მას შესაფერი გავლენა მოეხდინა სამთავროს ოჯახზე და შთაევონებინა: ეხლავ ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა თურქეთის აგენტებთან; წინააღმდეგ შემთხვევაში გურიის და მის მმართველთ დიდი უბედურება დაატყდებაო...

რამოდენიმე დღის შემდეგ ეს გაფრთხილება თვითონ გენ. პასკევიჩმაც განუმეორა სოფიოს თურქეთ - რუსეთის ომის დაწყების გამო.

მთავარმართებელმა გენ. პასკევიჩმა სოფიოს აცნობა, რომ რუსის აუარებელი ქვეითი ჯარი და კავალერია და ათასი ზარბაზანი დაიძრნენ უკვე დუნაის ნაპირიდან და ემუქრებიან სტამბოლს, და რომ თურქების ფლოტი არის მთლიანად განადგურებული და სხვა. „ყველა ამას შეძლებ“, სწერდა ის, „დედოფალს თვითონ შეუძლია და-ასკვნას — თუ რა დღე მოელის თხმალეთს და ყველას, ვინც მას მიენდობა... ვერ დაემალავთ — მოგახსნოთ“, აუწყებდა გენ. პასკევიჩი დედოფალს, „რომ სპარსეთი-

დან დაბრუნებისას, დამახვედრეს ცნობები არა მარტო თქვენი გარემოცვის, არამედ თვით თქვენი საეჭვო მოქმედებათა შესახებ; მაგრამ ამას ჯერ კიდევ ჩემი თქვენდამი ნდობა არ შეურყევია და სწორედ ეხლა, ამ ომის დროს, გეძლევათ შემთხვევა — სავსებით გაიმართლოთ თავი ყოველგვარ იქვებისაგან... თქვენი მოქმედება ამ ომში ყველაფერს გადასწყვეტს... ეხლავ აუკრძალეთ ყველა თქვენს ქვეშევრდომთ თურქებთან რაიმე სახის კავშირი და თუ გურიის ძალების მოხმარება საჭირო გახდება, მოვალე ხართ თქვენ დაემორჩილოთ ამ საქმეში გენერალ გე'სებს თვითეულ განკარგულებას-ო... ხოლო თუ თქვენ ყველა ეს არ შეასრულეთ და ამ ხანებში თქვენი ერთგულება რუსეთისადმი არ დაამტკიცეთ, მაშინ იქმნებით თვითონ პასუხის მგებელი იმ შედეგებისათვის, რაც ამას მიჰყება თქვენთვის და თქვენი გარემოცვისათვის-ო...

ვითომ ამ ომის განვითარებას უნდა ჩაეფიქრებინა დედოფალი; მაგრამ მისა ფიქრები ეხლა სხვა მიმართულებით მიჰყებოდნენ და გენ. პასკევიჩის ჯარების ლიხის მთის იქეთ გაძევებას ელოლიავებოდნენ.

გურიის დედოფალთან, მის მოწინავე წრეებთან ეხლა არა მარტო იმერეთის ანბოხებათა მეთაურები იდგნენ, არამედ ქართლ-კახეთიც ლელვას იწყებდა.

მართალია, ერთი წლის წინად სამარსეთმა რუსეთთან ომი წააგო და 1827 წ. იძულებული გახდა თურქმენების ზავით შეპკვროდა მას, მაგრამ ოსმალეთთან ხომ ახალი ომი გაჩაღდა და ინგლისი კვლავ შეეცადა — დამარცხებული სპარსეთი პორტუსთან შეეკავშირებინა და რუსეთის ახალი ექსპანსიის გზები აღმოსავლეთისაკენ მოეჭრა...

კავკასიისაკენ ახალ, საჭირო ჯარების გადაყვანა ვენ. პასკევიჩისთვის იმ ხანად მაინც შეუძლებელი გახდა, რადგან ხმელეთის გზები სახ-ფათო შეიქმნა; ფლოტი ხომ

ოსმალეთთან ოში იყო ჩაბმული და შავი ზღვის სანა-
პიროებსაც გამაგრება სჭირდებოდა.

სწორედ ამ დღომარეობამ აიძულა რუსეთი ქართვე-
ლებისათვის მრავალი დაპირება მიეცა და ოში დახმარე-
ბა ეთხოვნა.

1829 წელს მთავარმართებელმა გენ. პასკევიჩმა ამ
მიზნით პროკლამაციები გამოსცა, და ქართველებს მილი-
ციების შედგენა სთხოვა.

და აი, აქ ოსმალეთთან გაცხოველებული ომის დროს
ქართველებმა რუსეთს დახმარებაზე უარი მოახსენეს...

ქართველი ხალხი განდგა და რუსეთის საწინააღმდე-
გოდ დაირაზმა...

ეხლა გურიის იმედები ქართლ-კახეთსაც მოედო: თე-
ლავის მხარე ფეხზე დადგა; საგარეჯოში ხალხმა ფიცი
დასდო: რუსებს არც ერთ ჯარისკაცს არ მივცემთ! რუ-
სთა მომხრეებს სცემეს და მათ ჩასაქოლად აუარებელი
ქვა მოზიდეს. ასევე მოხდა კახეთის სხვა კუთხეებშიც. აქე-
დან ეს მოძრაობა, რასაც წმიდა ეროვნული ხასიათი ჰქონ-
და, ქართლში გადავიდა; გორის მხარეში საგანგებო დე-
ლეგატები გაჩნდნენ და მარშლებს მილიციის შედგენის
ყველა გაგმა ჩაუშალეს; ხოლო კავთისხევში ამ ხალხურ
მოძრაობას თვითონ თავადები: ციციშვილები და თარხნი-
შვილები ჩაუდგნენ სათავეში; აქაც და სხვა ადგილებშიც
„საიდუმლო შტაბის“ რწმუნებულები დაქქროდნენ და
ხალხს რაზმავდნენ, შემდეგ პურზე და ღვინოზე აფიცებდ-
ნენ და თანდათან ლოზუნგი — „არ მივცეთ რუსებს არც
ერთი სალდათი!“, — „იცვლებოდა ლოზუნგად: — „არ
გვინდა რუსთა მთაერობა, ჩვენ მოგვატყუილეს და ჩვენს
ძველანაში მოპატიებულმა რუსებმა ჩვენვე დაგვიწყეს
დევნა და აწიოკება!“, „განდევნეთ რუსები, ჩვენ გვხურს
იხევ ქართული ხამეფო იყოს!“-ო

აჯანყებათა მეთაურნი თბილისის ახლო-მახლო სოფ-

ლებში შეიჭრნენ; ხალხში დელვა გაძლიერდა; ყველა იარაღს კიდებს ხელს... ყველა დედა-ქალაქისაკენ დაიძრა... ეს შეიარაღებული ხალხი დიღომის ველზე დაბანაკდა და მან რუსულ მთავრობას თოფი დაუმიზნა. ერთი ნაპერწკალიც და აჯანყების დიდი ალი მოელ ქართლ-კახეთს ძოედებოდა...

ომში დაბანდებული რუსის ძალები საქმეს ვეღარ შველოდნენ; ალექსანდრე ბატონიშვილი კვლავ საღარაჯოზე იდგა და ხალხს აფიცებდა.

ოღონდ რუსეთი და მისი წარმომადგენელი მთავარმართებელი გენერალი პასკევიჩი ეხლა პრესტიუზზე ოღარ ფიქრობდნენ; ამ აზიკორთებული ხალხის წინ მათ ქედი მოიხარეს, დიღომის ველისკენ სწრაფ ქართველი მარშლები და შიკრიკები აფრინეს და ხალხის ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილეს; — რუსეთმა ქართული მილიციის შექმნაზე უარი განაცხადა.

გენერალმა პასკევიჩმა საგანგებო პროკლამაციებით კვლავ მიმართა ქართველობას და დამშეიღება სოხოვა; მან ხალხს აღუთქვა, რომ რუსეთი ქართველებისაგან არასდროს ჯარს არ გაიყვანდა!.... ხოლო პეტერბურგს კი აცნობა, რომ ყველა ცდა ქართველთაგან მილიციის შექმნის შესახებ საშინელ წინააღმდეგობას დაეჯახა, არც ერთი ქართველი არ გამოვიდა რუსეთის მოწოდებაზე და მე იძულებული შევიქენი — ყველა ჩემი განკარგულება უკან წამელო და მილიციის შედგენაზე უარი მეთქვაო.

მართალია, ეს ამბები ცოტა უფრო გვიან განვითარდა, მაგრამ მათი მომწყობი ორგანიზაცია ხომ ადრევე მოშედებდა ოსმალეთში გახიზნული ქაიხოსროს, დავით გურიელის და სხვათა მეთაურობით, და სპარსეთში მყოფ ქართველ ემიგრანტებთან შეთანხმებით; ხოლო ქართველი ბატონიშვილები: ოქროპირი, მიხეილი, ფარნაოზ და სხვანი პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ხელმძღვანელობდნენ ამ ეროვნულ საქმეს, რომელსაც შემდეგ სოლომონ

დოდაშვილი, ბერი ფალადელფიოს კინაძე და სხვენი მიერნენ და 1832 წლის დიდი შეთქმულება შეამზადეს.

აი, ამ ამბავთა ჩანასახი ვითარდებოდა უკვე 1827 წლიდან; ეს იყო სამზადისი, რომ ამხნევებდა და აკაუებდა გურიის დედოფალს და მის ხალხს. მათზე რუსთა არც მუქარა და არც მუდარა აღარ მოქმედებდა.

გენერალ პასკევიჩი, რავი სოფიოსაგან თვის უკანა-სკნელ მიმართებაზე პასუხი ვეღარ მიიღო, იმერეთის მართველ გესახს დაავალა — სამეგრელოს მილიციიდან სანდო, სამხედრო პირი გაეგზავნა სოფიოსთან შესაფერი შთაგონებისათვის... გესახს აირჩია ერთ-ერთი ოფიცერი, ვიღაც დადიანი და გააგზავნა გურიაში დედოფლის განწყობილების გასაგებად და იქაური მდგომარეობის გამოსარტივად.

ამ დადიანმა სანუგეშო პასუხი ვერ მოუტანა რუსებს; გენ. პასკევიჩს ის 17 ივნისის თარიღით ატყობინებდა, რომ ჩემს შეკითხვაზე, თუ დედოფალი რა პასუხს მოახერხებს მთავარმართებელს, გენ. პასკევიჩს, მის განსაკუთრებულ მიმართებაზე (9 — 5 — 1828), დედოფალმა ცივად მომიტრა — „არავითარს“-ო! და არც კი ინება ამ უარის მიზეზი განემარტაო. მაგრამ დადიანი გენ. პასკევიჩს იმით ანუგეშებდა, რომ დედოფალთან და დ. მაჭუტაძესთან კველანი არ არიან; რომ ერთი ნაწილი გურულებისა ერისთავების მხარეზეა, რომელნიც მეგრელებთან ერთად რუსეთის ერთგული დარჩნენ. ეხლა ეს ერისთავები (ვახტანგი, გოგი, გიორგი და სვიმონი) გამოექცნენ დედოფალს ოზურგეთიდან, ოჯახები გახიზნეს სამეგრელოსა და იმერეთს, და თვითონ კი თავისი ერთგულებით ჩოხატაურში დაბანაკებულ მეგრულ მილიციას შეუერთდნენ და ეხმარებიან რუსთ თურქეთის წინააღმდეგო. ზოგერთის ფიქრით, ასეთ დროს ერისთავების განდგომაშ დედოფალზე ძალიან მძიმედ იმოქმედა და რუსებთან

შორიგება სწადდაო, სწერს ერთი ჩეზიდენტი მთავრობას; მაგრამ მეორე კი ამბობს, რომ დედოფალი არავითარ და- თმობაზე არ წავა, და თუნდაც სრულიად მარტოდ დარ- ჩეს სახლთუხუცეს მაჭუტაძესთან, მაიც განაგრძობს გუ- რის უფლებისათვის ბრძოლასო; და თუ საბოლოოდ და- მარტოდა, იმჯობინებს სოლომონ მეფის მაგალითს მისდი- ოს, რუსეთს ქედი არ მოუხარის და თურქეთს გადავიდეს (იხილეთ გენ. სიპიაგინის მოხსენება გენ. პასკევიჩისადმი ნომერი 352).

**
**

რუსეთ - ოსმალეთის ომი გაცხოველდა; დედოფალ სოფიოს კვლავ გაუცოცხლდა იმედი... ეხლა საქმე „საბ- ჭოს“ კი არ შეეხმოდა, არამედ გურიის სრულ დამოუკი- დებლობის აღდგენას და აქედან, როგორც ვსთქვით, იხ- სნებოდა პერსპექტივა იმერეთში შეჭრისა.

ქობულეთში და აჭარაში ბეგები რომ ისხდნენ და ქა- რთველთა მოდგმისა იყვნენ, იმათოვის ბევრად უფრო სა- სურველი იყო იმერეთის სამეფოს აღდგენა, ვიდრე იქ რუსთა დამკვიდრება. აი, ამათთან, ახალციხის ფაშასთან და მთელ ქართველ გარდახვეწილებთან დედოფალ სო- ფიოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა; კერძოდ ის მიწერმოწე- რაში იყო იმერეთის ბატონიშვილ ვახტანგთან, ალექსანდ- რე ბატონიშვილთან და სხ.

იმერეთის მმართველი გესსე გენ. სიპიაგინს აცნობებ- და, რომ დედოფალი სოფიო დიდ და განუწყვეტელ კავ- შირშია თურქებთან და აშკარად გადაუდგა რუსეთსაო; რომ დედოფალმა მიიღო პირადი ფირმანი ხონთქარისა- გან, რომლითაც ოსმალეთს გურიის სამთავრო თვის მფარ- ველობაში აპყავსო. მექვიდრე დავითს წარმოუგზავნეს ხრმალი, ხოლო თვითონ დედოფალს და მის ერთგულთ სხვა და სხვა საჩუქარიო. ყველაფერი ეს მტკიცდება იმ წერილიდან, რომელიც დედოფალს მიუწერია დავით მა-

ჭუტაძისათვის, რომელიც იმ დროს ფოთში იმყოფებოდა და თურქებთან მოლაპარაკებას აწარმოებდათ. დ. მაჟურაძის მომხრე გურულები იკრიბებიან ჯგუფ - ჯგუფად სახლო - უხუცესის შეილის, ალექსანდრეს მეთაურობით, და თავს ესხმიან რუსთა ერთგულ მეგრელებს და რამოდენიმე მათგანი ტყვედაც წაიყვანესო! ყველა ამის გამო დედოფალი ეხლავე უნდა დაისაჯოს და მასთან ერთად მისი ერთგულებიც, თორემ ეს გაათამამებს სხვებსაც და საქმე გართულდება; თუ ასე არ მოვიქეცით, იმ მომხრეებსაც დავკარგავთ, რომლებიც კიდევ შეგვრჩა; ეს მოხდება იმის შიშით, რომ დედოფალი სოფიო მათ დასჯისო (იხილეთ აქტ. წ. 7.).

მაგრამ გენერალ პასკევიჩს საქმაო ჯარი არა ჰყავდა ის უამაღ, რომ თურქებთან ომის დროს, მაშინ როცა იგი ახალციხესაკენ მიემურებოდა, შიგნით, გურიისათვის აეტეხა ომი. ამით ხომ გურიის ხალხს მთლიანად თურქეთის მხარეზე დააყენებდა. ამის გამო მან დედოფალ სოფიოს დასჭახზე ჯერხანად მაინც ხელი აიღო და იმერეთის მმართველს გესსეს უბრძანა: — ისევ შთაგონებით და დაპირებებით იმოქმედეთ. ხოლო თუ ეხლაც არაფერი აღარ გასჭრიდა და დედოფალი სავსებით თურქეთს მიენდობოდა, ამ შემთხვევაში, გესსეს უნდა საგანგებო პროკლამაციით მიემართა გურულებისათვის; ამ პროკლამაციის პირს გენ. პასკევიჩი თვის ბრძანებას თან ურთავდა. მისი ტექსტიდან ირკვევა, რომ რუსეთს მაინც სწადია ამ ომის ხანაში როგორმე გურულები არ გადაიკიდოს და ეხლავ არ მოუსპოს იმედი, „რომ რუსეთი გურიის სამთავოს სცნობს და „ტრაქტატს“ არ აუქმებს-ო!. ამიტომ ამ პროკლამაციით დედოფალი სოფიო, თუმცა გამოცხადებულია მოლალატედ, რომელსაც იმპერატორისაგან შესაფერი საჯელი მოელის, მაგრამ გურიას რჩება ისევ მემკვიდრე დავითი, რომელსაც დედის საშინელ ღალატში არავითა-

რო წილი არ უდევს და ამ ახალი მთავრის უმაღლესი მფარველის — რუსეთის ერთგულება გურულებმა სწორედ ეხლა უნდა დაანახონ ქვეყანასო.

„ყველა ხალხს, ვინც რუსეთის ქვეშევრდომი არ არის“, — გვაუწყებს პროკლამაცია, — „ეძლევა შესანიშნავი შემთხვევა, გამოიჩინოს დღეს თავისი ერთგულება და ამით შესაფერისი სანაზღაურო დაიმსახუროს და ამ დროს, ყველასათვის გასაოცრად, თქვენი დედოფალი სოფია, დაბრმავებული თურქების ფაშათა გაიძევრობით, შევიდა მათთან კავშირში, მიიღო მათგან საჩუქრები თავისთვის და თვის მცირეშლოვანი შეილისათვის, და ამით, ულალატა რა თავის ფიცა, და დაივიწყა რა რუსეთზე მიცემული სიტყვა, დაემორჩილა თურქეთი. მთელმა ქვეყანამ იცის იმპერატორის ძლიერება, და მოუფიქრებელი მოქმედება დედოფალი სოფიოსი ვერ დაემალება დამსახურებელ სასჯელს“—.

იგივე პროკლამაცია მოუწოდებდა გურულებს ერთგულებისაკენ და დასძენდა, რომ მთავრობას სჯერა, გურულთა მოქმედება ამ ომის დროს იმდენად სასახელო იქნება, რამდენად სამარცხვინო და დამლუპველი გამხდარა მოქმედება დედოფალ სოფიოსი და მისი გარემოცვის—ო. (იხ. აქტ. 7; მოწოდება გენ. პასკევიჩის 13 ივნისისა 1828 წ. ნომერი 21).

მაგრამ ამ პროკლამაციის გამოქვეყნებამდე რუსები ერთხელ კიდევ შეეცადნენ დედოფლის გული სხვა და სრვა დაპირებით მოეგოთ და დედოფალ სოფიოს იმერეთის არქიეპისკოპოსი სოფრომი კვლავ მიუგზავნებ. პაგრამ ეს მალე უკან გაბრუნდა და გენ. პასკევიჩს აცნობა, რომ ვერას გახდა და დაზიშნუნდა, რომ დედოფალი სოფიო უკვე აშეარად გადაუდგა რუსეთს და ყოველი ცდა მის შესარიგებლად განწარულიათ. ამის შემდეგ კი რუსებმა გენ. პასკევიჩის ზემოდ აღნიშნული პროკლამაცია

სოფიოს „შეჩვენების“ შესახებ გურულებს გამოუცხადეს.

როგორც ვიცით, გურულების ერთი ნაწილი ერისთავებთან ერთად დედოფლის პოლიტიკას განუდგა და თუმცა რუსეთს აშეარად არ მიემხრო, მაგრამ არც დ. მაჭუტაძის ზრახვებს იზიარებდა, — ეს ნაწილი თითქოს ამბავთა განვითარებას ელოდა.

ამ „გადამდგართა“ სახელმძღვანელო აზრი ის იყო, რომ მათ ოსმალეთი მიუღებლად მიაჩნდათ და მათ „თაორის“ არაფერი სწამდათ და მისგან მრავალ აწიოკებათა და გაუკაცურებათა, ულეტისა და ძარცვის ამბავი ცოცხლად ახსოვდათ. ამ „თაორების“ დაპირებას მათვის არავითარი ფასი არა ჰქონდა, ხედავდნენ რა, თუ როგორ დაუფლა თურქეთი გურიის უძველეს ნაწილს: აჭარას და ქობულეთს, სადაც მან ძალადობით ისლამი და „გათარება“ შეიტანა...“

რუსეთი, ასე თუ ისე, თურქთა შემოტევის აჩერებდა, გურიის ხალხს მოსვენებას აძლევდა და თან იმის იმედსაც ჰქმნიდა, რომ ოდესაზე გამაპმალიანებულ ნაწილს, ძველ გურიას, საქართველოს ტერიტორიის კვლავ შემოუმტკიცებდა.

აქ მათ წინ ედგათ პოლიტიკური ანგარიშის და არა სოფიო დედოფლისადმი ორგულობის საკითხი.

დედოფალი მთელ გურიას დიდად უყვარდა; მის სიტრკიცეს და მხნეობას ყველა თაყვანსა სცემდა; მის ბრძოლაში გურიის სამთავროს უფლებათვის, ყველა მასთან იდგა; მაგრამ როდესაც საკითხმა საერთაშორისო და ორიენტაციის ხასიათი მიიღო და გურულების წინაშე კითხვა დადგა: რუსეთთან, თუ ოსმალეთთან.... აქ გურიის ერთი ნაწილი შედრება. მართალია, ის დედოფლის გზას ერ გაჲყვა, მაგრამ თავისი თავი მას მოლალატედ არ მიაჩნდა, რადგან არც რუსებს უჭერდა ყველაფერში მხარს და სამთავროს გადარჩენა სწადდა.

სწორედ ამ ხანას ეკუთვნის გამაპმადიანებული ქართველი ბეგების ჩარევა გურიის საქმეში და ხალხის სოფიოსადმი ცრთგულებისაკენ მოწოდება. მაგალითად, ამ მიზნით მიმართავდა ახმედ - ბეგი სურებელთ და სწერდა:

... „მე ახმედ - ბეგი, ძველთაგან თქვენდამი კეთილადგანწყობილი, მოგიწოდებთ და გაფრთხილებთ, რომ, თუ არა გსურთ თქვენი თავი დალუპოთ, ამის მიღებისათანავე, გამოცხადდით ჩემთან და შეუტიგდით თქვენს დედოფალს (სოფიოს), რომელსაც მე თქვენთვის წყალობას გამოვსთხოვ. გირჩევთ ამ ჩემს მოთხოვნას არ ეწინააღმდევოთ და თუ ასე არ მოიქცევით, — ვუბრძანებ აჭარლებს, — თავს დაგესხან და ამის შემდეგ თქვენ ვეღარ შეეფარებით ვერც საქართველოს და ვერც თურქეთს“...

შესაძლებელია, გურიის ერთი ნაწილის განდგომაში ჩააფიქრა დედოფალი და მან, ძველი ერთობის აღდგენის მიზნით, ამ ხანად მაინც სცადა რუსებთან მოლაპარაკება. ან, როგორც ზოგი ფიქრობს, სოფიოს სურდა დროის მოგება და უნდოდა მოლაპარაკება გაეყიანურებინა შემოდგომამდე, ან ზამთრამდე, როცა რუსეთის ოპერაციები ბუნებრივად შეფერხდებოდა წვიმებისა და თოვლის გამო. ყოველ შემთხვევაში, დედოფალ სოფიოს არქიეპისკოპოსის, სოფრომის საშუალებით უცდია გენ. პასკევიჩთან მოლაპარაკება იმ პირობით, თუ მთავრინას მტკიცედ აღუთქვამდენ ძველს მდგომარეობაში აღდგენას და „საბჭოს“ საკითხის სამუდამოდ მოხსნას. მაგრამ ეხლა, როცა გენ. პასკევიჩი ფიქრობდა, რომ რუსეთი, როგორც ევროპის, ისე აზიის ფრონტებზე, თურქეთს სასტიკად ამარცხებდა, მას სოფიოსთან რაიმე დათმობაზე ლაპარაკიც არა სურდა; და იგა პეტერბურგიდან ნებას ითხოვდა — შეეთვალა პასუხად სოფიოსათვის, რომ ერთად — ერთი გამოსავალი დედოფლისათვის არის: — ყოველგვარ პირობათა გარეშე რუსეთს დამორჩილებოდა და მხედრობის წინაშე გამოცხადებულიყო.

მთავარმართებელი გენ. პასკევიჩი სამინისტროს აუწყებდა: — ყოვლად შეუძლებელია დედოფლის ნდობა მას შემდეგ, რაც მან აშკარა ლალატი ჩაიღინა და არა თუ მიენდო თურქებს, არამედ მათ ამანათად თვისი ასული ყაჭიბროლაც კი მისცა და სხვა თავადებსაც მიაცემინა ამ გვარადვე ამანათებით. (გენერალ პასკევიჩის ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება: ყაჭიბროლას ჩვენ შემდეგ შიაც გურიაში ვხედავთ). ამნაირად, სოფიოსთან არავითარი ლაპარაკიც არ შეიძლება, ვიდრე ის ყოველგვარი პირობის გარეშე სრულ მორჩილებას არ გამოაცხადებსო.

ამავე დროს გენ. პასკევიჩი იმერეთის მმართველ გესას უბრძანებს: — ეხლავე შეადგინე სიები იმ წარჩინებულთა, რომელნიც დედოფლის მხარეზე იდგნენ, რათა შემდეგში მათ შესაფერი საჯელი და ქონების ჩამორთვევა არ ასცდენდათ.

დასარულს, გენ. პასკევიჩი მინისტრ ნესსელროდეს ორგვარ გეგმას წარუდგენს გურიის სამთავროს შესახებ: — 1). თუ მთავრინა ყოველ პირობათა გარეშე, რუსეთის სრულ მორჩილებაში მოქცეოდა, მაშინ უნდა დაარსებულიყო „საბჭო“, რომლის თავჯდომარე იქნებოდა რუსის მოხელე, ხოლო ყოუალი დედოფლი კი ყოველგვარ საქმიანობიდან სამუდამოდ უნდა ჩამოეშორებინათ. 2). თუ კი დედოფლალი ეხლაც გაჯიუტდებოდა და მემკვიდრეებთან ერთად თურქეთს გადავიდოდა, მაშინ გურიის სამთავრო სამუდამოდ უნდა გაუქმებულიყო, და იგი რუსეთის ნაწილად უნდა გამოცხადებულიყო, როგორც იმერეთი.

მალე რუსეთის მდგომარეობა ფრონტზე ოსმალეთის წინააღმდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა და გენერალმა პასკევიჩმა, ახალციხის ლაპურობის შემდეგ, გურიის სრული ანექსია გადასწყვიტა.

ალბათ ამ ამბავმა დედოფლის ყურამდე მიაღწია; და იცოდა რა, რომ მასაც და მემკვიდრესაც რუსეთს გადაასხლებდენ და სამთავროს გააუქმებდენ, შეეცადა რო-

გორმე დრო მოეგო, რათა თავისი ერთგულებით თურქეთს გასულიყო და იქედან ბრძოლა კვლივ განეგრძო.

ამ მიზნით დედოფალმა ერთხელ კიდევ მიმართა გენერალ პასკევიჩს და ეხლა არა მარტო შერიცება შესთავაზა, არამედ ვითომდა ერთგულების საბოლოო განსამტკიცებლად, თურქთა წინააღმდეგ გამოსვლა და ბათუმ - ქობულეთ - ჩაქვის დაკავება აღუთქვა.

ამაზე გენ. პასკევიჩი მთავრობას აუწყებდა, რომ, თუმცა ყოფილ დედოფალს ალარაფერში ენდობა, მაგრამ სოფიოს და თურქთა შორის მტრობის ჩამოგდების მიზნით — რათა მომავალში ის და მისი მემკვიდრე თურქეთს ვალარ გადასულიყვნენ, — მან სოფიოს ან წინადადებაზე უარი არ უთხრა; ამავე დროს, განზრახულ ოპერაციების ჩასტარებლად, მხოლოდ ორი კვირის ვადა მისცა. ამასთან ეთად გესსეს უბრძანა: — თუ რომ სოფიო ამ ორ კვირაში ბათუმს, ქობულეთს და ჩაქვის არ დაიკავებდა და რუსებს არ გადასცემდა, გესსე უნდა გურიაში შესულიყო საკმაო ჯარით და მთელი მხარე იარაღით დაეპყრო და ციხეებში რუსის ჯარი ჩაეყენებინა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გესსე მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ ორი კვირის ვადა სადაცაა მიიწურება და მთავრინა არც კი ფიქრობს პირობის შესრულებას. იგი, არა თუ თავს არ ესხმის თურქებს ბათუმ - ქობულეთის მიმართულებით, არამედ თავისი ერთგულებით გადავიდა მაკვანეთში, რომელიც სულ ახლოს მდებარეობს ოსმალეთის საზღვართან. ამას გარდა მას თავისი ქონება, არქივი და ყოველივე ასეთი ნელნელა საზღვრისაკენ გადააქვსო. ამის გამო, ყოველგვარი იჭვის გასაფანტავად, გესსეს დედოფლისათვის მიუწერია: რომ მას რუსული ჯარი გურიაში შეჰყავს, რათა დედოფალს „გვერდით ამოუღეს და დაეხმაროს“ ბათუმ-ქობულეთის აღებაში, რაც სოფიოს უკვე გადაუწყვეტია; ამ შეერთებული ოპერაციის საწარმოებლადკი საჭიროა „შეთანხმება“-ო, და ამი-

ტომ გესსე „მოქავშირე“ დედოფალს შეხვედრას სთხოვს.

გესსეს ეს მოწოდება ლიხაურში გაუგზავნია, სადაც დედოფალმა თვისი რეზიდენცია გადაიტანა რუსთა თვალის ასახვევად. სოფიო აქ თითქოს მიღიცის მოგრვებასაც შეცდომია. დედოფალმა გესსეს დესპანი მიიღო და პატარა შეუთვალა, რომ მზადაა მოსალაპარაკებლად და გესსეს თავის სასახლეში იბარებს, ოზურგეთში.

2 ოქტომბერს გესსე ოზურგეთისაკენ დაიძრა, ვითომ დედოფალთან მოსალაპარაკებლად. და აქ მას აცნობეს, რომ დედოფალი თავისი მემკვიდრით, უფროსი ასულით და ზოგი ერთგულით სასწრაფოდ ისმალეთს გადასულიყო; რომ დედოფალს თან წაელო ლიხაურის ციხეში ადრევე გადატანილი ქონება; ასკანის ციხეშიც სასწრაფოდ გაეგზავნა მოურავი ქაიხოსრო თაყაიშვილი, რათა იქ დაგროვილი ქონება ჩქარა მაჰმედ - ბეგთან გადაეტანათ, აქარაში.

როგორც ირკვევა, დედოფალზე მის ახლო მრჩეველთ უმოქმედნიათო, სწერდა გესსე პასკევიჩს, და დაურწმუნებიათ, რომ ოზურგეთში შეხვედრისას მას და მემკვიდრეს დააპატიმრებდენ და რუსეთს გადაასახლებდენ.

დედოფლისა და მის ახლობელთა თურქეთში გადასვლის შემდეგ, გესსეს დაუკავებია ნაგომარის და ასკანის ციხეები და თან ოზურგეთიც. ამ ციხეებს გესსე მეტად გამაგრებულად და მიუვალად სოვლიდა თვის პატაკში.

სოფელ ლიხაურში, იუწყება გესსე, დედოფალს დაუტოვებია თავისი სამი ქალიშვილიო. როგორც სჩანს, დედოფალს ველაზ მოუსწრია მათი იქედან გაყვანა. ეს ბავშები იმყოფებიან ნაგომარის მოურავის, სეიმონ გუგუნა-კაა თჯახშიო. დამატებით გესსე მთავრობას ატყობინებს, რომ დედოფალს თურქეთს თან გაცყოლიან: დავით მაკუტაძე, დავით გურიელი, გორგი თავდგირიძე, ლაზარე ნაკაშიძე, ერისთავები: დავით, კონსტანტინე და ალექსანდ-

რე, ქაიხოსრო თაყაიშვილი, თავართქილაძენი: ადალო და ბიჭიკო, ჯაყელნი: ვახტანგ და გოგია, კვიტაშვილები: როსტომ და ბახუტა, და ამათ გარდა, პირადი მხლებელნი და ფარეშნი, სულ 55 სული (იხილეთ გესსეს მოხსენება, 10 — 10 — 1828 წ.).

ამ ამბების შემდეგაც გენ. პასკევიჩმა, ვიდრე ომი ჯერ გრძელდებოდა, მაინც ვერ გაბედა გურიის სამთავროს სრული მოსპობა; ეშინოდა, რომ თურქეთში გახიზნულ დედოფალს ქვეყნისათვის არ ეცნობებინა, თუ რა ვერაგობა ჩაიდინა რუსეთმა და რა ფასი ჰქონდა მასთან დადებულ „ტრაქტატს“. ამიტომ მან, პეტერბურგის მთავრობის თანხმობით, უფრო მიზანშეწონილად სცნო „დროებითი საბჭო“ დაეგრძებინა, ოთხი თავადისაგან შემდგარი, რომელიც რუსეთისადმი ერთგულებით იყვნენ ცნობილი. ამათ თავჯდომარედ კი, ნაცვლად დედოფლისა, დაინიშნა რუსის პოლკოვნიკი, კულიაბკა.

ეს „საბჭო“, რომელიც მხოლოდ რუსული ორგანო იყო და რუსთა ნებას ემსახურებოდა, გარეგნულად ვითომ მცირეწლოვან დავითის სახელით მოქმედებდა.

30 — 11 — 1828 წ. მინისტრი ჩერნიშევი მთავარმართებელ გენერალ პასკევიჩს აცნობებდა, რომ ხელმწიფე — იმპერატორი მას ნებას აძლევს ყოფილ დედოფალს აცნობოს, რომ თუ იგი მალე გურიაში არ დააბრუნებს თავის გაეს, დავითს, მაშინ ის სამუდამოდ დაპქარგავს მმართველობის ყველა უფლებას და მემკვიდრეობას.

თურქეთს გახიზნულმა დედოფალმა მალე შეიტყო, რომ მის საყვარელ გურიას სახელოვან გურიელთა შემდეგ, რუსთა კურთხევით, ვიღაც კულიაბკა მართავსო და ხალხის გულის გასამხნევებლად, 1829 წლის თებერვალში, გურიას მხურვალე მოწოდებით მიმართა; ის აუწყებდა ყველას, რომ ჯანმრთელად იმყოფება; რომ მას თურქეთის მთავრობა დიდის პატივით ეპყრობა და სხვა. ამასთან

ერთად, სოფიო ხალხს პირდებოდა: მოკლე ხანში ისევ დაებრუნდები გურიაშიო, და ყველას სთხოვდა — მის შესახევდრად მომზადებულიყვენ. ამით მეტად შეშინებული პოლქ. გულიაბა გენ. პასკევიჩს აუწყებდა, რომ მას იცნობდეს: თითქოს დედოფალმა სოფიომ გამოსთხოვა სულ-თანს ტრაპეზუნდის ფაშისათვის ჯარები, რომლებიც რუსებს თავს უნდა დასხმოდნ და რომ დედოფალს სურს ამ ჯარებს თან გამოჰყეს გურიაში და დაიკავოს არა მარტო გურია, არამედ სამეგრელო და იმერეთიც (იხილ. კულიაბკას მოხსენება, ნომ. 361).

**

სოფიოსა და მახლობლებს ერთგვარად გაუცოცხლდათ იმედები. შესაძლო იყო ამ დროს სპარსეთიც თურქეთის მხარეზე ომში ჩარეულიყო, რის გამო რუსეთს მთელს კავკასიაში ურთულდებოდა მდგომარეობა. სწორედ ამ ხანებში (30 — 1 — 1829 წ.) სპარსეთში მოპარებული რუსეთის ელჩი გრიბოედოვი (ცნობილი პოეტი, სიძე პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა) და დაარბიეს რუსეთის წარმომადგენლობა თეირანში. ამის გამო რუსეთ - სპარსეთის შორის ფრიად გამშვავდა ურთიერთობა და ამიტომაც სპარსეთთანაც ომს მოელოდნენ. ამავე ხანებში დიდის ვაივაგლახით დაპყრობილ ახალციხეს სოფიოს ერთგულმა და მოკავშირემ, აჭარის ბეგმა ახმედმა, ალყა შემოარტყა, ხოლო მისმა ძმამ ბორჯომის ხეობა დაიკავა.

ტრაპეზუნდის ფაშამ სულთანისაგან მართლაც მაშველი ჯარები მიიღო, სოფიო დედოფალთან ერთად გურიაში შეიჭრა და ციხე კინტრიშში გამაგრდა.

გურიაში დაბანაკებული რუსის ჯარი დიდ ხიფათში ჩაეარდა და გენერალ გესახს დავთრები აერია; მან სწრაფად გამოიწვია მეგრული მილიცია, აგრეთვე გურიის ერისთავი თავისი რაზმებით და მოსთხოვა: რუსის ჯარებთან ერთად მათ თავი დაედოთ და, ხელფრიფისათვის ამდენ-

ჯერ აღთქმული ერთგულება დაემტკიცებინათ. ამ შეერთებულმა ჯარებმა ლიმანთან თურქებს შეუტიეს და ომი გაჩალდა.

სოფიო დედოფალი თავის ერთგულ გურულებს მოუწოდებდა და სოხოვდა — საქართველოს ლიტერატურისათვის და გურიის გადარჩენისათვის თავი განეჭირათ. აქ დღეს არა მარტო გურიის არსებობის კითხვა სწყდება, არამედ მთელ საქართველოდან რუსეთის განდევნისაო, — ატყობინებდა სოფიო. ჩემთან, კინტრიშის ახლოს ამ ეპად თავი მოუყრიათ საქართველოს აღდგენისა და გაერთიანებისათვის ძველ მებრძოლთ, ერეკლეს და სოლომონ მეფის დროშაზე შეფიცულთ; ეამი დამდგარა: „ეხლა, ან არახოდეს“, გრწამდეთ — ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან სიმართლე და სამართალი ჩვენს მხარეზეაო!... — ასე ამბობდა დედოფალი და პატარა გურიის დროშას საბრძოლო კიფინით ჯარში დააფრიალებდა...

და იმ ხელად ბედმა მართლაც გასჭრა: რუსნი და ოდიშელნი იძლივნენ და უკუიქცნენ. დედოფალი და მისი შტაბი კინტრიშში დარჩა.

გაჭირვებაში ჩაგარდნილი რუსის ჯარის სახსნელად გენერალ პასკევიჩმა, როგორც ვიცით, ქართულ მილიციების შექმნა მოინდომა, რადგან რუსეთიდან ჯარის გადმოყვანა ასე სასწრავოდ არ ხერხდებოდა. ხოლო ამ „მილიციის“ შექმნის ამბავს ისეთი არეულობა მოჰყვა, რომ რუსებმა კინალამ მთელი საქართველო დაჰკარგეს.

ჩვენ ზევით უკვე ვნახეთ, თუ რა ხერხით დაახწია რუსეთმა ამ სახალხო არეულობას თავი. ის იძულებული გახდა ქართული მილიციის შექმნაზე ხელი აელო, რამაც ამბოხება დააცხრო, და გურია განმარტოვებული დასტოა.

მეორეს მხრივ, არც სპარსეთიდან მოდიოდათ გამანხნევებელი ცნობები დედოფალ სოფიოს და ალექსანდრე

ბატონიშვილს: რუსეთი მეორე საომარ ფრონტის გახსნას შეუშინდა, თავისი ელჩის ვერაგულად მოკველა მოინელა და თეირანს ბევრი რამ დაუთმო. აბა - მირზა რუსეთის რწმუნებულს მოურიგდა და შაპია ახალი ელჩი უხვი სა-ჩუქრებით ნიკოლოზ პირველს გაუყზავნა.

5 მარტის ბრძოლის შედეგ გამარჯვებული სოფია
დედოფალი, მისი მემკვიდრე, დავით მაჭუტაძე და სხვანი
კინტრიშვი ახალი ბრძოლისათვის მზადებას შეუდგნენ.
ისინი ცეცხლმოდებულ მოწიდებებით მიმართავდნენ გუ-
რიას და აუშვებდნენ, რომ ტრაპეზუნდის ფაშა ამ საბო-
ლოო შეტევისათვის ახალ ჯარებს ჰპირდებოდა დედო-
ფალსა და გურიის ხალხს.

გენერალ გესსეს მდგომარეობა კვლავ კრიტიკულ
შეიქმნა; მისი მთავარი ძალა იმ ფაქტიდან მოდიცა
იყო, მაგრამ მთლად საიმედოდ დღეს აღარც ეს ჩაითვ-
ლებოდა. გენ. გესსე ოზურებული დადგა და იქნან ვეღარ
იძეროდა. მაგრამ არც სოფიოს მოსღიოდა მშველელი ჯა-
რები. ოსმალეთი რუსული ჯარის გასატეხად ეხლა ყარ-
სის ხაზს დაემუქრა, დიდი ძალები იქნეთვენ გადაისროლა
და დაპირებული დახმარება დედოფალ სოფიოს სასწრა-
ფოდ ვერ აღმოჲჩინა. სოფიო და მისი ერთვულნი დაღა-
ლა ამდენმა ლოდინმა; სწორედ ამ დროით ისარგებლა გენ.
პასკევიჩმა და გურიის გადასარჩენად ომის ცეცხლი სხვა
ადგილას გადაიტანა და თურქებს ყარს-არდაგანის ხაზით
შეუტია. ამგვარად, ოსმალეთი იმულებული გახდა ის ჯა-
რიც კი შეემცირებინა, რაც დედოფალთან და ტრაპეზუნ-
დის ფაშასთან იმყოფებოდა კინტრიშში, რათა გენ. პასკე-
ვიჩის ახალ შეტევის გამკლავებოდა. აი, ამ მდგომარეობით
უნდა ესარგებლა გურიაში მდგომ მეგრულ - რუსულ
ჯარს და მას მოქმედება დაწყო. მართლაც, აგვისტოში
რუსულ - მეგრული ჯარები თვით გადავიდნენ შეტევაზე,
მოხა-ესტატეს და ლიმანს მოუარეს და ცხარე ბრძოლების

შემდეგ, რის დროს მეგრელთა მილიცია დადად დაზარალდა, თურქთა ნაწილები გასტეხეს. ოსმალეთი იძულებული გახდა ამ ხაზზე უკან დაეხრია და სოფიო დედოფლის შტაბის სადღომი, სიმაგრე კინტრიშიც, დაეცალა.

1829 წლის აგვისტოს 9-ს სოფიო, მემკვიდრე დავითი, დ. მაჭუტაძე, ქიხოსრო და დავით გურიელი, გურიის ხაზღვრებს სტოვებენ და ისევ ტრაპეზუნდისაკენ იხევენ.... მაგრამ დედოფალს იმედი მაინც არ დაუკარგავს და ბრძოლა დასრულებულად არ ჩაუთვლია: ის ძალებს კვლავ იყრებდა, ტრაპეზუნდის ფაშასთან და ხონთქართან მოლაპარაკებას აცხოველებდა და ყველას ამხნევებდა.... სწორედ ამ დროს მას აჭარის ერთგულ ბეგებისაგან დამამშვიდებელი ცნობები მოუვიდა....

ლიმანთან გამარჯვებით გათამამებულ გენერალ გეს-სეს რაზმი შეეცადა აჭარაც შემოემტკიცებინა ბარემ და ბათუმისაკენ დაიძრა; მაგრამ ციხისძირთან აჭარლებმა ის გამოიჭირეს და რუსებს დიდი ნაწილი გაუწყვიტეს, ხოლო დანარჩენები კი უკუაქციეს. აჭარლები ისევ გამხნევდნენ და ქობულეთაც ფეხზე დადგა. ამათ გენერალ გეს-სეს მთელი ჯარი, მეგრულის რაზმებითურთ, მთავარ ბაზას მოსჭრეს... ციხისძირთან გამარჯვებამ სასწორი კვლავ გადასარა აქ, ზღვაზე თურქები გამაგრდნენ და დეოფალ სოფიოს ახალი დესანტისათვის გზა გაეხსნა. გურიაში მომწყვდეული რუსული ჯარები სრულ პანიკას მიეცნენ. დედოფლის ორგულნი ქართლისაკენ გაქცევას პირებდნენ, ხოლო მრისი ერთგულნი კი გულის ძერით ელოდნენ ამდენ წამება-ვაების მხნედ ამტან დედოფლის გამარჯვებას.

დ. მაჭუტაძე და ქიხოსრო გურიელი ახალ მოწოდებას აწვდიდნენ გურულებს და სულ ცოტა მოთმინებას სთხოვდნენ: მათი დედოფალი და მთავარი მათ მალე ეწვეოდნენ თავისუფალ გურიაში, სადაც კვლავ დაიგუნებდა ძერი, გურული სიმღრა...

განთიადი ახლოედებოდა; დედოფლის თვალს ძილი არ ეკარებოდა. ის ელოდა ტრაპეზუნდიდან აღთქმულ ჯარის ჩქარა დაძვრას, და გურიის განთავისუფლებისათვის საბოლოო ბრძოლის მიცემას...

და ამ ლოდინის დღეს მოვიდა ცნობა, რომელმაც დედოფლის ყველა იმედი ერთბაშად დაასამარა: —

2 ოქტომბერს 1829 წ. რუსეთმა თურქეთთან ადრიანიპოლის ზავი შეჰქრა!

ყოველი დამთავრდა. დედოფლისათვის მისმა სიცოცხლემ აზრი დაპარგა. ის თავის საყვარელ გურიის ველარ ნახავდა... და მას მოაგონდა იქვე ახლოს, ტრაპეზუნდში, ბერძნული ეკლესიის გალავანში საუკუნოდ მიძინებული საყვარელი მეფე იმერთა, სოლომონ მეორე, და ცხარე ცრემლებით აივს; მძიმე სევდით დატვირთულმა, დიდხანს იოხა საყვარელი გურიის ბედზე: უხმოდ მიიკრა მკერდზე პატარა დავითი და ცრემლიანი თვალები ეხლა თავის კანცლერს, დავით მაჭუტაძეს მიაპყრო... დიდხანს ელოდა მისგან ეხლაც, ისე როგორც მუდამ, გაჭირვებისას მის ბრძნულ აჩვენას, გამამხნევებელ სიტყვას, მაგრამ ეს სიტყვა არ ისმოდა...

დ. მაჭუტაძე სდუმდა და განზე, შორს იცქირებოდა... და დედოფალი მიხვდა, რომ სახლთუხუცესს არ სურდა ეჩვენებინა მისთვის ეს პირველი ცრემლი სასოწავლკვეთოსა. დედოფალმა კარგად ამოიკითხა დ. მაჭუტაძის ეს მდუმარება და მარჯვენა ხელი ერთგულ სახლთუხუცესს იმავე მდუმარებით გაუწოდა... თითქოს ხელა ის სამუდამოდ ეთხოვებოდა თვის კანცლერს, და საყვარელ მემკვიდრეს და ოთხ ობოლ გოგონა მას აბარებდა...

მეხუთე დღეს, მძიმე მწუხარებაში დედოფალმა სამუდამოდ დახუჭა თვალები... მისმა გულმა საყვარელი გურიის დაკარგვის ველარ გუძლო და 7 სექტემბერს 1829 წ. გონიოში, ტრაპეზუნდის ახლოს გურიის უკნასკნელი დე-

დოფალი მიიცვალა. მისი ცხედარი ბერძნულ ეკლესიაში დაასაფლავეს.

დედოფლის გარდაცვალების ამბავს გენ. პასკევიჩი 26 — 10 — 1829 წ. იმპერატორს დიდის ყოფით აცნობებს და თან მთასენებს, რომ ეხლა დადგა ის დრო, რომელ ზედაც ის ოცნებობდა: გურია სამუდამოდ უნდა შეუერთდეს რუსეთის იმპერიასთ.

თითქოს ამით გენ. პასკევიჩი სამაგიეროს უხდიდა გონიოში მიცვალებულ დედოფალს, რომელმაც, თვით მთავარმართებელის სიტყვით, ასე ვერაგულად დაარღვია ფიცი და რუსეთს უღალატა.

„გურიის შეერთება დიდ სარგებლობას მოუტანს რუსეთს და ამავე დროს უზრუნველ ჰყოფს ჩვენს საზღვრებს ამ ადგილებში“ — ი, სწერდა გენ. პასკევიჩი, „ხოლო რაიცა შეეხება დედოფლის მემკვიდრეთ“, დასძნდა იგი, „აუცილებელია გამოეცხადოს დავითს, რომ მან სამუდამოდ დაჰკარგა ყოველგვარი უფლება გურიის სამთავროზე. ამავე დროს მას ვინძეს საშუალებით უნდა ვურჩიოთ: დაბრუნდეს ჩვენს სახელმწიფოში; და მართალია, მას ყველა ადგილ — მამული ჩამოერთმევა, მაგრამ სამაგიერო მამული რუსეთში მიეცემაო... ეს ჩემი წინადადება შესაძლოა განხორციელდეს სარდინის ან აქსტრიის კონსულის დახმარებით, რომლებიც ტრაპიზონდში იმყოფებიან; ხოლო თუ ამ კონსულებმა გამოუცდელის და მცირეწლოვან დავითის დაყოლება ვერ შესძლეს, მაშინ უნდა ეთხოვოს თურქეთის მთავრობას: გადმოგვცეს მასთან შეხიზნული მემკვიდრე დავით გურიელიო. დედოფლის უფროს ქალს, ეკატერინას, როცა ის ტრაპიზონდიდან დაბრუნდება, შეიძლება ნება მიეცეს იცხოვროს გურიაში და, ჩამორთმეული ქონების ნაცვლად, მას უნდა დაენიშნოს პენსია; ხოლო დანარჩენ უმცროს ასულთ: ყაჭიბროლის (9 წლისა), სოფიოს (7 წლ.) და ტერეზას (5 წლ.), გამოვგზავნით პეტერ

ბურგს, სადაც ისინი მოთავსებულ უნდა იქმნან სახელმწიფო ხარჯით სმოლნის მონასტერში, ანუ რომელიმე სხვა კეთილშობილთა სასწავლებელშით. ჩაც შეეხება მოლალატე თავადაზნაურებს, რომელნიც გამდგარ დედოფალს ოსმალებში თან გაჰყვნენ, ამათ უნდა სამუდამოდ აეკრძალოთ სამშობლოში დაბრუნება და მათი ქონება ეხლავ უნდა ჩამორთმეულ იქმნასო....

რუსეთის მთავრობამ გენ. პასკევიჩის ეს გეგმა თითქმის უცვლელად დაამტკიცა და 22 — 1 — 1830 წ. მთავარმართებელს აუწყა, რომ ამიერიდან გურია საუკუნოდ შეერთებულად ითვლება იმპერიასთან-თ რომ სამი მცირეშილოებანი ასული სოფიოსი პეტერბურგს იქმნება სასწავლებელში მოთავსებული; რომ ამასთან იმპერატორმა რება: მიემართა სარდინის კონსულისთვის, რათა მან აცნობოს 14 წლის ეკატერინეს და 10 წლის დავითს, რომ დედის მოღალატურ საქმეებში მონაწილეობის და მასთან ხლების გამო, ამათ სამუდამოდ ეკარგებათ მემკვიდრეობა, და სამაგიერო რამე სასყიდელზე, ან მამულზე უარი ეთქმისთო....

ამნაირად, ხელმწიფე ნიკოლოზ პირველის გადაწყვეტილება ამ მემკვიდრეთა მიმართ უფრო სასტიკა გამოდგა, ვიდრე ეს გენერ. პასკევიჩს სწადდა. თავადების დასჯის შესახებ კი გენ. პასკევიჩის წინადადება უცვლელად მიიღო ხელმწიფებ.

ასეთი სისასტიკით გაუსწორდა მრისხანე ნიკოლოზ პირველი პატარა გურიას და მის სამთავრო ოჯახს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ საკუთარი თავისუღლება და ღირსება არ დაუთმეს რუსეთის იმპერიას.

რა მოხდა შემდეგ? ეტყობა სარდინის კონსულმა შესაფერი გავლენა ვერ მოახდინა დ. მაჭუტაძეზე და მის ალზრდილებზე: დავითზე და ეკატერინეზე, — პათ ერთ ხანს მაინც არ დაუტოვებიათ საყვარელი დედის; და დედოფ-

ლის საფლავი, რომელსაც ობლად დაშთენი ლი ეკატერინე და დავითი თვის გულის ნადებს კიდევ დიდ აანს ანდობდნენ.... დ. მაჭუტაძე კი, საყვარელი დედოფების ანდერძის თანახმად, მემკვიდრეს მხარში ამოუდგა და ახალი ნუგე-შით ამნევებდა....

დანარჩენთა ბედიც, რამდენიმე გამონაკილისით, ასე-თვე შეიქმნა: ქაიხოსრო გურიელიც გურიის ამბებზე შავ ფიქრს გადაჰყა და ოსმალეთში დალია დღენი.

დედოფალ სოფიოს ზოგ მხლებელისა და წარჩინებულის ბედს კი ვტყობილობთ ტრაპეზუნდიდან ჩამოსულ ოტია გოცირიძისაგან, რომელმაც გურიის საზღვარი საიდუმლოდ გადალახა და ოზურგეთში ჩავიდა და იქ მოხელე ჭილაშვილს გამოეცადა. ეს გოცირიძე გაისმეგ ზავნა თურქეთიდან, თავის დროზე იქ გაქცეულს, სენია წულუკიძის ვაჟს — გიორგის თავის დედასთან და პიძასთან; ამათ უნდა ეშუამდგომლათ, რომ გიორგისათვის უკან დაბრუნების უფლება მიეცათ; ეს გიორგიც იღებდა მონაწილეობას 1820 წლის იმერეთის აჯანყებაში, როცა ის ჯერ სულ ახალგაზრდა იყო; მაშინ მისი მამა, სენია შეუპყრიათ და რუსეთს გადაუსახლებიათ, რის შემდეგ გიორგი თურქეთს გაქცეულა.

აი, ამ ოტია გოცირიძისაგან შეუტყვია ჭილაშვილს, რომ ზოგი გურულები, დედოფალს რომ ახლდნენ, თურქეთიდან წამოსულან და ქობულეთში გაჩერებულან, და იქ გურიაში შემოსვლის ნებას ელოდებიანო. ამათში ყოფილან: დავით გურიელი, თავისი ერთგული ოცი კაცით, მიხეილ ერისთავი (აგრეთვე 1820 წ. გურიის აჯანყების დროს გაქცეული), მასთან მისი რძალი, სიკო ერისთვის მეულე ანნა, ლევან გურიელის ასული და ორი მოახლე დედოფალი სოფიოსი; ამათთან ერთად უნდა მოსულიყო ოჯახი აშ გარდაცვლილ, ცნობილ ქაიხოსრო გურიელისა. ტრაპეზუნდის ფაშას ნება დაურთავს, რათა ყველა ესენი სამშობლოში დაბრუნებულიყვენ.

რაც შეეხება მემკვიდრე დავითს და მის დას ეკატერინეს, ისინი მათ აღმზრდელ დავით მაჭუტაძესთან და დანარჩენ ახლობლებთან ერთად, დარჩენილან პლატანაში, ტრაპეზუნდის ახლოს.

მოხელე ჭილაშვილი ამაზე გენერალ გესხსეს სწერს
 21 — 10 — 1830 წ. და განკარგულებას სთხოვს — თუ რა გვარად მოქმედეს იმ პირთ, რომლებიც ქობულეთში იცდიან და შემოსვლის ნებას ითხოვენ. მათი შემოშვება ხელმწიფის ბრძანებით აღკვეთილია, ხოლო იქ, ასე ახლო გურიის საზღვართან მათი დატოვებაც სახიფათოა, რადგან ნათესავები და ახლობლები, აგრეთვე მათი ერთგული გლეხები მალე გააბამენ მათთან კავშირს და ყოველგვარ დახმარებას მიაწვდიან. ვინაიდან ჯერ ხალხი დამცხრალი არ არის, ამიტომ მათი გურიის საზღვრებთან დატოვება, ვიმეორებ, სახიფათოა.

* *

ამ ამბების შემდეგ ერთ წელიწადზე მეტმა განვლო, მაგრამ ბატონიშვილი დავითის ბედი, არ იქმნა, ვერ გადაწყდა. და შემდეგმა მთავარმართებელმა გენ. როზენმა, გაიცნო რა ხელახლა ეს საქმე, მინისტრ ჩერნიშვილს წინადადებით მიმართა, რათა ხელმწიფე ნიკოლოზ პირველის სასტიკი განაჩენი შეერბილებინათ. თუ სოფიო დელოფალი შეგნებულად გადაუდგა რუსეთს და თავისი მცირეწლოვანი ეკატერინე და დავითი თან წაიყვანა, იმ შვილებს ისეთი დიდი ბრალი არ მიუძღვით, რომ მათ ადგილმამული ჩამოართვან და სამაგიეროდ არაფერი მისცენო. ამის გამო მთავარმართებელი როზენი წინადადებას იღევა: გურიის ბატონიშვილთ უკან დაბრუნების ნება დართონ და, რაკი ქონება უკვე ჩამოერთვათ, სამაგიეროდ მოაწყონ პეტერბურგში, ვაჟი — პავთა კორპუსში, ხოლო ასულ ეკატერინეს კი, რომელიც ეხლა გასათხოვარ ჰასკაშია (16 წლისაა), მისცენ ნება — იცხოვროს სამშობ-

ლოში და მიეცეს შესაფერი პენსია; ხოლო ყაჭიბროლა, სოფიო და ტერეზა დარჩნენ პეტერბურგის ინსტიტუტში, სადაც იმყოფებიანო.

ამ თავის წინადადებას მთავარმართებელი როზენი იმით ასაბუთებს, რომ დავითის თურქეთში დატოვება მუდამ სახიფათო იქნება ჩევნოვისამ; როცა ის გაიზრდება, უფრო შეიძლება რუსეთს, რომელმაც ყველაფერი წაართვა და ასე დასტანჯა; და ერთხელაც, შეიძლება მოსაზღვრე თურქეთში მისი ყოფნა ჩევნოვის მავნებელი იქმნეს.

რუსეთის მთავრობამ მთავარმართებელ როზენის ეს სიფრთხილე გაიზიარა და მისი მოხსენება მინისტრმა ჩერნიშევმა მთლიანად დაამტკიცა. ამათთან ერთად ემიგრანტ თავადებაც ნება დართეს გურიაში დაბრუნებულიყვენ...

ამ ამნისტრის გამოსაცხადებლად პლატიაში გურიიდან გაიგზავნა შემოქმედის მონასტრის მღვდელი ივანე კანდელაკი, რომელსაც ყველაზე უწინ დავით მაჭუტაძე უნდა გადმოებირებინა, რათა მას ბატონივიშლი გამოეშვა ან თვითონაც თან წამოჰყოლოდა; დავით მაჭუტაძემ ეს წინადადება მისაღებად სცნო და მემკვიდრე დავითისათვის, ეკატერინესათვის და მათ მხლებელთათვის თურქეთიდან უკან წასვლის ნებართვა გამოითხოვა. მალე ყველამ ერთად დასტოვა ტრაპეზუნდი, სადაც იმ უამად შავი ჭირი მძვინვარებდა..

15 — 9 — 1832 წ. ყველა ესენი მოვიდნენ წმ. ნიკოლოზის ნავთსადგურში. აქ მათ კარანტინისათვის საჭირო დრო გაიარეს, რის შემდეგ ეკატერინე გაემგზავრა გურიაში და ექვედან ქუთაისს; ხოლო დავითი კი თავის საყვარელ აღმზრდელ მაჭუტაძესთან ერთად, 31 ოქტომბერს თბილისს მივიდა, ამალის ზოგი წევრის თანხლებით; დამარჩნი ახლობლები და მსახურნი მემკვიდრეა ნავთსადგურთანვე ჩამოაშორეს და პირდაპირ თავთავის ოჯახში გააგზავნეს.

მთავარმართებელმა როჩენმა არ დააჩქარა დავითისა და მისი ოღმზრდელი დ. მაჭუტაძის რუსეთს გაგზავნა, — „რადგან მე ძალიან მსურდა ახლო გაცენობოდი დ. მაჭუტაძეს, რომელიც იყო დედოფლის თურქეთში გადასვლის მიზეზი“—ო, სწერდა იგი მინისტრს, — „მისი ბრალი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ის, რომ ის ბოლომდე ერთგული დარჩია თესი ბატონის სოფიოსი, რომელსაც ყველაფერში ბრძანდ ემორჩილებოდა“—ო, დასძენს იგი თავის მოხსენებაში. ამას შემდეგ როჩენი პეტერბურგის მთავრობას სიხოვს, განსაკუთრებითი ყურადღებით მოეპყრან ბატონიშვილ დავითს, რომლის ბედით დღეს დაინტერესებულია არა მარტო გურია, არამედ თურქეთის საზღვრებში მოქცეული გურიის ძეელი და აგრეთვე იმერეთიც. ძედან ირკვევა, — რა დიდის პატივისცემით სარგებლობდა გურიის სამთავროს. უკანასკნელი მემკვიდრე მთელს დასავლეთ საქართველოში.

თავისი მოხსენებით მთავარმართებელი როჩენი ითხოვდა გურიის სამთავროს მემკვიდრისათვის დაენიშნათ წლიურად 5.000 მანეთი, რომლის ერთ ნახევარს ის გადადებდა იმ ერთგულთათვის, რომელნიც მას ახლდნენ და თურქეთიდან მას თან გამოჰყენენ; ხოლო მეორე ნახევარი კი მემკვიდრესათვის ბანქში უნდა შეენახათ. როჩენი ხელავდა, რომ ეს იყო სულ მცირედი რამ იმ ქონებისათვის, რომელიც ახალგაზრდა მთავარს ძალით ჩამოართვეს გურიაში. ეკატერინეათვის კი როჩენი ითხოვდა: დაენიშნათ წლიურად 1.500 მანეთი... — გაზაფხულზე გამოვგზავნი პეტერბურგში დავითს, რომელსაც სურს თან ეახლოს მისი გამზრდელი, მარორი დ. მაჭუტაძე“—ო, სწერს როჩენი პეტერბურგის მთავრობას; და ბოლოს დასძენს: — „ის განათლება, რაიც მიღებული აქვს დღემდე 12 წლის დავითს, უკველად სასიქადულო დამსახურებაა მისი ოღმზრდელის დ. მაჭუტაძის და ამ განათლებასთან მი-

სი მაღალი ზნეობა და შესანიშნავი გარეგნობა მართლაც
მომხიბელელია“—ო.

გაზაფხულზე, 1833 წ. დ. მაჭუტაძემ ბატონიშვილი
დავითი პეტერბურგში ჩაიყვანა და იქაურ ქართველთა
წრესაც გააცნო, რათა ახალგაზრდა, საყვარელ დავითს ამ
ცივ და ნესტიან, უცხო ქალაქში მარტონბა მწვავედ არ
ეგრძნო...

დავით მაჭუტაძემ კარგა ხანს დაპყო იქ თავისი აღზ-
რდილის ახლოს; ხშირად განუმეორა ლამაზ ჭაბუქს ბა-
ტონ დედოფლის ანდერძი და ამბები და გურიის სიყვა-
რულიც უფრო ღრმად ჩაუჭედა გულში. ბოლოს გულის
ტკივილით გამოეთხოვა მას და თავის გურიას მიაშურა,
რომელიც ეხლა რუსეთის პროვინციად ითვლებოდა; მაგ-
რამ რომელიც ძეველ სახლთუხუცესს, დედოფლის ერთ-
გულს ძეველებურის პატივითა და ორისებით ეპურობოდა.
ნივნითში ყოფილი სახლთუხუცესი მხოლოდ სხეულით
ციო, მისი სული კი უკანასკნელ დედოფალს დასტრიალე-
ბდა გონიოში, და სწუხდა და იწოდა იმით, რომ დიდ გუ-
რიელთა და სოფიოს მემკვიდრე მან რუსულ კადეტთა
კორპუსს ჩააბარა... .

რა ეჭმნა? დღეს მას სხვა გზა აღარ დაშთენოდა; მაგ-
რამ ოდესმე იქნებ „ანდერძის“ ხანა კვლავ დასდგომოდა
მემკვიდრეს. გურია ჯერ ხომ არ მომკვდარიყო! დედოფა-
ლი სოფიოს ერთგულნი აქ კიდევ ბლომად იყვნენ და სახ-
ლთუხუცესის ნიშანს უცდიდენ. მაგრამ დრომ სხვაგვა-
რად ინება და დ. მაჭუტაძის აღზრდილი რუსეთმა მთლი-
ანად და საუკუნოდ მიიტაცა.

კადეტთა კორპუსის დასრულების შემდეგ დავით გუ-
რიელი, ვით გულადი და მხნე მხედარი, კავკასიის მთის
დასაბყრობად წინ გაუშეს; და შამილთან ბრძოლაში,
ახულგოსთან, ის გულგანგმირული დაეცა. ეს მოხდა 20
აგვისტოს 1839 წელს, როდესაც დავითი 24 წლისა ძლიეს

იყო... და სოფიო დედოფლის მემკვიდრე, გურიისა და დ. მაჭუტაძის იმედი, კავკასიის დაპყრობას შეეწირა....

ამით რუსეთმა ერთხელ კიდევ გადაუხადა პატარა, მაგრამ უტეხ გურიას.

დედოფლის ასული? მარი ბროსეს ცნობით, სოფიო გარდაცვალა სულ ახალგაზრდა, 16 წლისა, 15 — 5 — 1840 წ. ტერეზია ყოფილა „ფრეილენბად“ და გაცყოლია მეუღლედ გრიგოლს, მთავარ ლევან დადიანის ვაჟს. ყაჟიბროლას შესახებ ცნობას, სამწუხაროდ, ვერსად შევხვდით; რაც შეეხება უფროს ასულს სოფიოსა, ეკატერინეს, ის ისეთი იშვიათი სილამაზებისა ყოფილა, რომ მთელს სტამბოლში მისი ქება გავრცელებულა და ხონთქარს მისი შერთვა სდომებია. საქართველოში დაბრუნების მეორე წელსვე ის შეურთავს ლევან ჩიხეუს, მაგრამ არც ამას ჰქონია ბედი, — ათი წლის შემდეგ, 1844 წ. მას ქმარი დაუკარგავს, რის შემდეგ ქვრივი გადასახლებულა პეტერბურგს, სადაც აღსრულებულა.

ასე გათავდა გურიის უკანასკნელი მთავრის ოჯახი....

**

სწორედ სიმბოლიურად უნდა ჩაითვალოს სახელოვან გურიელთა უკანასკნელი წარმომადგენელის, პოეტ მამია გურიელის დრამატიზმით სავსე ბედიც...

მგოსანი მამია იყო ძე დავითისა, უკანასკნელის მთავრის, მამია მეხუთის ძმისა.

მამიას დედა ყოფილა ცნობილი ისტორიკოსის, დიდი ნიკო დადიანის ასული, ეკატერინე. ეს ქალი ყოველ მხრივ შესანიშნავი, განათლებული, მწიგნობარი და ჩინებული მოლაპარაკე ყოფილა (იხ. ალ. ხახანაშვილი; მისი წერილი, როგორც საუცხოო ნიმუში, თურქე ხელიდან ხელში გადაღიოდა და იყითხებოდა ქუთაისის წარჩინებულ ქალთა წრეებში... (იხ. ი. მეუნარვია).

ამ შესანიშნავი ქალის თვისებებთან ერთად მგოსანი მამიას გადმოსცემია გურიელთა მაღალ-ნიჭიერება, პოე-

ზიისა და ძველი კულტურის სიყვარული და, როგორც
ცნობილი ბიოგრაფი იონა მენარეია გვაუწყებს, მას არა
მარტო გურია მოუხიბლავს, არამედ თბილისის სალონე-
ბიც მოუჯადოვებია თავისი გამჭრიახობით, შესანიშნავი
დეკლამაციით და მომხიბლავის სილამაზით.



მარჯვნიდან მარცნივ: მამია გურიელი, გიორგი
შერვაშიძე, და იოსელიანი.

მგოსანი მამიას მიერ წაკითხული საკუთარი ლექსი
„ფიცი“, ყველა მსმენელზე ისე მოქმედებდა, ვით მეხის
გავარდნა:

„ვფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს,
ბეღისგან დასჯილს, განაწამებსა,
ჩაბალახ ახდილს, ჯაჭვებით შეკრულს
და წითლად ნალებ მისსა მიწებსა“....

ამბობდა დამატყვევებელად თავის გედის სიმღერას მამია
გურიელი; და სოფიო დედოფლის წამებას იგონებდა, ადა-
რებდა მას

„დედოფლებს, ჩანგლით დაგლეჯილებსა“....
მის თვალთა წინ ირლვეოდა და იშლებოდა ძველი სა-

ქართველო, პქრებოდა ძველი გურია, კნინდებოდნენ და ღატაკდებოდნენ ოდესლაც ზეიადნი და ძლიერნი კახაბერები და ვარდანიძეები, და ამ გულსაკლავ სურათით მწარედ დაღონებული პოეტი პოეზიაში და ლვინოში იკლავდი წვალებულ სულის ენს....

გადადიოდნენ წლები, რომელთაც სანუგეშო არაფერი მოჰქონდათ: გადაგვარება, კარიერიზმი და ანგარება და დაეფულა ჩვენს წარჩინებულთა წრეს.... მამია კი სოფიოსაგან ნაანდერმევ შეურიგებლობისა და სიამაყის გზას გაჰყავა.

გავიხსენოთ ერთი შემთხვევაც ამ პროცესტის ხანიდან: —

მთავარმართებელის კარზე ქართველთა დასაყვავებლად, მომხიბლავი, ბრჭყვიალა ბალები იმართებოდა; იქ ყველანი ფერად, სამხედრო ფორმებში და ორდენებში გამოეფინებოდნენ ხოლმე: ლრმა, მექრდ ახდილ ძვირფას კაბებით მორთულნი იყვნენ კეკლუცნი. ერთ ასეთ ბალზე მშვენიერ თავადს, მამია გურიელს ელოდნენ და ისიც, ვით ჩაილდ ჰაროლდ, მოევლინება ამ ბალს და როგორ?! — სადა, შავი ჩოხით, შავის ქილებით და შავის ქმარ - ხანჯალით! ეს „მოვლინება“ მთავარმართებელის საზეიმო დარბაზში, სამგლოვიაროდ მორთული უკანასკნელი გურიელისა განა ყველაფრის მთქმელი არ იყო?! ხოლო, თუ კიდევ ვინმეს ეს ქარაგმა ვერ ამოეხსნა, მისთვის პოეტს უფრო მეტყველი სატევარი — პოეზია მოემართა; და ამან ათქმევინა მას თავის თავზე: —

„მე სახელ გვაროდ, ვგევარ მას, მაგრამ ვინც იყო მთავრად, არვინ მამთავრა“...

პროფესორ ჯანაშიას თავის მონოგრაფიაში გიორგი შერვაშიძის შესახებ, მოჰყავს ერთი ეპიზოდიც, რომელიც გ. შერვაშიძისა და მამია გურიელის (ესენი დეიდაშვილები იყვნენ; გ. შერვაშიძის დედა იყო დიდი ნიკო დადიანის ასული, კესარია, — ქალი ყოველმხრივ განათლებუ-

ლი, მწიგნობარი და გონებით გახსნილი) დროის ქართულ საზოგადოებას ახასიათებს:

გიორგი შერვაშიძეს წინადადება მიუცია მამია გურიელისათვის: მოდი, „ხელის - არ - ჩამომრთმეველთა“ საზოგადოება დავაარსოთო; არ მივცემთ ხელს არც ერთ ქართველს, რომელიც სამშობლოს განუდგა, საკუთარი კარიერისათვის და კეთილდღეობისათვის ერის სამსახური დაივიწყა და მტრის მოხელე ან მორჩილი გახდაო.

ამ წინადადებაზე მამიას მიუგია: — „ჩემთ გიორგი, მაშინ მე და შენ ხელები გულზე უნდა დავიკრიბოთ და ისე ვიაროთ“-ო....

ამ გულსაკლავმა სინამდვილემ მოუსწრაფა მგოსანს ახალგაზრდა სიცოცხლე...

ოღონდ გურიის თავდადებული სწრაფვა თავისუფლებისადმი დღემდე არ შენელებულა... და დედოფალის სახელი და სიტყვაც დიდ ხანს ისმოდა გურიაში....

ასე დამთავრდა ბრძოლა გურიის ავტონომიურ უფლებათა შესანარჩუნებლად.

დიდმა იმპერიამ აქაც თავის ჩვეულის გზით გაიარა: ჯერ „მფარველობის აღთქმანი“ და „ხელშეკრულებანი“ სახელმწიფოებრივ უფლებისა და მმართველ დინასტიის საუკუნოდ შენახვისათვის და საჭურველით ხელში მათი დაცვისათვის.

შემდეგ ამ სამეფოში თუ სამთავროში საკმაო რუსის ჯარის დაბანაკება, შიგ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ფეხის მომარტება და შემდეგ ხალხის მოწინავეთა წინააღმდეგ შეტევა, მათი პოლიტიკური დევნისა და ეკონომიკური განიარაღებისათვის.

ამის შემდეგ, აღმინისტრატიული განკარგულებებით რუსული ტლანქი მოქმედება ყოველგვარ შინაარს აცლიდა „ტრაქტატის“ მუხლებს და გენერალ პავლე ციციანოვიდან დაწყებული, კულდაბკინით გათავებული, მოხელე-

ები, პეტერბურგის საიდუმლო ინსტრუქციების თანახმად,
ავტონომიურ უფლებებს ფეხ-ქვეშ სთელავდნენ; მის და-
მცველთ ქვეყნის და ხელმწიფის მოღალატედ აცხადებდ-
ნენ და შორეულ რუსეთს ასახლებდნენ; ბოლოს, უმეთა-
უროდ დაშორის ქვეყანას, უბრალო ღუბერნიად, ან
პროვინციად აცხადებდნენ...

ასე მოხდა ქართლ-კახეთში, შემდეგ იმერეთში, გუ-
რიაში და უფრო გვიან — სამეგრელოში, სვანეთში და
აფხაზეთში.

გურიის დედოფალი სოფიო თუმცა კარგად ხედავდა,
რომ ქართლ-კახეთის და იმერეთის დაცემის შემდეგ პა-
ტარა გურია რუსეთის იმპერიის დაწოლას ვერ გაუძლებ-
და, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ერს მარტო ტლანქი ძალა
ვერ ანადგურებს და მისი მხერია და სულიერი სიმტკიც
საძირკველია მომავალი აღორძინებისათვის ჩაყრილი.

და გურიის ხალხიც არ დანებდა ძლიერ მტერს და
შეეცადა ჯერ იურიდიული სამართლიანობის საფუძველ-
ზე მიეცა ბრძოლა და შემდეგ უკვე იარაღით გამკლავე-
ბოდა ძლიერ მტერს, რისთვისაც ხშირად გარეშე მოკავში-
რესაც ეძებდა...

ის შეუდრეველი წინააღმდეგობა, რაც სოფიო დე-
დოფალმა ავტონომიის დაცვის გარშემო აწარმოვა, უბ-
რალო ჯიუტობა კი არ იყო „ინსტრუქციების“ ირგვლივ
შექმნილი, არამედ იმ ბრძოლათა გაგრძელება, რასაც
ქართლ-კახეთი და შემდეგ იმერეთი ეწეოდა. ყველა ეს
წინააღმდეგობანი ქმნიან იმ ეროვნულ სულს, რომელსაც
იღლია ქავჭავაძის მაღლიანის თქმით — „ჩვენი ცხოვრე-
ბის საძირკველში მაგარი ქვა ჩაუდგამთ“...

როგორც ვნახეთ, ამ ეროვნულ ტრადიციას არ უღა-
ლატა პატარა გურიის დედოფალმა სოფიომ და ამიტომაც
დასტოვა მან ღირსეული და ნათელი სახელი...

K329.007
3EM

